

გიზი თევზაძე

განჯადოება

სუთი ესე თანამედროვე საქართველოს შესახებ



გაკურს სულაკაურის
ბაზოზცემოზ

გიგინი თევზაძე

ხუთი ესე თანამედროვე საქართველოს შესახებ

პირველი გამოცემა, თბილისი 2009

© გიგინი თევზაძე, 2009

დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი კველიშვილი

ყდის დიზაინი: მარტა თაბუკაშვილი

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112

ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-403-12-5

www.sulakauri.ge

შინააარსი

ჩვენი სინამდვილის განჯადოების დასაწყისი
საქართველოში მეცნიერების წარსულის, ანმყოსა და
მომავლის შესახებ მსჯელობის გზით

5

პირველად – პოლიტიკური ანთროპოლოგია
საქართველოში

27

წარსულის განვითარების სცენარი: კანონიერი
ქურდების შემთხვევა

46

ქართველი ერის დაბადება

55

„საქართველო – აღმოსავლეთის და დასავლეთის
გზაგასაყარზე“: დღევანდელი ქართველების
თვითწარმოდგენის და თვითპრეზენტაციის ისტორია

81

ჩვენი სინამდვილის განჯადოების დასაწყისი საქართველოში მეცნიერების წარსულის, ანმყოსა და მომავლის შესახებ მსჯელობის გზით

კითხვაში განაფული მკითხველი მიხვდება, რომ სათაურის ამ ფორმას ბევრი საერთო აქვს XVIII-XIX საუკუნეების ტექსტებთან; ასევე, თვალში მოხვდება უცნაური სიტყვა – განჯადოება, რომლის მნიშვნელობაც ინტიტურად ესმის, მაგრამ 100 წელზე მეტი ხნის წინანდელი სტილის დასათაურებაში ამ ნეოლოგიზმის შემოჭრა ალბათ აფიქრებს და მათ შორის კავშირზე კითხვას აღუძრავს.

„განჯადოება“ სოციალურ მეცნიერებაში მაქს ვებერის მიერ შემოტანილი ცნებაა (Entzauberung) და ნიშნავს სამყაროს სურათის ცვლილებას – რელიგიასა და სასა-ნაულებზე ორიენტირებული მსოფლმხედველობიდან რაციონალიზმზე ორიენტირებულ მსოფლმხედველობაზე გადასვლას.

მაქს ვებერი ამ გადასვლას ევროპაში კათოლიციზმის დასუსტებას, პროტესტანტიზმის გაძლიერებასა და კაპიტალიზმის წარმოშობას უკავშირებდა. დღეს ვებერის ამ თეორიას, რომელიც საზოგადოებრივი წარმოდგენების განჯადოებას ევროპის შუა საუკუნეებიდან გამოსვლის ერთ-ერთ ძირითად გზად განიხილავს, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, როგორც ახალ თეორიებზე, ასევე – მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოძიებულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით. ეს თეორიები და მასალები მიუთითებს, რომ არც კაპიტალიზმის წარმოშობაა ერთმნიშვნელოვნად

პროტესტანტიზმთან დაკავშირებული და არც ისე ერთმნიშვნელოვანია ახალი დროის ევროპაში სამყაროზე წარმოდგენების სასწაულებთან კავშირისაგან დაცლა და ამის გამო მმართველობითი რაციონალიზმისა და თანამედროვე ბიუროკრატიის წარმოშობა.

ეს წერილი საქართველოში მეცნიერების დღევანდელ მდგომარეობას, მის წარსულსა და სავარაუდო მომავალს აღწერს. სიტყვას „განჯადოება“ მე ვებერისეული პირვანდელი მნიშვნელობით ვიყენებ და ვინცებ მსჯელობას ქართული მეცნიერების შესახებ – იმ წარმოდგენებზე ორიენტაციით, რომლებიც დღეს არსებობს ჩვენს საზოგადოებაში და რომელთა უმეტესობაც – ვეცდები დავამტკიცო – უმსჯელობებსა და საზოგადოებრივი კონიუნქტურისადმი გაუაზრებელ მორჩილებაზეა დაყრდნობილი.

საქართველოში საქართველოს მეცნიერების შესახებ ჩვენ გარშემო არსებული წარმოდგენების დაწურვა შემდეგ გამოთქმებზე შეიძლება:

პირველი: საქართველოში მეცნიერება ძალიან მაგარი იყო საბჭოთა დროს, რადგან მაშინ სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევდა მეცნიერებას;

მეორე: დღეს ქართული მეცნიერება დაკნინებულია, რადგან სახელმწიფო აუქმებს მეცნიერებათა აკადემიას და არ აქცევს ყურადღებას მეცნიერებს;

მესამე: პირველის და მეორეს სინთეზივითაა: საქართველოში დღესაც მსოფლიო დონის მეცნიერებაა, საკმარისია ფული მივცეთ და საბჭოთა კავშირის დონეს მალე დავუბრუნდებით.

ეს სამი დებულება თუ მოსაზრება მნიშვნელოვან მითიურ ფენას აჩენს ქართული საზოგადოების წევრების აზროვნებაში: შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ამ სამ დებულებას ყველა ეთანხმება მეტ-ნაკლები ვარიაციებით: მაგალითად, ხელისუფლების წევრმა ან მისმა გულშემატკივარმა შეიძლება თქვას, რომ „ძნელია საბჭოთა კავშირის დონის მიღწევა მეცნიერებაში – მაშინ ხომ ქვეყანა უზარმაზარ რესურსებს ფლობდა; ჩვენ ვცდილობთ და იმედია, მალე

მივალწევთ მეცნიერების იმ დონეს, რომელზეც საქართველო საბჭოთა კავშირის დროს იყო“. ამას მოჰყვება საუბარი იმ კონტაქტებსა და ლაბორატორიებზე, რომლებიც „იმ დროს“ იყო, და ა.შ.

იმავეს იტყვის ხელისუფლების მოწინააღმდეგე ან უბრალოდ ე.წ. „ნეიტრალური“ ადამიანი. ეს ერთსულოვნება იმდენად თვალშისაცემია ჩვენს საზოგადოებაში არსებულ ტოტალურ „ერთმანეთთან-არაფერში-დათანხმების“, საზოგადოებრივი ინტერესების რამდენიმე საერთო მნიშვნელამდე დაუყვანლობის ფონზე, რომ **სოციალურ მეცნიერებაში ოდნავ განსწავლულიც კი აუცილებლად იტყვის, რომ აქ საქმე გვაქვს საკმაოდ ძლიერ მითთან.**

მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ეს სამი დებულება, რაკი მითიური კონსტრუქციის ნაწილებს შეადგენს, იმთავითვე არ შეეფერება სინამდვილეს: მითიური კონსტრუქციების მეცნიერული კვლევის ისტორიაში ბევრი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მითების რეალურობასთან შესაბამისობის მაღალი ხარისხი დამტკიცებულა და სკეპტიკოსების დიდი სინანული გამოუწვევია.

ნებისმიერ შემთხვევაში, დავამტკიცებთ ამ მითს ქართული მეცნიერების შესახებ თუ უარყოფთ, მაინც დავდგებით განჯადობის გზაზე – უარყოფის შემთხვევაში მივიღებთ დისკუსიას ამ მითის შესახებ, რაც მითს დაასუსტებს მაინც, ხოლო დამტკიცებების შემთხვევაში მითი უკვე აღარ იარსებებს და შესაძლებელია საზოგადოებას ამით სხვა საკითხებზე შეთანხმების მნიშვნელოვანი, ვერსიფიცირებული დასაყრდენი გამოუჩნდეს.

მეთოდი

თანამედროვე სამეცნიერო სამყაროში მეცნიერის, მეცნიერთა ჯგუფის თუ მთლიანად ქვეყნის მეცნიერთა მიღწევების გაზომვის უტყუარი რაოდენობრივი მეთოდი არსებობს და მას „ბიბლიომეტრული ანალიზი“ ჰქვია. ამ მეთოდის მიხედვით, მეცნიერული მუშაობის ინდიკატორი სულ რამდენიმეა და მათი რიცხვებზე დაყვანა, მინიმალური

ინტერპრეტაციის საჭიროებით, სავსებით შესაძლებელია. ეს ინდიკატორი ძირითადად ორია: მეცნიერის ავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა და ამ მეცნიერის ნაშრომების სხვა მკვლევრების ნაშრომებში ციტირების რაოდენობა.

ცხადია, რომ ეს ინდიკატორები ითვალისწინებს მხოლოდ პირდაპირ რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც შეიძლება არ იყოს ერთმნიშვნელოვანი – მაგ. კონკრეტული პუბლიკაციის ციტირების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს არა მეცნიერის იდეებთან და შედეგებთან თანხმობის, არამედ უთანხმობის გამო. მაგრამ მეცნიერების განვითარების ისტორიაში შეცდომებს ისეთივე წვლილი მიუძღვის, როგორც – პოზიტიურ შედეგებს. გარდა ამისა, ხშირად აღიარებული შეცდომა გამხდარა მეცნიერების მომავალი განვითარების ქვაკუთხედი. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ თუკი მეცნიერის შეცდომას ბევრი გამოხმაურება აქვს, ის მნიშვნელოვნადაა ჩართული სამეცნიერო პროცესში.

ამიტომ, ყველაზე ადვილი და ალბათ ერთადერთი გზა, ვნახოთ თუ რა მდგომარეობაშია საქართველოს მეცნიერება – და შევადაროთ ის მის წარსულ მიღწევებს – არის ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების მიხედვით საქართველოს მეცნიერების მიღწევების შეფასება.

დღევანდელ მსოფლიოში რამდენიმე მონაცემთა ბაზაა, რომლებიც მეცნიერთა მიღწევების შესახებ რაოდენობრივ მონაცემებს ამუშავებს და აქვეყნებს. ყველაზე ფართო მათ შორის ე.წ. „ცოდნის ქსელია“ (ISI Web of Knowledge), რომელიც სამეცნიერო სლენგში ტომსონის (Thomson) სახელითაა ცნობილი. მონაცემთა ეს ბაზა შეიცავს აკადემიური კვლევის მიღწევების მონაცემებს 1975 წლიდან დღემდე. შესაბამისად, ჩვენ ადვილად შეგვიძლია თვალი მივადევნოთ საქართველოს მიღწევებს, როგორც საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში, ასევე მის შემდეგ.

მონაცემთა ბაზებში გამოცდილ მოსიარულეს გაუჩნდება კითხვა საძიებო არეალების შესახებ. ნაკლებ გამოცდილებისათვის შევეცდები განვმარტო, რატომ არის საძიებო

არეალების ცოდნა მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზებიდან სწორი პასუხის მისაღებად: წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ ხორბლისა და რკინის მარცვლების გროვა, ხოლო ამოცანა ერთმანეთისაგან გამოარჩიოთ რკინა და ხორბალი. აქ სულ მცირე სამი გზაა: 1. ხელით – ანუ ვიზუალურად და შეგრძნების საფუძველზე; 2. დათესოთ მთელი გროვა და რომელიც არ ამოვა, ის იქნება რკინა; 3. მაგნიტის საშუალებით მიიზიდოთ რკინის მარცვლები.

ამ სამი შესაძლებლობიდან პირველი დიდ ენერჯიას მოითხოვს, მეორე – მახვილგონივრულია, მაგრამ შედეგებს დიდხანს უნდა ელოდოთ. შედეგიც შეიძლება არ იყოს ზუსტი – ხორბლის მარცვლების რაღაც რაოდენობამ შეიძლება არ გაიხაროს. მესამე ყველაზე ადეკვატურია – მოითხოვს მინიმალურ დროს და შედეგიც მაქსიმალურად ეფექტური იქნება.

საძიებო არეალის ცოდნა სწორედ ის მაგნიტია, რომელსაც ინფორმაციის გროვიდან ჩვენთვის საინტერესო მონაცემები უმოკლეს დროში გამოაქვს.

„ტომსონში“ შესულია ინფორმაცია ე.წ. საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული თუ ციტირებული ნაშრომების შესახებ. საერთაშორისო ჟურნალები კი ის ჟურნალებია, რომელთაც გააჩნიათ peer review-ის მექანიზმი, ანუ რედაქციის მიერ სტატიების შერჩევის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს ჟურნალის რედაქციაში შემოსული სტატიების ხარისხის ანონიმურ შემოწმებას ავტორის კოლეგების მიერ. მონაცემთა ბაზაში შესულ თითოეულ ერთეულს, ანუ პუბლიკაციას, აქვს თავისი მახასიათებლები. მათ შორის – გარდა ავტორის სახელისა და გვარისა, არის ამ ავტორების ინსტიტუციური მიკუთვნებულობა და ქვეყანა, სადაც ეს ინსტიტუცია მდებარეობს. ბუნებრივია, გვარების მიხედვით რომ ვამუშაოთ მონაცემთა ბაზა, ამას ძალიან დიდი დრო და რესურსები დასჭირდება და დაემსგავსება რკინისა და ხორბლის მარცვლების ხელით გადარჩევას. მაგნიტის ფუნქცია ქვეყნისა და ინსტიტუციის დასახელებამ უნდა შეასრულოს, რაც, საბჭოთა

კავშირისდროინდელი საქართველოს შემთხვევაში იქნება „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“ და/ან „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ დაწერის ყოველნაირი ფორმით, ხოლო საბჭოთა კავშირის შემდგომ პერიოდში „საქართველოს რესპუბლიკა“ – ასე მიუთითებენ საქართველოს ტომსონის მონაცემთა ბაზებში მას მერეც, რაც საქართველომ დასახელება შეიცვალა – იმისათვის რომ აშშ-ის ჯორჯიის შტატისაგან განასხვავონ (რომელიც, სხვათა შორის, ცნობილია მაღალი დონის კვლევითი უნივერსიტეტებით).

ჩვენი მიზნების მისაღწევად შერჩეული ტომსონის საძიებო სიტყვების ნაკრები ასე გამოიყურება: [Address=(rep* of Georgia) OR Address=(Tbilisi*) OR Address=(Georgian Acad*) OR Address=(GEORGIA USSR) OR Address=(GEORGIA SSR) OR Address=(Kutaisi*) OR Address=(Batumi*) Timespan=All Years. Databases=SCI-EXPANDED, SSCI, A&HCI, CPCI-S, CPCI-SSH], რაც შემდეგნაირად იკითხება: მომეცი ყველა მონაცემი, რომლის აღწერაშიც მითითებულია ან საქართველოს რესპუბლიკა, ან საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ან საქართველოს სსრკ, ან საქართველოს სსრ, ან თბილისი, ან ბათუმი, ან ქუთაისი. და ამ სიტყვების ყველა შესაძლებელი გაგრძელება (* – ეს ამას ნიშნავს).

ეს კი ნიშნავს, გვქონდეს იმედი, რომ მონაცემთა ბაზა მოგვცემს ყველა იმ მონაცემს, რომელთა აღწერაშიც თუნდაც ერთი ეს სიტყვათშეთანხმება ან სიტყვა ფიგურირებს. ამ მაგნიტის გამოყენებით არ უნდა გაგვიჭირდეს ვნახოთ საქართველოს მეცნიერების მდგომარეობა 1974 წლიდან საბჭოთა კავშირის დანგრევამდე, და შემდეგ – საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან დღემდე.

გამონაკლისები და უზუსტობები

ცხადია, მონაცემთა არც ერთი ბაზა და, მით უმეტეს დამუშავების მეთოდი, არ არის უნაკლო. ჩვენს შემთხვევაშიც საქმე გვაქვს გამონაკლისებთან და უზუსტობებთან.

მაგრამ ეს გამონაკლისები და უზუსტობები არ მოქმედებს მთლიან სურათზე. გამონაკლისებია: ამ შედეგებში ვერ მოექცევა ის სამეცნიერო პროდუქტი, სადაც არ არის მითითებული ქართული სახელმწიფო ან ინსტიტუცია. შესაბამისად, როგორც უნდა გვეგონოს, რომ მაქს პლანკის ინსტიტუტში ან ნიუ-იორკის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველი მეცნიერი ქართულ მეცნიერებას წარმოადგენს, ეს ასე არ არის, თუკი ის პუბლიკაციების მისამართად არ უთითებს საქართველოს ან საქართველოს რომელიმე ინსტიტუციას.

ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტომსონის მონაცემთა ბაზა ითვალისწინებს მასალის მხოლოდ იმ ჟურნალებში გამოქვეყნებას, რომლებსაც მიღებული აქვთ საერთაშორისო სტატუსი. შესაბამისად, თუკი ასეთი სტატუსი ჟურნალს არ აქვს, მასში გამოქვეყნებული სტატია ვერ შევა ჩვენი კვლევის არეალში. იმდენად, რამდენადაც საქართველოში გამოცემულ არც ერთ ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ჟურნალს არა აქვს ეს სტატუსი, ამ დამუშავებიდან ავტომატურად ვარდება ამ სფეროებში ქართულ ენაზე გამოქვეყნებული სტატიების 100 %. ასევე, შესაძლებელია ამ დამუშავებიდან ზოგიერთ უცხოურ ჟურნალში დაბეჭდილი პუბლიკაციაც ამოვარდეს. მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ 1. ამ შემთხვევაში გვანტიერებს ქართული მეცნიერების დონის შედარება საერთაშორისო ინდიკატორებთან და 2. თუკი ნაშრომის ღირებულება მაღალია, და მისი ციტირება მიმდინარეობს, ის აუცილებლად ხვდება მონაცემთა ბაზაში – ანუ, თუკი ქართველმა მეცნიერმა გამოაქვეყნა სტატია არა-საერთაშორისო სტატუსის მქონე ჟურნალში, მაგრამ თუ ამ სტატიამ გამოიწვია კოლეგების ინტერესი, ის მოხვდება ჩვენი დამუშავების არეალში: რადგანაც, როგორც ვთქვით, ჩვენ გამოვიკვლევთ არა მარტო პუბლიკაციებს, არამედ ქართული მეცნიერების ციტირების ინდექსსაც, რასაც დღევანდელ სამეცნიერო სამყაროში სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება (იგივე ეხება წიგნების ციტირებას – თანამედროვე


სამეცნიერო სამყაროში წიგნის ღირებულება უფრო მისი ციტირებების რაოდენობით ფასდება, ვიდრე გამომცემლობის პრესტიჟით). ამ მონაცემთა ბაზაში სხვა ინდიკატორებიც არსებობს, მაგ. კონფერენციებში მონაწილეობის რაოდენობა და კონფერენციის გამოქვეყნებული აბსტრაქტების რაოდენობა. ამ ორ ინდიკატორს ამ პუბლიკაციაში არ ვიყენებ – ისინი მაინც მეორეულები არიან და თავისი მნიშვნელობით ბევრად ჩამორჩებიან სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებებს და ციტირებებს. თუმცა, მათი გათვალისწინებითაც რომ გადავითვალოთ ქვეყნის ან მეცნიერების შედეგები, პროპორცია სხვა ქვეყნებთან და სხვა მეცნიერებთან მიმართებაში მაინც არ შეიცვლება.

ასე რომ, ჩვენი კვლევიდან გამონაკლისები და უზუსტობები ასე შეიძლება ჩამოვაცალიბოთ: ჩვენი მონაცემების დიდი წილი – 90%-მდე – იქნება საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა შესახებ. თუმცა, არც ეს არის ჩვენი ამოცანისათვის დიდი პრობლემა. ჩვენი საკვლევი მითი ხომ ძირითადად საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებზე ლაპარაკობს: საბჭოთა კავშირის დროს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები იდეოლოგიური კონტროლის ქვეშ იყო – სახელმწიფო ცდილობდა ხელი შეეშალა ამ მეცნიერებების განვითარებისათვის. ამიტომ, რაც ამ დროს საქართველოში ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების დარგში ღირებული შეიქმნა, შეიქმნა სახელმწიფოს მოქმედების სანინააღმდეგოდ. ამის საპირისპიროდ, საბჭოთა კავშირი ავითარებდა (გარკვეული იდეოლოგიური შეზღუდვებით) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, რაც, პარტიული ბოსების აზრით, იარაღის დამზადებაში გამოადგებოდათ.

ციტირების და პუბლიკაციების ინდექსის კიდევ ერთი არასრულყოფილება მისი არააბსოლუტურობაა: მეცნიერის ღირებულება გარკვეულ შემთხვევებში განისაზღვრება არა მისი დაწერილი და გამოქვეყნებული პროდუქციით, არამედ – მაგ. მისი მონაწილეობით საერთაშორისო ექსპერიმენტებში, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი მეცნიერების წილი

(ანუ, რომლებიც ტექნიკოსები არ არიან და მთელ თავის დროს კონკრეტული ექსპერიმენტის ჩატარებას უძღვნიან) მსოფლიო მეცნიერებაში, და მით უმეტეს, საქართველოში, საკმაოდ ცოტაა. ამიტომ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამონაკლისისა და უზუსტობის გათვალისწინებით, დღეს ციტირებისა და პუბლიკაციების ინდექსი რჩება ერთადერთ ინსტრუმენტად, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქვეყანაში მეცნიერების განვითარების დონეზე, მის წარსულზე და პერსპექტივებზე.

ცხრილი №1. საქართველოს სახელით გამოქვეყნებული ნაშრომები 1975 წლიდან დღემდე




როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, საქართველოში წარმოებული სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა 1975 წლიდან 2008 წლის ბოლომდე მხოლოდ იმატებს და 2008 წელს აღწევს მაჩვენებელს, რომელიც მანამდე არასოდეს ჰქონია.

ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მაღალი ნიშნული საბჭოთა კავშირის დროს 1985 წელს იყო მიღწეული. ეს მონაცემი ემთხვევა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური მანქანის შესუსტებას. საბჭოთა კავშირის შემდეგ კი ყველაზე მაღალი ნიშნული 2005-2006 წლებზე მოდის და როგორც ცხრილიდან ჩანს – იზრდება. საგულისხმოა, რომ პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა ემთხვევა განათლებისა და მეცნიერების რეფორმის დასაწყისს – როდესაც დღის წესრიგში დადგა მეცნიერთა შრომის რაციონალური ინდიკატორებით შეფასების საკითხი.

მაგრამ ამ სტატიის შესავალში აღწერილი მითიური კონსტრუქციის მომხრე იტყვის, რომ საქმე არის არა რაოდენობა, არამედ ხარისხი: ანუ საბჭოთა კავშირში გამოქვეყნებული შრომების ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ; ეს კი ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის დროს გამოქვეყნებული შრომების ციტირება ბევრად უნდა სჭარბობდეს საბჭოთა კავშირის შემდეგ გამოქვეყნებული შრომების ციტირებას. ცოდნის ქსელი ციტირების ინდექსის მხრივ შემდეგ სურათს გვაძლევს:

ცხრილი №2

ყოველწლიური ციტირება




ეს კი ნიშნავს, რომ დღეს ქართული მეცნიერების ცნობადობა ისეთია, როგორიც არასდროს. ის რამდენჯერმე აღემატება საბჭოთა კავშირისდროინდელს და ყოველწლიურად იზრდება.

მაშასადამე, ამ ორი ცხრილით მითი „საქართველოს-მეცნიერების-საბჭოთა-კავშირში-კარგი-მდგომარეობის-შესახებ-და-თანამედროვე-საქართველოში-მისი-ცუდი-მდგომარეობის-შესახებ“ დაინგრა. რა თქმა უნდა, არსებობს თეორიული შანსი, რომ 2008 წელს ციტირებული სტატიების აბსოლუტური უმრავლესობა საბჭოთა კავშირშია დაწერილი. მაგრამ ეს საეჭვოა, თუნდაც იმის გამო, რომ ციტირების ზრდა ემთხვევა პუბლიკაციების რაოდენობის ზრდას, რაც

პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული 2004-2005 წლებში დაწყებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების გააქტიურებასთან და არა ქართველი მეცნიერების 15 ან 25 წლის წინანდელი ნაშრომების თავიდან აღმოჩენასთან.

საინტერესოა, გვაძლევს თუ არა ამ მითის ნგრევა საფუძველს, დავმშვიდდეთ და ვთქვათ, რომ ყველაფერი კარგადაა; რომ მეცნიერული კვლევების სახელმწიფო პოლიტიკა სწორია? ამისათვის შედარებას უნდა მივმართოთ – ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემები შევადაროთ რეგიონის და თუნდაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს:

ცხრილი №3



ამ ცხრილებიდან ჩანს, რომ სულაც არ გვიჭირავს რეგიონში მოწინავე ადგილი და მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით უფრო მცირე მოსახლეობის მქონე ქვეყნებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც შეგვიძლია ამ ცხრილებიდან გამოვიტანოთ, არის ის, რომ ციტირების ინდექსი ყველა ქვეყანაში თანაბრად იზრდება. მაგრამ, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ საიდან იწყება ეს ზრდა და რა ნიშნულია მაგ. 2008 წლის ბოლოსათვის: როგორც ვხედავთ, სომხეთის ციტირების ანგარიში თითქმის ორჯერ აღემატება ჩვენსას, ხოლო ესტონეთის – თითქმის 4-ჯერ.

იგივე შეიძლება ითქვას პუბლიკაციების რაოდენობაზე: 2008 წელს ქართველმა მეცნიერებმა 311 სტატია გამოაქვეყნეს. ლიტველმა მეცნიერებმა – 2163 სტატია, ესტონელებმა – 942, სომხებმა – 465, ლატვიელებმა – 360, ხოლო აზერბაიჯანელებმა – 282. ეს მონაცემები აღებულია 2008 წლის დასაწყისში. რამდენადაც ყოველი შემდეგი კალენდარული წლის პირველ ნახევარში გამოიცემა ჟურნალები, რომლებსაც გამოცემის წლად 2008 წელი აქვს მითითებული, წლის ბოლოს ან შუაში მონაცემები შეიძლება რამდენადმე განსხვავდებოდეს მოცემულისგან, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი „გადაცდომები“ წლის არც ძირითად ტენდენციას და არც მიღებულ პროპორციას არ ცვლის.

ცხრილი №4.

(იხ. ლინკი: ქვეყნების რანჟირება პუბლიკაციების რაოდენობის მიხედვით: http://www.scimagojr.com/countryrank.php?area=0&category=0®ion=all&year=all&order=it&min=0&min_type=it ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გაკეთებულია 1996-2007 წლებისათვის).

ქვეყანა	პუბლიკაცია	ციტირ. პუბლიკ.	ციტატა	თვით-ციტირება	ციტ. რაოდ. ერთ პუბლიკაციაზე
1 აშშ	3.885.065	3.652.547	55.078.925	26.887.171	14,51
2 დიდი ბრიტ.	1.105.308	1.007.750	12.819.856	3.315.114	12,39
3 იაპონია	1.103.915	1.081.652	9.104.613	3.003.301	8,52
4 გერმანია	1.013.151	963.401	10.817.780	3.064.671	11,30
5 ჩინეთი	969.985	964.718	2.379.100	1.178.534	3,68
6 საფრანგეთი	732.180	695.274	7.491.135	1.855.193	10,78
7 კანადა	550.920	524.539	6.180.777	1.302.773	12,44
8 იტალია	534.598	509.208	5.018.387	1.250.266	10,28
9 ესპანეთი	388.908	367.174	3.126.547	852.506	9,14
10 რუსეთი	369.018	366.673	1.352.932	444.618	3,69
11 ავსტრალია	346.740	325.599	3.415.148	772.972	11,19
12 ინდოეთი	336.429	322.168	1.347.950	485.084	4,59
13 შოლანდია	306.962	291.250	3.955.859	735.740	14,11
14 კორეა	265.535	261.952	1.400.150	350.951	6,70
15 შვედეთი	224.187	215.491	2.870.070	539.440	13,55
16 შვეიცარია	218.831	207.770	3.122.283	480.655	15,72
17 ბრაზილია	197.705	192.615	1.036.204	331.101	6,50

ქვეყანა	პუბლიკაცია	ციტირ. პუბლიკ.	ციტატა	თვით- ციტირება	ციტ. რაოდ. ერთ პუბლიკაციაზე
18 ტაივანი	197.162	193.462	1.036.713	276.206	6,38
19 პოლონეთი	184.120	181.128	905.331	278.293	5,55
20 ბელგია	165.330	157.589	1.799.084	303.047	11,99
21 თურქეთი	145.069	137.575	534.944	166.337	4,84
22 ისრაელი	137.447	131.702	1.522.055	255.082	11,78
23 დანია	115.462	110.364	1.540.066	256.255	14,34
24 ავსტრია	114.352	108.346	1.166.968	189.608	11,36
25 ფინეთი	109.740	106.887	1.284.956	242.028	12,75
26 საბერძნეთი	93.184	89.266	583.651	123.192	7,59
27 შონგ-კონგი	90.031	86.736	632.361	128.739	8,22
28 მექსიკა	82.792	80.945	470.643	112.239	6,57
29 ნორვეგია	82.489	79.146	848.672	154.873	11,45
30 ჩეხეთი	81.068	79.090	436.320	118.277	6,05
31 ახ. ზელანდია	69.958	66.141	638.868	118.609	10,25
32 სინგაპური	68.762	66.833	428.798	73.677	7,43
33 უკრაინა	65.566	65.174	178.075	55.784	2,73
34 არგენტინა	64.630	63.051	422.383	101.758	7,08
35 უნგრეთი	63.923	62.035	464.390	92.894	7,76
36 სამხ. აფრიკა	61.905	58.317	386.983	92.161	6,92
37 პორტუგალია	60.411	58.911	398.409	90.635	8,12
38 ირლანდია	49.429	46.596	443.543	57.103	11,07
39 ირანი	48.818	47.859	133.024	57.498	5,04
40 ეგვიპტე	40.967	40.411	154.308	38.547	4,21
41 ტაილანდი	33.485	32.713	167.269	31.732	6,69
42 რუმინეთი	33.424	33.054	120.388	30.661	4,18
43 ჩილე	31.137	30.441	234.489	47.196	9,02
44 სლოვაკეთი	30.738	29.965	148.005	37.534	5,07
45 ხორვატია	27.425	26.722	96.574	26.561	4,05
46 ბულგარეთი	26.434	26.016	120.784	25.615	4,83
47 სლოვენია	25.379	24.899	125.714	31.010	5,72
48 საუდის არაბ.	23.515	22.504	92.635	14.288	4,10
49 მალაიზია	21.324	20.772	73.628	13.606	4,75
50 პაკისტანი	19.025	18.112	51.229	14.781	3,38
51 ნიგერია	16.973	16.566	43.816	11.523	3,29
52 ბელორუსია	15.778	15.721	49.075	12.666	3,17
53 ვენესუელა	15.416	15.068	80.335	14.506	5,60
54 ტუნისი	14.124	13.748	39.110	9.348	3,91
55 მაროკო	14.009	13.640	54.839	11.534	4,24
56 კოლუმბია	11.238	10.924	61.088	9.442	7,10

ქვეყანა	პუბლიკაცია	ციტირ. პუბლიკ.	ციტატა	თვით-ციტირება	ციტ. რაოდ. ერთ პუბლიკაციაზე
57 ლიტვა	10.343	10.194	46.985	10.422	6,18
58 კუბა	10.342	10.005	43.335	11.230	5,03
59 ალჟირი	9.052	8.973	25.143	5.171	3,95
60 ესტონეთი	9.030	8.900	68.885	14.294	8,79
61 იორდანია	8.936	8.823	28.502	5.621	3,85
62 კენია	8.770	8.376	71.701	13.284	9,19
63 ბანგლადეში	7.835	7.638	31.821	6.424	4,64
64 ინდონეზია	7.791	7.646	46.885	5.526	6,86
65 ქუვეითი	7.675	7.509	32.462	6.020	4,46
66 არაბ.გაერ.საამ.	7.272	6.980	25.530	3.821	4,50
67 ფილიპინები	6.505	6.352	46.499	6.439	7,95
68 ლიბანი	6.254	5.805	28.934	3.483	6,19
69 ვიეტნამი	5.898	5.789	35.795	5.147	7,51
70 პუერტო-რიკო	5.867	5.724	55.577	4.898	10,28
71 ისლანდია	5.121	4.955	69.490	7.426	15,54
72 სომხეთი	4.901	4.845	23.962	4.662	5,25
73 ურუგვაი	4.763	4.607	38.870	6.097	9,53
74 ლატვია	4.626	4.590	26.853	4.808	5,88
75 უზბეკეთი	4.280	4.255	10.566	2.390	2,52
76 ტანზანია	3.928	3.781	27.484	4.737	8,48
77 საქართველო	3.867	3.816	19.063	2.789	5,41
78 პერუ	3.710	3.568	26.712	3.176	9,34
79 კამერუნი	3.659	3.567	19.403	4.244	6,82
80 ეთიოპია	3.640	3.566	18.212	3.700	5,97
81 ომანი	3.637	3.458	12.377	2.035	4,23
82 შრი-ლანკა	3.608	3.393	18.046	2.251	6,17
83 ზიმბაბვე	3.479	3.369	21.143	2.791	5,90

ამ მონაცემებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში რეალურ მკვლევართა რაოდენობას. იმავე ტომსონის მიხედვით, 2008 წელს საქართველოდან საერთაშორისო ჟურნალებში 310 პუბლიკაციის გამოქვეყნებაში მონაწილეობა მიიღო (არა მარტო – მთავარ ავტორად, არამედ – დამხმარედაც) 263 მკვლევარმა. აქედან 150-მა მკვლევარმა 1 სტატიის მომზადებაში მიიღო მონაწილეობა, 78-მა – 2-ის, 19-მა – 3-ის, 11-მა – 4-ის, 3-მა – 5-ის, 2-მა – 6-ის, ხოლო 1-მა – 16-ის. შეიძლება კრიტიკოსებმა თქვან, რომ 16 პუბლიკაციაში ერთი მკვლევრის მონაწილეობა არა-

რეალურია. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ მონაცემის არსებობა საქართველოს მეცნიერების აღწერაში უტყუარია.

ეს რიცხვი კი მიგვითითებს, რომ საქართველოში რეალურ, ანუ აქტიურ მკვლევართა რაოდენობა 500-ს არ უნდა აჭარბებდეს ყველაზე უფრო თამამი დაშვების შემთხვევაში, ანუ თუკი ვივარუდებთ, რომ ამ 261 მკვლევარს შორის ვერმოხვედრილი მკვლევრები ორ წელიწადში ერთხელ აქვეყნებენ სტატიებს, ანდა რთულ თემებზე მუშაობენ და ორ-სამ წელიწადში ერთხელ ახერხებენ სამეცნიერო ქსელში ფორმალურ დაფიქსირებას.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს კარგ კვლევით უნივერსიტეტებში შეფარდება პროფესორებს (რომლებიც ძირითადად მკვლევრები არიან) და სტუდენტებს შორის საშუალოდ ერთი ათთანაა ანუ, ერთ მკვლევარზე მოდის ათი სტუდენტი, მივიღებთ, რომ დღეს საქართველოში ერთი პატარა კვლევითი უნივერსიტეტის (5 ათასი სტუდენტი) პოტენციალი არსებობს.

გამოდის, რომ დღეს მეცნიერთა მცირე რაოდენობა ქმნის ისეთი ხარისხისა და რაოდენობის პროდუქციას, რომელიც არასოდეს ყოფილა საქართველოში. მაგრამ, მეორე მხრივ, თუკი საერთაშორისო ინდიკატორებით შევხედავთ, არც მეცნიერთა და არც მათი პროდუქციის რაოდენობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვთქვათ – საქართველოში მეცნიერების მდგომარეობა თუნდაც დამაკმაყოფილებელია.


მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქვეყანაში სადოქტორო პროგრამების სტუდენტების რაოდენობა კატასტროფულად მცირეა: 2008 წელს ქვეყანაში სულ 728 დოქტორანტი იყო. რაც ნიშნავს ყოველ წელს 100-150 დოქტორის გამოშვების პოტენციას. თავის მხრივ, ეს სულ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მეცნიერების რიცხვი არამც თუ გაიზარდოს, არამედ მათი ახლანდელი რაოდენობა შენარჩუნდეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აქტიურ მკვლევართა ასაკი საკმაოდ ხანდაზმულია – მათი საშუალო ასაკი 50 წელს უახლოვდება.

თუკი რაოდენობრივი ნიშნული გვინდა, თუ რა დონეზე

უნდა იყოს საქართველოს მეცნიერების პროდუქცია, იმისათვის, რომ თავი განვითარებული მეცნიერების მქონედ მივიჩნიოთ, ესტონეთის მონაცემების დონეზე ასვლა სულაც არ იქნება წარმატების ინდიკატორი. ქვემოთ მოცემულია ესტონეთისა და სხვა განვითარებული ქვეყნების მეცნიერთა ციტირებების სამი წლის რაოდენობების შედარება. ეს ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობით, საქართველოს მსგავსად, „პატარა ქვეყნების“ ჯგუფში შეიძლება შევიყვანოთ:

ცხრილი №5

ციტირება - 2007 - 2008 - 2009



რად გვინდა მეცნიერება, ანუ მეცნიერების ადგილი ქვეყნების ეკონომიკაში

ზემოთ მოყვანილი რაოდენობრივი მონაცემები საკმარისია ამ წერილის დასაწყისში აღწერილი საქართველოში მეცნიერების წარსულისა და აწმყოს შესახებ მითის განჯადობისათვის. მაგრამ მეცნიერების მომავლის შესახებაც არსებობს ორი მითიური კონსტრუქცია, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ ორივე მათგანი პოულობს საზოგადოებაში მიმდევრებს.

პირველი (და უფრო დიდი ხნის – ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ბოლო წლებიდან რომ მოდის) ამბობს, რომ მეცნიერება ქვეყნის, განსაკუთრებით პატარა ქვეყნის, პრესტიჟია, მისი სავიზიტო ბარათია მსოფლიოში და ის აუცილებლად უნდა ფინანსდებოდეს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს წამყვან ცენტრებში ჩვენი მეცნიერები

მუშაობდნენ და საქართველო ამით კულტურული და განვითარებული ქვეყნის სახელს იმკვიდრებდეს.

მეორე (ნინა საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა საქართველოში) ამბობს, რომ მეცნიერება უნდა განვიხილოთ არა როგორც ქვეყნის პრესტიჟის, არამედ როგორც ეკონომიკური მოგების წყარო. ამ თეორიის მიხედვით კარგი მეცნიერება ყოველთვის მოგებიანია, ამიტომ, თუკი სწორედ არის ორგანიზებული, მეცნიერებას ყოველთვის მოაქვს მოგება. ეს თეორია მეცნიერებას უყურებს, როგორც ბანკირი – საინვესტიციო პროექტს: თუ მეცნიერება გაამართლებს, მან უნდა დააბრუნოს ის ფული, რომელიც მასში იქნება ჩადებული და შემდეგ დამოუკიდებლად შეძლოს წარმატებული არსებობა.

საინტერესოა, რომ ეს ორივე თეორია საღ აზრზეა დამყარებული და საფუძვლად ყველაფერი შეიძლება ედოს, ყველაფერი, ამ საკითხის ცოდნის გარდა: სატელევიზიო გადაცემებში ნანახი ან გაგონილი (ვინმეს მიერ მოყოლილი), თვითგადარჩენისკენ სწრაფვა, წარსულის ვითარების აღდგენის სურვილი თუ სხვა ნებისმიერი რამ.

პირველი თეორია ამბობს, რომ მართალია, ფუნდამენტურ მეცნიერებებში ჩატარებული კვლევა საქართველოს მატერიალურს ბევრს ვერაფერს მოუტანს, მაგრამ საქართველოში მსოფლიო დონის მეცნიერების არსებობა ჩვენი ცივილიზებულობის და გნებავთ, ევროპელობის ნიშანი იქნება. რამაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტიც კი შექმნას. ეს სალონური თეორია წარმოიშვა საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, როდესაც საქართველოს მეცნიერებამ დაკარგა იარაღის წარმოების ხელშეწყობის აზრი. მეცნიერების არსებობის იდეოლოგიური საფუძვლის გაქრობის შემდეგ ქართველ მეცნიერებსა და ინტელექტუალებს საკუთარი არსებობისა და მუშაობის გამართლებისათვის ახალი არგუმენტების მოძებნა დასჭირდათ.

მეორე თეორია ე.წ. გამოყენებითი მეცნიერების არსებობას ეყრდნობა და ამბობს, რომ სახელმწიფომ მხოლოდ

მომგებიანი და პრაქტიკული პროექტები უნდა დააფინანსოს. ამ მიმართულებით უხვად გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორებიცაა ინოვაცია, ტექნოლოგია, სისტემური მიდგომა და ა.შ. ამ თეორიის მომხრეები ამბობენ, რომ ერთი მხრივ, მხოლოდ ასე შევძლებთ იმ ეკონომიკური დანახარჯის გამართლებას, რომელსაც ამ მიმართულებით გავწევთ, ხოლო მეორეს მხრივ – ამ მიდგომის საფუძველზე გადავარჩევთ დასაფინანსებელ მეცნიერებებს და მიმართულებებს. ამ თეორიის კონტურები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 90-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა საქართველოში, როდესაც სახელმწიფო აპარატში გაჩნდა აზრი ოპტიმალური მეთოდით გადაენაწილებინათ მწირი რესურსები და, მწირი რესურსების მიუხედავად, მაინც განვითარებული მეცნიერება მიეღოთ შედეგად.

თუმცა, მეცნიერების თანამედროვე მართვა ორივე ამ მითოლოგიური კონსტრუქციისგან განსხვავებულია: წმინდა ეკონომიკური და ბიზნეს თვალსაზრისით ყველა ქვეყანაში მეცნიერება წამგებიანია – ყველა იმ გამოყენებითი ლაბორატორიის მომგებიანობის გათვალისწინებით, რომლებიც მაღალტექნოლოგიურ სანარმოებში არსებობს და კონკრეტული ინოვაციების დანერგვაზე მუშაობს. ფუნდამენტურ მეცნიერებებში იმდენი დანახარჯია საჭირო თუნდაც მცირე შედეგის მისაღებად, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია ქვეყანაში მომგებიანი მეცნიერების არსებობაზე. რა თქმა უნდა, ქვეყნის PR-იც არ უდევს საფუძვლად მეცნიერების დაფინანსებას, თუმცა, შესაძლებელია, რომ პოლიტიკურ დისკურსში მეცნიერების ცნება ხშირად ამ აზრით გამოიყენებოდეს.

მეცნიერების როლი თანამედროვე სამყაროში სხვაა: მეცნიერება, ანუ, კვლევის და კვლევის საშუალებით სწავლების არსებობა, საჭიროა ცოდნის ეკონომიკის მისაღწევად: თუკი ქვეყანაში არის კარგი მეცნიერება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში კარგი უნივერსიტეტებია. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყანაში ბევრი განათლებული ადამიანია, რომლებმაც იციან კვლევის მეთოდები, სამყაროსადმი რაციონალური მიდგომა აქვთ

და იციან როგორ დაგეგმონ საკუთარი ცხოვრება. ქვეყანა კარგი მეცნიერების არსებობის პირობებში დამოუკიდებელი, განათლებული ადამიანებითაა სავსე. ეს კი უტყუარი შანსია ქვეყნის ეკონომიკისათვის, გახდეს ცონდაზე და არა ფიზიკური თუ ბუნებრივი რესურსების (რაც ადრე თუ გვიან ინურება ან გამოუსადეგარი ხდება) პრიმიტიულ გამოყენებაზე დაფუძნებული.


შეიძლება პარადოქსია, მაგრამ ქვეყნისათვის კვლევის შედეგები არ არის უშუალოდ ის, რასაც ის პირველ რიგში ელოდება მეცნიერებისგან. მეცნიერების განვითარებამ გვაჩვენა, რომ მეცნიერების ისტორიაში გარღვევები და ნახტომები სრულიად მოულოდნელ და ხშირად – ცარიელ ადგილებზე წარმოიშობა. სახელმწიფო, თუკი მის პოლიტიკოსებს და საზოგადოებას სურთ, რომ ამ ქვეყანაში იარსებოს ცოდნის ეკონომიკამ, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების წევრების ბედნიერებას მოემსახურება, დაინტერესებულია კარგი და მრავალფეროვანი კვლევების არსებობით – არა იმიტომ, რომ ხვალ ვინმე ამ კვლევებისაგან სასწაულს ელოდება, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებმა, რომლებიც ამ კვლევებში მონაწილეობით და ამ კვლევების საშუალებით იღებენ კარგ განათლებას, გააძლიერონ და გაზარდონ ქვეყნის ეკონომიკა. ძლიერი ეკონომიკა კი, თავის მხრივ, კვლევებისა და სწავლების დაფინანსების გაზრდაშიც შეიტანს წვლილს და ასე შემდეგ. საბოლოო ჯამში, ასე ემსახურება მეცნიერება ქვეყანაში საზოგადოების ყოველი წევრის კეთილდღეობისა და ბედნიერების მიღწევის მიზანს, და არა უშუალოდ ტექნოლოგიური სასწაულების და გარღვევების მიზნად დასახვით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ქვეყნების საერთო ეროვნული პროდუქტიდან დანახარჯების პროცენტული წილი მეცნიერებაზე და მეცნიერების დონის მაჩვენებელი ციტირების ინდექსი. ადვილი შესამჩნევია, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკური კეთილდღეობით გამოირჩევიან, მეტს ხარჯავენ მეცნიერებაზე და შედეგებიც უკეთესი აქვთ. მეცნიერებაზე დანახარჯების გაზრდა კი არის არა


ეკონომიკური კეთილდღეობის მომდევნო, როგორც ეს ხშირად ჰგონიათ „მეცნიერების, როგორც პრესტიჟის“, და „მეცნიერების, როგორც მომგებიანი ბიზნესის“ თეორიის მომხრეებს, არამედ – წინმსწრები პროცესი:

ცხრილი 6 და 7

GDP-ის წილი ქვეყნის მონაცემების მიხედვით



ცდომილება 2007 - 2008 - 2009




ამკარაა, რომ მეცნიერების მიღწევების დონე პირდაპირ კავშირშია საერთო ეროვნული პროდუქტის დანახარჯის მოცულობასთან. პროპორციების ჩავარდნები ამ ცხრილებში, ისევე როგორც მე-8 და მე-9 ცხრილში (ლატვიის, აზერბაიჯანისა და ხორვატიის შემთხვევაში) მეცნიერების მართვის სისტემის არამოდერნიზებულობას უნდა მივაწეროთ.

რაც შეეხება სხვა, განვითარებულ ევროპულ ქვეყნებს,


პოზიტიური კავშირი დანახარჯებსა და მეცნიერების დონეს შორის უტყუარია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედარებისთვის შევარჩიეთ ქვეყნები, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ფარგლებშია:

ცხრილი 8 და 9

**კვლევასა და განვითარებაში
დანახარჯების პროცენტული წილი
GDP-ში**



ციტირება 2007 - 2008 - 2009



„მხოლოდ მომგებიანი მეცნიერების დაფინანსების თეორიის“ მომხრეები იტყვიან, რომ ეს ქვეყანაში განეული მთლიანი ხარჯებია და არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან; მაგრამ თუკი ჩახედავთ თუნდაც ინტერნეტში განთავსებულ ცხრილებს, ქვეყნების მიერ მეცნიერება-

ზე [კვლევასა და განვითარებაზე [research & developemnt], როგორც მას დღევანდელ საერთაშორისო დისკურსში ეწოდება] განეულ საბიუჯეტო და სხვა დანახარჯებს, ნახავთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტების წილი ამ დანახარჯებში მაღალია, ხოლო დანარჩენი, ე.წ. არასაბიუჯეტო ხარჯები ძირითადად იმიტომ ჩნდება, რომ სახელმწიფოები სხვადასხვა საკანონმდებლო ხერხით უწყობენ ხელს კერძო პირებსა და კორპორაციებს კვლევისა და განვითარებისათვის თანხის გაღებაში. უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს ხელშეწყობა არ არის პრიმიტიული საგადასახადო შეღავათი.

პირველად – პოლიტიკური ანთროპოლოგია საქართველოში

პოლიტიკური ანთროპოლოგია, როგორც მეცნიერება, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს „ეთნოგრაფიული მეთოდის“ გამოყენებით სწავლობს, ბრიტანეთში შეიქმნა XX საუკუნის პირველ ნახევარში. მეთოდის შემუშავება დაემყარა ბრიტანელი ანთროპოლოგების მიერ აფრიკაში მიღებულ გამოცდილებას, რომლის მიხედვითაც ბრიტანული პოლიტიკური ინსტიტუტების კოპირებამ აფრიკის ქვეყნებში არ მოიტანა მოსალოდნელი შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანული და აფრიკული პოლიტიკური ინსტიტუტები საკანონმდებლო ფორმითა და ფუნქციონირების წესებით ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდნენ. მოგვიანებით პოლიტიკური ანთროპოლოგიის მეთოდის გამოყენება დაიწყო ნებისმიერი საზოგადოების შესასწავლად იმ ფარული, სიღრმისეული სოციალური ინსტიტუტების გამოსავლენად, რომლებიც გადანყვეტილებების მიღებას და პოლიტიკური პროცესების კონკრეტულ სახეს განაპირობებენ.

XX საუკუნის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ანთროპოლოგმა მერი დუგლასმა (Mary Douglas) 1985 წელს სირაკუზის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციების კურსი „როგორ ფიქრობენ ინსტიტუტები“. მოგვიანებით ეს კურსი წიგნადაც გამოიცა. ლექციების ამ კურსმა და წიგნმა სათავე დაუდო ახალ ტალღას ინსტიტუტებისა და ინდივიდების

ურთიერთობის კვლევაში. ძირითადი იდეა, რომელსაც დუგლასი ასაბუთებს წიგნში, არის ის, რომ ორგანიზაციულ გადანყვეტილებებს მეტწილად და უპირატესად განსაზღვრავს არა ძალაუფლების მქონე პიროვნებებს შორის მოლაპარაკება, არამედ ინსტიტუტიციური კულტურა: ინსტიტუტები ახორციელებენ ჩვენი ცოდნისა და გადანყვეტილების უნართა (cognition) სოციალურ კონტროლს. ეს ნიშნავს, რომ თუკი რაიმე მსჯელობა საზოგადოების რომელიმე ჯგუფში ერთხმად არის მიღებული და/ან მასზე საერთო თანხმობა არსებობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის უფრო სოციალურ კონტროლს ეყრდნობა, ვიდრე ინფორმაციასა და ინფორმირებულობას.

ინსტიტუტების მიერ განხორციელებული სოციალური კონტროლის მაგალითი შეგვიძლია შედარებით მარტივი სოციალური ინსტიტუტების სფეროდან მოვიყვანოთ: როდესაც საქმე ეხება საშუალო ფენის ოჯახში მემკვიდრეობით მოულოდნელად მიღებული დიდი ფულის განკარგვის საკითხს, ოჯახის უფროსების გადანყვეტილება – რას მოახმარონ ეს ფული – სახლი იყიდონ, კარგი განათლება მიაღებინონ შვილებს, ფასიანი ქალაქები შეისყიდონ თუ თანხა ბანკში დატოვონ – უფრო იმ შეხედულებაზეა დამოკიდებული, რომელსაც საზოგადოებაში არსებული ოჯახის ინსტიტუტი (ქცევებისა და მეტყველების კოდექსი¹ და პრაქტიკების ერთიანობა) უჭერს მხარს, ვიდრე ოჯახის წევრების მოლაპარაკებასა და შეთანხმებაზე. სხვა ვითარებასა და სხვა საზოგადოებაში შესაძლოა გონივრულად მიეჩნიათ ფულის ეკლესიისთვის შეწირვა, მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ წასვლა, ფულის ვერტმფრენიდან გადმოყრა და ა.შ.

ახლა უფრო რთული ინსტიტუტების მხრიდან სოციალური კონტროლის მაგალითები ვნახოთ: მეტია იმის ალბათობა, რომ ხანგრძლივი ისტორიისა და ძლიერი ინფრასტრუქტურის მქონე ეკლესიაში საეკლესიო პირების მიერ დოგმებზე მსჯელობის დაწყება ერესად იყოს აღქმული და არა ეკლესიის გაძლიერებისკენ მიმართულ ქმედებად.

შესაბამისად, მეტია ალბათობა, რომ საეკლესიო იერარქები დოგმებზე მსჯელობაში ერესს დაინახავენ. ასევე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართული რადიკალური ქმედება ან სიტყვა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის დამნაშავეა, თანამედროვე ლიბერალურ ერთობაში უფრო მეტად აღქმული იქნება როგორც გადამეტებული ღონისძიება; და პირიქით – მეტია ალბათობა, რომ ტრადიციულ საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაული აღქმული იქნება დანაშაულად ეთნიკური წარმომავლობის გამო და არა ამ ადამიანის კონკრეტული თვისებებიდან გამომდინარე. ანუ, როდესაც ინსტიტუტებზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ქცევების, მეტყველების პრაქტიკისა და კოდების კომპლექსს, რომლებიც ყველაზე უფრო მოსალოდნელი და მოთხოვნადია კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფში.

სოციალური ინსტიტუტის ყველაზე მოხერხებული, მაგრამ არამეცნიერული განსაზღვრება, რომელიც მე შემხვედრია, ასეთია: „ის, რაც არსებობს შენს დაბადებამდე“. ანუ ის არამატერიალური სტრუქტურა, რომელშიც შენ შედიხარ, როგორც უკვე არსებულში და რომლის ნაწილიც ხდები.

ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ჯგუფების შეთანხმებული და საყოველთაოდ მოწონებული ქმედებები უნდა განვიხილოთ როგორც უფრო სოციალურ კონტროლზე დამყარებული, ვიდრე ამ ჯგუფში შემავალი კონკრეტული ადამიანების მოტივებიდან და პიროვნული ღირებულებებიდან გამომდინარე.

აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტები: პოლიტიკური ინსტიტუტები კანონებით, მოქმედების დაწერილი წესებით და ხშირად კონკრეტული პოლიტიკური თანამდებობებით წარმოდგენილი სისტემებია, რომლებიც უზრუნველყოფს პოლიტიკაში ჩართული ადამიანებისა და ძალაუფლების განაწილებას;

სოციალური ინსტიტუტები კი ქცევებისა და მეტყველების ის უხილავი კოდები და სისტემებია, რომლებშიც პოლიტიკური ინსტიტუტები არსებობს და თანაარსებობს. მაგალითისათვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოქალაქეობის სოციალური ინსტიტუტი დემოკრატიულ ქვეყანაში არის ის, რომელშიც და რომლის ძალითაც ის პოლიტიკური ინსტიტუტები (მაგ. პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი, სასამართლო, პოლიცია) არსებობს, რომლებიც თავის მხრივ განაპირობებენ დემოკრატიული ქვეყნის (მაგ. ბრიტანეთის, აშშ-ის, საფრანგეთის) დღევანდელ პოლიტიკურ სახესა და შინაარსს. სოციალური მეცნიერების მიდგომას, რომელიც სოციალური ინსტიტუტებიდან გამომდინარე განიხილავს საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ინდივიდების პოლიტიკურ ქცევას, პოლიტიკური ანთროპოლოგია ეწოდება. ამ მიდგომის მიხედვით, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები იმ პოლიტიკური და სოციოლოგიური თეორიების გამოყენებით კი არ უნდა აღვწეროთ, რომლებიც უკვე ვიცით, არამედ უნდა დავაკვირდეთ მიმდინარე პროცესებს და ამ პროცესების გენერალიზაციით, რედუცირებითა და ანალიზების მოხმობით აღვწეროთ („დავიჭიროთ“) ქვეყნის ის პრაქტიკები და კოდები, ანუ ის სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც მიმდინარე პროცესებს უდევს საფუძვლად.

პოლიტიკური ანთროპოლოგიის მეთოდის გამოყენება მით უმეტეს გამართლებულია ჩვენში არსებული პოლიტიკური პროცესებისა და გადაწყვეტილებების გასაანალიზებლად: ზემოთქმულიდან გამომდინარე, უდავოდ საინტერესოა, რას წარმოადგენენ სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც დღეს ჩვენს გარემოში განაპირობებენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას და ამ გადაწყვეტილებების მხარდაჭერას პოლიტიკაში ჩართული საზოგადოების წევრების მიერ. ეს მიდგომა პროდუქტიული უნდა იყოს იმ რეალობის გათვალისწინებით, რაც ბოლო დროს მივიღეთ, და იმ ვითარების გამოც, რომელიც ბოლო დროს შეიქმნა ამ რეალობის ანალიზის თვალსაზრისით. პოლიტიკური

სუბიექტების ნებისმიერი შეფასება მიუღებლობისა და გაუზიარებლობის კედლებს ანყდება. ამ შეფასებათა მიღებამიუღებლობის ძირითადი პრობლემა, ჩემი აზრით, ის არის, რომ ანალიტიკოსები პოლიტიკოსების, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართული პროფესიონალებისა და მათი მიმდევრების ამა თუ იმ გადაწყვეტილებას და მოქმედებას მათი პიროვნული თვისებებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე აღწერენ, რაც უმეტეს შემთხვევაში მიახლოებულიც კი არ არის ამ პოლიტიკოსებისა და მათი მიმდევრების წარმოდგენასთან საკუთარ თავზე. ამის მაგალითია ამ ბოლო დროს გახშირებული პარალელები კანონიერი ქურდების ქცევასა და „უცნობის“ პოლიტიკურ პრეზენტაციებს შორის²; ბრალდებად ქცეული ანალიზი, რომლის მიხედვითაც რადიკალური ოპოზიცია, თუ განზრახ არა, არაცნობიერად მაინც რუსეთის დავალებას ასრულებს; ხელისუფლების, როგორც ადამიანის უფლებების პერმანენტული დამრღვევის, უფრო რადიკალური შეფასებით – როგორც კაციჭამიების, მკვლელების, კრიმინალების და ა.შ. ჯგუფის, მოქმედებათა უკვე სოციალურ კონსტანტად ქცეული აღწერა. ასეთი მოუხეშავი ანალოგიები პოლიტიკური პოზიციების მატარებლებში ინვესს არა დაფიქრებასა და თვითკორექტირების სურვილს, არამედ – გაღიზიანებას და შეფასების ავტორის ერთმნიშვნელოვან „განთავსებას“ რომელიმე პოლიტიკურ ბანაკში.

ზემოთ აღწერილი მეთოდით მიდგომა, ვფიქრობ, პიროვნებებზე მითითებისა და მათთვის იარლიყის მიკერების ხიფათს აგვარიდებს. ვაპირებ, აღწერო ქცევისა და მეტყველების კოდები, რომლებიც კოლექტიურად აღიარებული გადაწყვეტილებებიდან და კოლექტიური ქცევებიდან გამომდინარეობს, და არა კონკრეტული ადამიანების ფსიქოტიპები და ღირებულებითი პრიორიტეტები. შედეგად მივიღებთ იმ სოციალური ინსტიტუტების (ან ინსტიტუტის) აღწერას, რომლებშიც დღევანდელი პოლიტიკური ინსტიტუტები მოქმედებენ და ურთიერთმოქმედებენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ჩვენ

პოლიტიკური გარემოს ანალიზისათვის პოლიტიკური ანთროპოლოგიის მეთოდის გამოყენებისაკენ გვიბიძგებს, არის როგორც რადიკალური ოპოზიციის, ასევე მმართველი პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკური პროგრამების სქემატური ხასიათი³, რაც მაფიქრებინებს, რომ ეს პროგრამები იმიტომაცაა სქემატური, რომ რაღაც სხვაზე მიუთითებს და თავისთავადი მნიშვნელობა არა აქვს. ის რაღაც კი, რაზედაც ეს სქემები მიუთითებს, სავარაუდოდ, ის სოციალური ინსტიტუტებია, რომლებიც პოლიტიკურ სუბიექტებს მოქმედებისა და დისკურსის კონკრეტული ფორმებისაკენ მიმართავს. ამ შემთხვევაში პოლიტიკური პროგრამა კოდირებული გზავნილის როლს ასრულებს, რომლის მიღების შედეგად სოციალური ინსტიტუტის ნევრისათვის ცხადი ხდება, რომ ეს მის სოციალურ ინსტიტუტში შემავალი ჯგუფის მიერ გაკეთებული განაცხადია. შესაბამისად, თუკი ეს ასეა, ინდივიდები ორივე მხარეს მოქმედებენ უფრო როგორც სოციალური ინსტიტუტის წარმომადგენლები, ვიდრე პოლიტიკური პარტიის ან პარტიათა კოალიციის წევრები.

დღევანდელ პოლიტიკურ პროცესებში ჩართული ინდივიდების კოლექტიურ ქცევათა და საჯარო გამოთქმათა ანალიზით ყალიბდება დისკურსული და ქცევითი კოდების ორი ჯგუფი (თითოეულში ოთხი კოდია), რომელთაგან ერთს უმეტესად რადიკალური ოპოზიციის, ხოლო მეორეს უმეტესად ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლები და მხარდამჭერები ეკუთვნიან. ესენია:

რადიკალური ოპოზიციის ქცევისა და დისკურსის კოდები:

1. ყველაზე უფრო მისაღებია, იყო მედიატორი და მსაჯული, ყველაზე მიუღებელი – იყო ჩართული და წარმომადგენდე მხარეს;

2. ერთადერთი პოლიტიკური პოზიცია, რომელიც შეიძლება გეკავოს, არის ის, რომლის შესახებაც უკვე არსებობს უპირობო თანხმობა იმ ჯგუფში, რომელსაც მიაკუთვნებ საკუთარ თავს;

3. არსებობს უპირობო ავტორიტეტი, რომელიც უნდა აღიარო და რომელსაც უნდა დაემორჩილო. მაგრამ ავტორიტეტად აღიარება რთული და საპასუხისმგებლო საქმეა და შეცდომა დაუშვებელია;

4. ნებისმიერი პოლიტიკური აქცია/ქმედება მხოლოდ სამართლიანობის აღდგენისა და ღირსების დაბრუნებისკენ შეიძლება იყოს მიმართული.

მმართველი პარტიისა და ხელისუფლების ქცევისა და დისკურსის კოდები:

1. საკუთარი შეცდომის აღიარება ღირებულებაა;

2. შეთანხმებული ღირებულებების იგნორირება შესაძლებელია, თუკი არსებობს არჩევანი ამ ღირებულებებსა და სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს შორის;

3. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, ვინ არის ჩვენ შორის ავტორიტეტი, რომელსაც დავემორჩილებით.

4. ნებისმიერი პოლიტიკური ქმედება, რომელიც არსებული ვითარების შეცვლას ისახავს მიზნად, ღირებულია.

კოდების ამ ორივე კომპლექსს ბევრნაირი და მრავალმხრივი გამოვლინება აქვს.

მაგალითად, რადიკალური ოპოზიციის ქცევის კოდები ვლინდება როგორც რადიკალური ოპოზიციური პარტიების ქმედებებში, ასევე პოლიტიკურ ექსპერტთა, პოლიტიკური თოქ-შოუების წამყვანთა, უბრალოდ, რადიკალური ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა ქცევებში და პერფომანსებშიც კი. ამის დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითია: რადიკალური ოპოზიციური პარტიების მცდელობა, არსებული პოლიტიკური კონფლიქტი წარმოეჩინათ არა ორი პოლიტიკური ჯგუფისა და მათი მხარდამჭერების დაპირისპირებად, არამედ ხელისუფლებისა და ხალხის კონფლიქტად, ხოლო საკუთარი თავის როგორც „საქმის გამრჩევისა“ და სამართლიანობის დამდგენის რეპრეზენტაცია მოეხდინათ; ასევე – მათი მხრიდან კონკრეტული პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებაზე უარის თქმა – გარდა იმ პოზიციისა, რომ ისინი უპირობოდ იცავენ ადამიანის უფლებებსა და სამართლიანობას; პატრიარქის ავტორიტე-

ტის უპირობობის მანიფესტაცია მიუთითებს, რომ ისინი ზემოთ აღწერილი ოპერაციული კოდების მიხედვით მოქმედებენ; ამ ბოლო დროს ზოგიერთი პოლიტიკური ექსპერტის სწრაფვა, მაქსიმალურად დააფიქსიროს არა საკუთარი კომპეტენცია, არამედ საკუთარი ობიექტურობა, განსაჯოს ორივე მხარე ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის უპირობო პოზიციაზე დაყრდნობით.

არ შემძლია მაგალითად არ მოვიყვანო ორი ადამიანის კამათი „რია ნოვოსტის“ სტუდიაში: ერთ-ერთი მათგანი საკმაოდ ცნობილი პოლიტოლოგი და პარლამენტის წევრია, მეორე – ექსპერტის Label-ის მატარებელი. კამათისას ექსპერტმა უთხრა პოლიტოლოგს, რომ ის არ არის ექსპერტი, რაზედაც გაბრაზებულმა პოლიტოლოგმა მიუგო, რა გაქვს სალაპარაკო, როდესაც პოლიტოლოგიის ელემენტარული ცნებები არ იციო. ექსპერტმა მშვიდად უპასუხა: სამაგიეროდ, მე ობიექტური ვარო.

ამავე რიგში ენერება პეტიციების წყება, რომლებიც აპრილ-მაისში გამოჩნდა – საზოგადოების ცნობილი სახეების მიერ ხელმოწერილი და რომლის დისკურსი იგივე იყო: ჩვენ ობიექტურები ვართ, არ ვიცი, ვისი პოლიტიკური პოზიციაა სწორი, მაგრამ მთავარი ადამიანის უფლებები და სამართლიანობაა; ასევე – ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლების მოწოდება ღირსების აღდგენისაკენ, თითქოს ღირსების აღდგენა თავისთავად ცხადი პოლიტიკური პროგრამა იყოს; და ბოლოს – თოქ-შოუების ნამყვანთა უმეტესობის პოზიცია – კი არ დაეხმაროს სტუდიაში მოწვეულს გამოხატოს თავისი პოზიცია და ამ გამოხატვისას დააფიქსიროს წინააღმდეგობა, არამედ სიტყვაზე გამოიჭიროს სტუმარი და დაუმტკიცოს, რომ ის მტყუანია.

ქცევის თუ დისკურსის ეს ფორმები ხან კანონიერი ქურდების ინსტიტუტს გვახსენებს (მაგ., საკნების სიმბოლიკა და მთავარ საკანში მყოფი უცნობი, სადაც ოპოზიციის

მხარდამჭერები მიდიან საქვეყნო საქმეებზე სალაპარაკოდ, ხან – საბჭოთა ინტელიგენციას (ხელოვნების დარგის წარმომადგენელთა პეტიციები), ხან – კომუნისტური პარტიული ელიტის დისკურსს, როდესაც საკუთარი პრივილეგიების მოპოვების სურვილი უმაღლესი ღირებულებების დაცვით ინიღბებოდა (მაგ., ღირსებისა და ქართველობის დაბრუნება).

ამავე დისკურსული კოდის ერთი საინტერესო გამოვლინებაა ქართული ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების წარმომადგენლების მიერ საკუთარ სტატიებში სხვა ქვეყნების მეცნიერებთან შედარებით საკუთარი კოლეგების მინიმალური ციტირება; თითქოსდა მათ ამის გაკეთება რცხვენიათ. სინამდვილეში, ზემოთ აღწერილი კოდების მიხედვით, ვინმეს დასახელება ნიშნავს მის აღიარებას ავტორიტეტად. ეს კი, ამავე დისკურსის თანახმად, საფრთხილო და საპასუხისმგებლო საქმეა – არ უნდა შეგეშალოს და ვინმე უსაფუძვლოდ არ უნდა გამოაცხადო ავტორიტეტად.

აღსანიშნავია, რომ ამავე დისკურსული კოდის ნაწილია კრიტიკული სიტყვიერი თუ პერფორმანსული ეპატაჟები ქართველი ერის მიმართ: საზოგადოებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ახალი დისკურსი აქ ვერ „ხარობს“, ის ზედმეტად ტრადიციულია – სულ ერთია, ქართველი ერის მიმართ კრიტიკა ლაშა ბუღაძის პირიდან მოდის თუ ანრი ჯოხაძის კლიპიდან. თითქოსდა სტერეოტიპების დამრღვევი პოლიტიკური სატირა, რომელიც ანრი ჯოხაძემ დადგა, ვერ გავიდა საყოველთაოდ მიღებული და დადგენილი წარმოდგენების მიღმა და ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერის“ მეტი ვერაფერი ვერ მოიფიქრა ტექსტად. რას არ შეხვდებით ამ დისკურსის მატარებელი ხალხის თვითგამოხატვებში: ილია ჭავჭავაძის, კონსტანტინე კაპანელის, მერაბ მამარდაშვილის, აკაკი ბაქრაძის სიტყვებისა და განწყობების

კოპირებას, მაგრამ ყველა ამ კოპირების უკან მკაცრი სახით დგას დისკურსული კოდი, რომლის მიხედვითაც ამ საზოგადოებაში არსებული და მიღებული ლანძღვის წესსაც კი არ უნდა გადაუხვიო და მხოლოდ ისე უნდა ილაპარაკო, როგორც უპირობო ჯგუფური შეთანხმება გავალდებულებს, რაც არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნების შემთხვევაში ასე არ იყო: ყოველი მათგანი ახალ დისკურსს ქმნიდა ან ახალი დისკურსი გადმოჰქონდა ქართულ სინამდვილეში.

დისკურსული და ქცევითი კოდების ეს ერთიანობა ერთ კონკრეტულ სოციალურ ინსტიტუტზე მიგვითითებს, რომელიც ჩვენი წარსულის განუყოფელი ნაწილია და რომელსაც მოქალაქის ძველი სოციალური ინსტიტუტი შეიძლება დავარქვათ. ამ ინსტიტუტისთვის შეიძლებოდა საბჭოთა საქართველოს მოქალაქის სოციალური ინსტიტუტი დაგვერქმია, მაგრამ მაშინ მკითხველების მხრიდან ღირებულებით, შეფასებით აღქმას ვერ გავექცევოდით. ეს იმ დისკურსებისა და ქცევათა კოდების კომპლექსია, რომლებიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა საბჭოთა საქართველოში. მის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური პროცესები მონაწილეობდა. მოქალაქის ამ სოციალურ ინსტიტუტში გაერთიანდა კანონიერი ქურდების, ინტელიგენციისა და პარტიულ-მმართველობითი ელიტის კოდების ნაწილი. საბოლოოდ მივიღეთ სოციალური ინსტიტუტი, რომელიც სოციალურ სივრცეში გამოიხატება, როგორც კონკრეტული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პოზიციის დაუკავებლობა, მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი მხარდაჭერის დაფიქსირება, მსაჯულობა და განსჯა როგორც უმაღლესი ღირებულება, ღირსება და სამართლიანობა როგორც მოქმედების ერთადერთი ორიენტირი. ეს ქცევის ის კოდებია, რომელთაგან გამომდინარეობდა როგორც ქართველი ინტელიგენტის, ასევე პარტიული აქტივისტისა და კანონიერი ქურდის ქცევა და დისკურსი.

ამ განწყობის „ბრალია“, რომ 2003-2007 წლებში ხელისუფლების მიერ წამოწყებული რეფორმების ვერც ერთმა ტალღამ ვერ მოიპოვა ვერც ე.წ. ყოფილი საბჭოთა ინტელიგენციის და ვერც იმ ახალგაზრდების მხარდაჭერა, რომლებსაც საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად აღიარებული პოზიცია ეკავათ: ეს მხოლოდ იმ რეფორმებმა დაიმსახურა, რომელთა მიზანიც ძალიან ცხადად და უპირობოდ პოზიტიურად გამოიყურებოდა. ამიტომ ხელისუფლებამ მხოლოდ ორი მიმართულებით მიიღო მხარდაჭერა ამ ჯგუფებისგან – პატრულის რეფორმაზე და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. სხვა მიმართულებებმა, იქნებოდა ეს სასწავლო გეგმების ლიბერალურ პრინციპებზე დამყარება, სასამართლოს ინკვიზიციური ფორმიდან შეჯიბრობითობისაკენ მოძრაობა თუ ეკონომიკური რეფორმები, ვერ მიიღო ამ დისკურსის მატარებლების მხარდაჭერა სწორედ ამ რეფორმების კომპლექსურობისა და არაერთმნიშვნელოვნების გამო. ამიტომ მათი მხრიდან რთულ და კომპლექსურ რეფორმებზე მსჯელობისას იღებ პასუხს „არ ვიცი“, ან „საიდან იცი“. ამ შემთხვევებში ისინი დისკუსიაში არ მონაწილეობენ და საზოგადოებისათვის და თუნდაც მათთვის ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს (უმალლესი განათლების რეფორმა, სასამართლოს კონკრეტული მოწყობა, ინვესტიციების ტიპი და ხელშემწყობი გარემოს ფორმირება) მხოლოდ პოლიტიკოსებს უტოვებენ გადასაწყვეტად, რათა შემდეგ შეაფასონ და განსაჯონ.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერები აღტაცებულნი არიან საბჭოთა საქართველოს იდეით და იქ უნდათ დაბრუნება. ეს, უბრალოდ, ნიშნავს, რომ საბჭოთა საქართველოს დროს ჩამოყალიბებული მოქალაქის სოციალური ინსტიტუტი

ჯერ კიდევ ძლიერია (კვლავ გაძლიერდა) და აღზრდისა და სოციალიზაციის შემორჩენილი სისტემებისა და ქვე-სისტემების მეშვეობით, ის მათზეც ზემოქმედებს, ვისაც საბჭოთა კავშირში დიდხანს არ უცხოვრია ან საერთოდ არ უცხოვრია.

რაც შეეხება სახელისუფლებო-მმართველობით ქცევით და დისკურსულ კოდებს, ისინიც სოციალური ინსტიტუტის პარამეტრებსა და საზღვრებს გვიდგენენ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ინსტიტუტის შემოთავაზებული კოდები რადიკალურად განსხვავდება მოქალაქის ძველი ინსტიტუტის კოდებისაგან. თუკი ამ ინსტიტუტის ადგილის მოძებნასა და დახასიათებას დავაპირებთ, იმ ქცევებისა და დისკურსული კოდების ერთობლიობას მივადგებით, რომლებიც საბჭოთა ეპოქაში შეიქმნა დისიდენტური კულტურის სახით და სოციალურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ დისიდენტური კულტურა საქართველოში უფრო ნაციონალისტური იყო, ვიდრე ადამიანის უფლებადაცვითი. შესაძლოა, ნაწილობრივ ამით აიხსნება ამ ახალი სოციალური ინსტიტუტის ქცევის კოდი, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებების დაცვა, ერი-სახელმწიფოსა და სოციალური ცვლილებების კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, მეორეული შეიძლება იყოს.

რაკი აღარ არსებობდა საბჭოთა კავშირი, რომელთან დაპირისპირებაც დისიდენტური კულტურის მთავარი მაცოცხლებელი ძალა იყო, დისიდენტობამ გაქრობა/ გადასხვაფერება დაიწყო. მისი ადგილი საზოგადოებაში დაიკავა არასამთავრობო ორგანიზაციათა კულტურამ, რომელმაც დისიდენტური ქცევისა და დისკურსის კოდები შეიერთა. საბოლოოდ, 2003 წლისათვის ამ კულტურის მატარებლებმა გააკეთეს განაცხადი, რომ შეძლებდნენ მოქალაქეობის ძველი სოციალური ინსტიტუტის, ანუ

პოლიტიკური ინსტიტუტების მიმოქცევისა და ურთიერთქმედების საფუძვლის, ჩანაცვლებას ახალი სოციალური სივრცით/ინსტიტუტით. ამ სოციალური ინსტიტუტის ზემოთ ჩამოთვლილი კოდები ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერების ნებისმიერ ქცევაში ვლინდებოდა და ვლინდება: 2004-2007 წლებში – ადამიანის უფლებების მინიმალისტურ დაცვასა და რადიკალურ ცვლილებებზე ორიენტირებაში [ეს ცვლილებები რადიკალურია მაშინაც, როდესაც უკვე რადიკალურად შეცვლილის ისევ წინა მდგომარეობაში დაბრუნებაზე იწყება ლაპარაკი.], 2008 წლიდან – სოციალურად ორიენტირებულ მთავრობად გადაქცევის მცდელობაში, ნეპოტიზტური ეკონომიკის მაქსიმალურად თავისუფალ ეკონომიკად გარდაქმნასა და შემდეგ მის სქემატურ ორგანიზებულობაში. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ეს ახალი ინსტიტუტი, რომელსაც ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები სთავაზობენ მოქალაქეებს, მთლიანად ცვალებადობაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ცვალებადობა და ცვლილებები ამ სოციალური ინსტიტუტის ღერძია.

მაშასადამე, ჩვენი სინამდვილის პოლიტიკური ანთროპოლოგიის მეთოდით ანალიზისას მივედით დასკვნამდე, რომ დაახლოებით 2007 წლიდან დღემდე ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში მოქალაქეობის ორი სოციალური ინსტიტუტი ებრძვის ერთმანეთს. საგულისხმოა, რომ ეს ბრძოლა მიმდინარეობს არა ერთი სოციალური ინსტიტუტის ფარგლებში, როგორც ეს ხდება ხოლმე განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის ერთი ინსტიტუციური მნიშვნელობა არსებობს, ხოლო პოლიტიკური ბრძოლა ამ ინსტიტუტების საკუთარი ინდივიდებითა და იდეოლოგიებით შესავსებად ჩაღდება. ჩვენს შემთხვევაში ორივე სოციალურ ინსტიტუტს საკუთარი წარმოდგენა აქვს ამ პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ. ამიტომ პრაქტიკულად შეუძლებელია მათ ის სახეც შეინარჩუნონ, რაც ახლა აქვთ, და ამავე დროს მათ შორის თანხმობამ დაისადგუროს – საერთო წესებით

თამაშზე შეთანხმდნენ. ასე რომ, არა პოლიტიკურ, არამედ სოციალურ-ინსტიტუციონალურ კონფლიქტთან გვაქვს საქმე.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ის სოციალური ინსტიტუტი, რომლის წარმომადგენლებიც მთავრობა, ხელისუფლება და მათი მხარდამჭერები არიან, დისიდენტური და არასამთავრობო ორგანიზაციათა ქცევისა და დისკურსული კოდების გაერთიანების შედეგად შეიქმნა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს სოციალური ინსტიტუტი სწორედ იმ ხალხის შექმნილია, ვინც 2003 წელს ვარდების რევოლუცია მოახდინა და ვარდების რევოლუციის წარმატებაც ამაზე იყო დამყარებული: ახალი სოციალური ინსტიტუტის (და არა პოლიტიკური მოქმედების გეგმის) შეთავაზება, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა არსებულისაგან (მოქალაქის ძველი სოციალური ინსტიტუტისაგან). იგი ახალ, მანამდე განუცდელ, ტოტალურ ცვლილებებზე დაფუძნებულ სამყაროს სთავაზობდა მხარდამჭერებს. ამ ახალ ინსტიტუტს პირობითად შეიძლება „მოქალაქის ახალი სოციალური ინსტიტუტი“ ვუწოდოთ.

მოქალაქის ძველ სოციალურ ინსტიტუტს რამდენიმე წელი დასჭირდა იმისათვის, რომ გამოცოცხლება/აღდგენა დაეწყო: მას ახალი სოციალური ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ წარმატებით წაერთვა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად მოქალაქეობის ძველი სოციალური ინსტიტუტის საყოველთაო თანხმობის იდეოლოგია, რომელსაც პირობითად „ღირსების ხელშეუხებლობა და სამართლიანობა“ შეიძლება დავარქვათ. ძველ სოციალურ ინსტიტუტში ღირსება ნიშნავდა მმართველების ღირსებას, ხოლო სამართლიანობა მეტისმეტად იყო შეფერილი კრიმინალური, კანონიერ-ქურდული წარმოდგენებით. რამდენიმე წლის შემდეგ კი მისი აღდგენა/გაცოცხლება მოხდა იმ ადამიანებისა და ჯგუფების დახმარებით, რომელთაც ხელისუფლების მიერ შეთავაზებულმა ახალმა სოციალურმა ინსტიტუტმა იმედი გაუცრუა. ამ იმედგაცრუების პიროვნული მიზეზი უამრავი შეიძლება იყოს – უკმაყო-

ფილება ახალი მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნათა მინიმალისტური შესრულებით ან, ზოგიერთი შეფასებით, საერთოდ იგნორირებით; საკუთარი თავისა და ჯგუფის ახალი სოციალური ინსტიტუტის იერარქიულ სიმაღლეებზე ვერაყვანა; ხელისუფლების წარმომადგენელთა ქცევის ესთეტიკური ან, უბრალოდ, პიროვნული მიუღებლობა და ა.შ.

საქართველოს მოქალაქეობის ძველმა ინსტიტუტმა ახალი მხარდაჭერა სწორედ იმ ხალხისგან მოიპოვა, ვინც ნელ-ნელა ემიჯნებოდა ახალ სოციალურ ინსტიტუტს: მათ მიერ გამოყენებული ადამიანის უფლებადაცვითი დისკურსი აღმოჩნდა სწორედ ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც მოქალაქის ძველმა სოციალურმა ინსტიტუტმა იპოვა ის პოლიტიკური პოზიცია, რომლის მიმართაც მის მხარდამჭერებში უპირობო თანხმობა იარსებებდა. ამავე დროს, ხელისუფლების მიერ სამართლიანობის აღდგენის ეგიდით განხორციელებულმა ქმედებებმა ბევრი ადამიანის არტიკულირებული პროტესტი გამოიწვია, რადგანაც მათი წარმოდგენა სამართლიანობასა და ღირსებაზე ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც მათ და მათ ახლობლებს დაემართათ „მთავრობის გამო“. შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვას „ბუნებრივად“ შეერია ღირსებისა და სამართლიანობის აღდგენის კონცეფცია და შედეგად მივიღეთ ძველი სოციალური ინსტიტუტი, რომელმაც ნელ-ნელა ძალების მოკრება და აღდგენა დაიწყო და რომელსაც უეჭველ და უპირობო იდეათა ახალი სისტემა ჰქონდა.

ამ ძალთა მოკრებისა და აღდგენის მნიშვნელოვანი საფუძველი იყო ის ხალხი, ვინც უარი თქვა ახალ სოციალურ ინსტიტუტში მონაწილეობაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიზეზი ბევრი იყო – ხელისუფლების წევრთა ზედმეტი გულგრილობა საკუთარი მხარდამჭერების, საკუთარი სოციალური ინსტიტუტის წევრების მიმართ, პირადი ამბიციები, ხალხის წარმოდგენების შეუთავსებლობა იმასთან, რასაც ხელისუფლება აკეთებდა სამართლის განხორციელების მხრივ და ა.შ. ხელისუფლების გულგრილობა

საკუთარი სოციალური მოკავშირეების მიმართ ადვილად აიხსნება – 2003 წლიდან მოქალაქეობის სხვა ინსტიტუტი, რომელიც ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ მოქალაქეობის სოციალური ინსტიტუტის კონცეფციას კონკურენციას გაუწევდა, უბრალოდ, არ არსებობდა, თუნდაც იმიტომ, რომ ძველ, დამარცხებულ მოქალაქეობის ინსტიტუტს არც ფილოსოფიური და არც ადამიანური რესურსები აღარ გააჩნდა. მაგრამ ნელ-ნელა ახალი მოქალაქეობის სოციალური ჯგუფის წევრობაზე უარის მთქმელთა „მისაკუთრება“ საქართველოს მოქალაქის ძველმა სოციალურმა ინსტიტუტმა დაიწყო. ამის მიზეზი რამდენიმეა:

1. ოპოზიციურმა პარტიებმა აღმოაჩინეს, რომ ყველაზე წარმატებული დისკურსი ადამიანის უფლებაცვითი დისკურსია და არა – პოლიტიკურ-პროგრამული;

2. ეს დისკურსი დაემთხვა იმ ადამიანების დისკურსს, რომლებმაც უარი თქვეს ახალი სოციალური ინსტიტუტის წევრობაზე და ცვლილებების კოდს დაუპირისპირდნენ;

3. ყოფილმა ნომენკლატურამ და მათმა სოციალურმა თუ ფიზიოლოგიურმა შთამომავლებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანის უფლებების დაცვა სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს. შესაბამისად, მათ საშუალება მიეცათ თავიანთი ძველი „სამართლიანობის“ კოდი შემოეტანათ ახალ სისტემაში და მასში განეწვრიანებულყვნენ. შედეგად, ამ სამი ფაქტორის გადაკვეთით აღდგა მოქალაქის ძველი სოციალური ინსტიტუტი, სადაც საყოველთაოდ გაზიარებულ იდეათა სისტემაში სამართლიანობისა და ღირსების დაცვის უპირობო მოთხოვნას ადამიანის უფლებების დაცვა დაემატა.

ვერ ვიტყვი, რომ ამ ახალი/ძველი სოციალური ინსტიტუტის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მსურველი აქტიური წევრების რაოდენობა დიდია. ეს იმიტომ, რომ პოლიტიკური მოძრაობის თვალსაზრისით, ძველი ინსტიტუტი წინააღმდეგობრივია: გარდა იმისა, რომ ჩვენს სინამდვილეში მას შეუძლია დიდი რაოდენობით წევრების შემოერთება, ჩაურევლობასა და მხარდაუჭერლობას იღებს

ოპერაციულ კოდად. ამიტომაცაა, რომ რადიკალური ოპოზიციის მომხრეები საპროტესტოდ დიდი რაოდენობის ხალხს ვერ კრებენ, თუმცა მომიტინგეთა რაოდენობაზე გაცილებით მეტი იქნება იმ ხალხის რიცხვი, ვინც მათ არჩევნების შემთხვევაში ხმას მისცემს. თუმცა ეს რიცხვი ვერ გადააჭარბებს ხელისუფლების მხარდამჭერთა რიცხვს, რადგანაც საქართველოს მოქალაქეობის ძველი ინსტიტუტისადმი მიკუთვნებულობის ხიბლი ბევრად უფრო მცირე და ზომიერი იყო რეგიონების მცხოვრებლებში. ამიტომ, თბილისელებისგან განსხვავებით, პოლიტიკური ანთროპოლოგიის თვალთახედვით, 26 მაისის შემდეგ რადიკალური ოპოზიცია პოლიტიკური უთანხმოების გამო კი არ გაიყო [მათი პოლიტიკური მოთხოვნები, თუნდაც ფორმალურად, იგივე დარჩა], არამედ, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ გუბაზ სანიკიძემ და კონსტანტინე გამსახურდიამ 70-იანი წლების კულტურული ნაციონალიზმის პოლიტიკური გამოყენების აღდგენა მოინდომეს, ხოლო ირაკლი ალასანიამ – ახალი მოქალაქეობის ინსტიტუტში დაბრუნება.

თუნდაც იმიტომ, რომ კარგად ესმის (ინგლისური ენის კარგად ცოდნის გამო), რას ეუბნებიან ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები, რომელთა ნათქვამს ამ სტატიაში შემოთავაზებული ცნებებით თუ ვთარგმნით, მივიღებთ, რომ რადიკალური ოპოზიცია უნდა დაბრუნდეს (ან შევიდეს) იმ სოციალურ ინსტიტუტში, სადაც პოლიტიკური ინსტიტუტების მათთვის (ევროპელებისა და ამერიკელებისათვის) ნაცნობი მნიშვნელობები მოქმედებს. ეს ერთმნიშვნელოვნად სულ არ ნიშნავს სააკაშვილის მხარდაჭერას. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ „დასავლეთი“ სააკაშვილის შემოთავაზებულ ახალ სოციალურ ინსტიტუტში დაბრუნებას მოუწოდებს, რადიკალური ოპოზიციის ადეპტების მიერ ეს სააკაშვილის მხარდაჭერად აღიქმება.

მართალია, ალასანიას ჯერჯერობით არც ძველ ინსტიტუტთან გაუნყვეტია ურთიერთობა, მაგრამ თუკი თავის გადაწყვეტილებებს არ შეცვლის, ადრე თუ გვიან ამ არჩევანის გაკეთება მოუწევს. ორივე ეს ქმედება მნიშვნელოვნად დაასუსტებს ძველ ინსტიტუტს – ალასანია „ნამოიღებს“ პოლიტიკური კამათის შესაძლებლობას ერთი სოციალური ინსტიტუტის საფუძველზე, ხოლო სანიკიძე და გამსახურდია კულტურულ-ნაციონალისტურ დისკურსს გამოაცლიან მას.

სოციალურ ინსტიტუტებს პოლიტიკური პარტიები-საგან განასხვავებს ის, რომ მათი წევრები ერთმნიშვნელოვნად არ არიან შემოფარგლული წევრობის პოლიტიკური ვალდებულებით. ამიტომ მოქალაქეობის ძველი სოციალური ინსტიტუტის წარმომადგენლები მრავლად იყვნენ სააკაშვილის ხელისუფლებაში და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლაც არიან. ის, რომ რადიკალური ოპოზიციის ლიდერების აბსოლუტური უმრავლესობა სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლია, ამის დასტურია.

რით დამთავრდება ეს პროცესები, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ცხადია, რომ საქართველოს მოქალაქის ძველი სოციალურმა ინსტიტუტმა თავის პიკს 2007 წლის 7 ნოემბერს და 2009 წლის 26 მაისს მიაღწია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის გაქრება – როგორც ზემოთ აღწერილმა პროცესებმა დაგვანახა, მისი აღდგენა ძალიან შემთხვევით ფაქტორებზეა დამოკიდებული და მცირე დროით, მაგრამ მაინც შეიძლება სერიოზული, ანგარიშგასაწევი ძალა გახდეს. აშკარაა, რომ მოქალაქეობის ძველი სოციალური ინსტიტუტი უკვე მეორედ მარცხდება, მაგრამ არანაირი გარანტია არ არის, რომ მისი აღდგენა არ მოხდება. მაგალითად, საქართველოში რუსეთის ინტერვენცია ამ ინსტიტუტის აღდგენას უცილობლად გამოიწვევს. ისიც აშკარაა, რომ ამ დამარცხების შემდეგ ძალიან ბევრი ადამიანი დარჩება ამ ახალ ინსტიტუტს გარეთ. ვფიქრობ, ხელისუფლების წარმატებული ძალისხმევა იქნება მოქალაქის ახალი სოციალური ინსტიტუტის გაძლიერება და გამრავალ-

ფეროვნება თუნდაც იმისთვის, რომ ყველამ – თუნდაც როგორც რადიკალურმა პოლიტიკურმა პროტესტანტმა – იპოვოს ამ სოციალურ სივრცეში თავისი ადგილი.

ცხადია, რომ მალე ისევ მინავლდება მოქალაქეობის ძველი სოციალური ინსტიტუტის ძალა და კვლავ ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერების შემოთავაზებული მოქალაქეობის ახალი სოციალური ინსტიტუტის ამარა დავრჩებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ინსტიტუტს გარეთ არ დარჩებიან „მიუმხრობლები“, რაც მომავალში მოქალაქის ძველი ინსტიტუტის გამოვლენას შესაძლებელს გახდის. იმისათვის, რომ მოქალაქეობის ახალი სოციალური ინსტიტუტი კვლავ სწორხაზოვანი (და ამიტომ საეჭვო) არ დარჩეს, საჭიროა მრავალფეროვანი პოლიტიკური ინსტიტუტებით მისი მაქსიმალური შევსება. როგორც სენ-ჟიუსტი ამბობდა, რაც უფრო ბევრი პოლიტიკური ინსტიტუტია, მით უფრო თავისუფალია ადამიანი.

ნარსულის განვითარების სცენარი: კანონიერი ქურდების შემთხვევა

ერთ-ერთი ბორხესული თეორიის მიხედვით, რომელმაც ამ ათიოდე წლის წინათ გაზეთ „პრავდის“ მონინავე სტატიების ავტორთან დიალოგში წამოყო თავი, დრო თავის ყოველ ნერტილში ორი მიმართულებით იშლება – ნარსულისაკენ და მომავლისაკენ. ისტორიის მეცნიერება, დაწერილი ისტორია, რომელიც ბაძავს დროს, მხოლოდ იმ შემთხვევაშია თავისი მისაბაძის ადეკვატური, როდესაც ორი მიმართულებით მუშაობს: როდესაც ის ნარსულის აღწერით და ნარსულზე აზროვნებით ცვლის და ფორმას აძლევს მომავალს. ანუ, ჩვენ მიერ აღწერილი ნარსული, თუ ეს აღწერა მეტ-ნაკლებად რელევანტურია, იწყებს ჩვენი მომავლის და ხანდახან (Sic!) აწმყო განსაზღვრასაც კი. ასეთ ისტორიას იქვე „ნარსულის განვითარების სცენარები“ დავარქვით.

ამავე თეორიამ იქვე, დიალოგისას, შექმნა დომინიკანელი იერონიმუსი, რომელმაც შეიმუშავა ეს სწავლება და რომლისთვისაც ისტორიის წერა ღმერთის ბაძვის საუკეთესო საშუალება იყო: იერონიმუსის თეორიით, დროში მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გონების ილუზიაა და შემთხვევითია. სინამდვილეში ღმერთი ყოველ მომენტში ქმნის ახალ სამყაროს, რომელსაც თავისი ნარსული და მომავალი აქვს. შესაბამისად, ისტორიის წერა ქმნადობის უმცირესი შემთხვევის კოპირების მიწიერი ანალოგია. ისტორიის წერით ჩვენ მაქსიმალურად ვუახლოვდებით

საღვთო საქმეს, – ამბობდა იერონიმუსი, – რადგანაც ვიმეორებთ [შეძლებისდაგვარად] დროის საღვთო ქმნადობის პროცესს.

ამ თეორიით, ძალიან მნიშვნელოვანია ვწეროთ და ვიაზროვნოთ (რაც ხშირად ერთი და იგივეა) ჩვენს უახლოეს და არც თუ ისე უახლოეს წარსულზე: სწორედ წარსულზე წერის საშუალებით ხდება მომავლის შეცვლა და არა მომავლის განვითარების პროექტებით, როგორც ეს დღეს ბევრს ჰგონია. ამიტომ, გვეუბნება ეს თეორია, ისტორიის წერა და ისტორიაზე აზროვნება ახალ მნიშვნელობას იძენს, არა იმიტომ, რომ გვიყვება ჩვენი იდენტობისა და წარსულის შესახებ, არამედ იმის გამო, რომ გვეუბნება, როგორები ვიქნებით უახლოეს მომავალში – იმ შეფასებებისა და გადაფასებების საშუალებით, რომელსაც ისტორიაზე დაწერილი ტექსტები იწვევს.

ეს ათი წლის წინანდელი ინტელექტუალურ-იუმორისტული დიალოგი ამ ბოლო დროს ინტელექტუალურ, პოლიტიკურ და მათ გადაკვეთაზე წარმოშობილ facebook-ურ დისკურსებში კანონიერი ქურდების ხშირმა გამოყენებამ გამახსენა. ჩვენს ისტორიულ-კოლექტიურ მეხსიერებაში რამდენიმე თემაა, რომელზეც აზროვნება მნიშვნელოვანია ჩვენი მომავლის ფორმირებისათვის. ვფიქრობ, ერთ-ერთი ასეთი თემა კანონიერი ქურდების საკითხია. იმდენად, რამდენადაც მაქვს ამ საკითხის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, კვლევის მცირე გამოცდილება, გადავწყვიტე მოკლედ გადმოვცე ის, რაც ვიცი ამ საკითხის შესახებ, შესაბამისად, ისიც, რაც არ ვიცი.

კანონიერი ქურდების სოციალური ინსტიტუტის წარმოშობის შესახებ სულ ორი თეორია არსებობს:

1. რომანტიკული: კანონიერი ქურდების ინსტიტუტი განვითარდა საბჭოთა ბანაკებში რუსეთის იმპერიაში მანამდე არსებული ბანდიტური საძმოებიდან. ანუ, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიჭირა ყველა კრიმინალი, ხოლო შემდეგ, უკვე ბანაკებში ამ კრიმინალებმა შექმნეს კანონიერი ქურდების ინსტიტუტი, როგორც რუსეთის იმპერიის დროინ-

დელი ქურდული სამყაროს („ვოროვსკოი მირ“) გაგრძელება (James O. Fikenaue, Elin J. Waring, A. B. Роулинсон, A. B. Кучинский. ასევე, იხილე ვიკიპედიის რუსული და ინგლისური ვერსიის რესურსები);

2. გენეალოგიური (მიშელ ფუკოს აზრით): კანონიერი ქურდების ინსტიტუტი შეიქმნა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ ჯერ ლაგერებში – პოლიტპატიმრების საკონტროლოდ, ხოლო შემდეგ – კონტროლის ეს მექანიზმი გავრცელდა მთელ საზოგადოებაზე – კანონიერი ქურდების ლაგერებიდან გამოსვლის შემდეგ (Gigi Tevzadze. “Thieves in Law: New Facts for the History of Social Control,“ in: Die Idee der Freiheit in Philosophie und Sozialwissenschaften, Benjamin Verlag, Amsterdam 2009 (forthcoming).);

პირველი, „რომანტიკული“ თეორია კანონიერ ქურდებს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციას (რომელსაც სრული მონოპოლია გააჩნდა დანაშაულის სამყაროზე), უპირისპირებს სახელმწიფოს (ოპოზიცია: სახელმწიფო/ქურდები), და აღწერს სახელმწიფოსა და კრიმინალების დაპირისპირების პროცესს ათწლეულების განმავლობაში. ამ თეორიის სისუსტე სწორედ ამ დაპირისპირების დაშვებაშია: საეჭვოა კანონიერი ქურდების ინსტიტუტის სახელმწიფო ორგანოებიდან დამოუკიდებელი არსებობა, მით უმეტეს სტალინის პერიოდში. ასევე, ამ რომანტიკული თეორიის მიხედვით გაუგებარია, რა ედო საფუძვლად კანონიერი ქურდების კოდექსს, რომელიც საკმაოდ განსხვავდება „ვოროვსკოი მირის“ კოდექსისგან. კონკრეტულად, კანონიერი ქურდების კოდექსის მიხედვით, ქურდს არ უნდა ჰქონდეს ქონება, უნდა დატოვოს ოჯახი და არ დაოჯახდეს, არ იმუშაოს, აილოს სხვა ქურდის დანაშაული თავის თავზე, მოითხოვოს კრების მონაწილე კონფლიქტური სიტუაციის გასარჩევად, არ დათვრეს, არ ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან, არ მიიღოს მონაწილეობა საჯარო აქტივობებში, არ განეწვიანდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, არ იმსახუროს ჯარში. საეჭვოა, ეს კოდექსი „თავისთავად“ – „ხალხურად“ შექმნილიყო ლაგერებში.

აღსანიშნავია, რომ კანონიერი ქურდებისა და სახელმწიფოს დაპირისპირების თეორიის წყარო მხოლოდ КГБ-ის და НКВД-ის ყოფილი ოფიცრები, ან საუკეთესო შემთხვევაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები არიან (მაგალითად, ალექსანდრე გუროვი, საბჭოთა კავშირის ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილებების [КГБ და შინაგან საქმეთა სამინისტრო] უფროსი). მხოლოდ მათი მოწმეობით ხდება კანონიერი ქურდების, როგორც სახელმწიფოსადმი იმპლიციტურად დაპირისპირებული ინსტიტუტის განმარტება.

მეორე თეორიის მიხედვით, ეს წინააღმდეგობა ადვილად იჭრება: ამ თეორიით, კანონიერი ქურდები შექმნა НКВД-მ როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმი და საფუძვლად ამ ინსტიტუტს ევროპის შუა საუკუნეების ბერების ქცევის კოდექსი დაუდო. ამით აიხსნება კოდექსის ის ერთი შეხედვით უცნაური ადგილები, რომლებიც ოჯახის დატოვებას, ქონებაზე უარის თქმას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაურევლობას, ასევე – კანონიერი ქურდების ერთობის მხოლოდ მამაკაცთა გაერთიანებად დადგენას და ა.შ. გულისხმობს. მიზანიც გასაგებია – შუა საუკუნეების ევროპაში ბერების ორდენები სოციალური წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო: ამ გზით ხდებოდა სოციალური სტაბილურობის მიღწევა და საზოგადოებიდან აქტიური ხალხის „ამოღება“ – მათთვის ალტერნატიული კარიერის შეთავაზებით.

ამ თეორიის მიხედვით, კანონიერი ქურდი განმარტებულია როგორც კანონის (ხელისუფლების) ნებით არსებული ქურდი (კანონით ქურდი vor v zakone, რომელიც უპირისპირდება კანონგარეშეს (კანონგარეშე ქურდი vor vne zakona). ანუ, სახელისუფლებო, კონტროლირებადი ქურდი „ველურ“, უკონტროლო ქურდს. თუმცა, პირველი თეორიის მიხედვით „კანო-

ნიერი ქურდი“ განმარტებულია, როგორც ქურდი, რომელიც ქურდებს შორის აღიარებული კანონებით ცხოვრობს.

ის, რაც მეორე თეორიაში ეჭვს იწვევს, არის იმ დონის ინტელექტუალის არსებობა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, რომელიც მოიფიქრებდა ამ სქემას და მერე ადვილად დანერგავდა – ცნობილია, რომ კომუნიზმის იდეოლოგები და დამნერგავები (დანყებულ პლენანოვით, დამთავრებული ტროცკით), არც კარგი განათლებით და არც ინტელექტით არ გამოირჩეოდნენ (იხ. Mikhail Vaiskopf. Pisatel Stalin. Moskva. 2002. რუსულ ენაზე). შესაბამისად, ერთსა და იმავე დროს ეს ადამიანი უნდა ყოფილიყო: 1. კარგი განათლების მქონე ინტელექტუალი – იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სქემა ამ უკანასკნელის მოფიქრებული არ იქნებოდა, მას უნდა გაეგო და გაეზიარებინა ის, რაც არაორდინალურ ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს; 2. უნდა ყოფილიყო საბჭოთა მმართველების, პირველ რიგში – იმისათვის, რომ მის პროექტს არ შექმნოდა წინააღმდეგობა და წარმატებით დანერგილიყო. აქედან გამომდინარეობს ამ თეორიის მეორე ნაკლიც – კანონიერი ქურდების ინსტიტუტის „ხელოვნურობა“ საეჭვოა სწორედ იმის გათვალისწინებით, რამდენად ადეკვატურად და სრულყოფილად ხდებოდა ამ ინსტიტუტის გამოყენება წლების განმავლობაში საზოგადოებრივი კონტროლისათვის.

ამ ინსტიტუტის სახელმწიფო კონტროლზე ირიბად მიუთითებს თუნდაც ის, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში კანონიერი ქურდები ცხოვრობდნენ მათთვის გამოყოფილ ადგილებში. მაგ. საქართველოში კანონიერ ქურდებს, მანამ სანამ საბჭოთა კავშირის პოლიციური მანქანა გამართულად მუშაობდა, შეხვედებოდათ მაგ. ქუთაისში და თბილისის პერიფერიაზე, მაგრამ არასოდეს – თბილისის ცენტრში – სადაც პოლიტიკური და პოლიციური ელიტა ცხოვრობდა.

ანუ, კანონიერი ქურდების ინსტიტუტი მუშაობდა ისევე, როგორც ბერების ორდენის ინსტიტუტი შუა საუკუნეების ევროპაში: იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ზედმეტად არამდგრადი არ გამხდარიყო, ხდებოდა „ზედმეტი“ აქტივისტების კანონიერი ქურდების სამყაროში გადასროლა და იმ საზოგადოებრივი ღირებულებების კულტივირება, რომელთა მიხედვითაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა და ხელისუფლებასთან თანამშრომლობა უღირსი საქციელია („გრეხია“ – ქურდული ჟარგონით).

ყოველ შემთხვევაში, ორივე თეორია, რომანტიკულიც და გენეალოგიურიც, თანხმდება იმას, რომ საზოგადოებრივ სფეროში კანონიერი ქურდების ინსტიტუტის გავლენა ძალიან დიდი იყო. ძალიან მნიშვნელოვანი მოქმედება, რომელსაც კანონიერი ქურდები აწარმოებდნენ, იყო ე.წ. „ქურდული გარჩევა“, ანუ სასამართლო. სტრუქტურულად ეს იმავე როლს ასრულებდა, რასაც – პროკურორის ოფისთან მოლაპარაკება აშშ-ში ან დღევანდელ საქართველოში: იმისათვის, რომ სასამართლო არ გადაიტვირთოს, საჭიროა ინსტიტუტი, რომელიც მცირე დავებს სწრაფად გაარჩევს ისე, რომ არ გამოიწვევს სასამართლო მანქანის ძვირ და ხისტ ამოქმედებას. მაგრამ გარდა ასეთი „შემსუბუქებისა“, ქურდული სასამართლო „კანონიერ ქურდს“ ღირებულებით ორიენტირად აქცევდა: ორ მხარეს შორის არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად საბჭოთა მოქალაქეები ქურდულ სასამართლოს ანიჭებდნენ უპირატესობას და არა სახელმწიფო დანესებულებებს. საზოგადოებრივად მიღებული იყო, რომ ქურდი მკაცრია, მაგრამ სამართლიანი, რადგან საქმიდან გამორჩენას არ ელოდება (რასაც მოსამართლე ელოდა – კორუმპირებული სისტემის გამო).

ქურდიც, თუკი საქმე ქურდებს არ ეხებოდა, უფლებამოსილი იყო მართოს გადაენწყვიტა დავა და განაჩინი გამოეტანა. საქმეს კი, რომელიც ქურდებს შორის იყო გასარჩევი, ან ქურდის საქციელს ეხებოდა, ქურდების საბჭო არჩევდა. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ საზოგადოებრივ აღქმაში ქურდი არ იყო მოვალე რაიმე საქმის

პროფესიონალი ყოფილიყო – მას ჰქონდა „გაგება“, ანუ, ქურდული კანონებიდან გამომდინარე, სამართლიანობის ცოდნა. ორივე მხარის მოსმენით და „გაგების“ გამოყენებით ის საქმეს წყვეტდა არა რომელიმე მხარის, არამედ სამართლიანობის სასარგებლოდ. ეკლესიის უპირობო პატივისცემაც ასევე შედიოდა კანონიერი ქურდის პარადიგმაში.

რომ შევაჯამოთ კანონიერი ქურდის პარადიგმა, რომელიც შეიქმნა პოლიტიკური (მიზანმიმართული) და სოციალური (მიზანმიუმაართავი, არაპირდაპირი) მექანიზმების საშუალებით, ასე გამოიყურება: არ თანამშრომლობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ხელისუფლებასთან; უპირობოდ აღიარებს ეკლესიის ავტორიტეტს [ეს ნაწილიც ალბათ საბჭოთა უშიშროების მიერ ორი კონტროლირებადი ინსტიტუტის კოორდინაციას ემსახურებოდა.]; კონფლიქტში არ უჭირავს რომელიმე მხარე; აქვს „გაგება“, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იყოს სამართლიანობის (და არა კონფლიქტის რომელიმე მონაწილის) მხარეზე; არ ზრუნავს საზოგადოებრივ კარიერაზე [შიდა, ქურდული კარიერა, რა თქმა უნდა, იყო ზრუნვის მიზანი]; არა აქვს ქონება; თავისთვის არაფერი უნდა.

დაგეგმილი კამპანიების თუ თავისთავად მომხდარი შემთხვევების წყალობით, ქურდული კოდექსი გახდა ის, რაზეც მისი შემქმნელები ალბათ ვერც იოცნებებდნენ: ის ნელ-ნელა საზოგადოების წევრების ქცევის განმსაზღვრელ, ერთ-ერთ „ფარულ“ იდეალად იქცა. ამ გაიდებაში ლომის წილი, რა თქმა უნდა, ამ ინსტიტუტის ხელისუფლებასთან აფიშირებულ დაპირისპირებაზე მოდიოდა.

ამავე დროს ის დაპირისპირების მოხერხებულის ფორმა იყო – თუკი დისიდენტობის ყველაზე სუსტი ფორმაც (მაგ. სამზარეულოში პოლიტიკური ანეგდოტების მოყოლა) ხელისუფლებასთან პირდაპირ კონფრონტაციას ნიშნავდა, და შეიძლებოდა დაკავებით დამთავრებულიყო, ქურდული კოდექსის ელემენტების გაზიარება ამ კონფრონტაციას გამორიცხავდა: რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა თავმდაბლობას, კარიერაზე არზრუნვას, ან პოლიტი-

კურ თუ საზოგადოებრივ პროცესებში ჩაურევლობას. თან ეს ყველაფერი რელიგიური მორჩილებით იყო შეფერადებული.

ვეფქრობ, რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრების სამი პარადიგმული კონსტრუქცია არსებობდა:

პარტიული – ელიტარული გზა, რომელიც ძირითადად მემკვიდრეობით გადადიოდა, თუმცა დეკლარირებული მიზნების შესანარჩუნებლად უშვებდა ცხოვრების სხვა სტრატეგიების მატარებელი ინდივიდების ჩართვას;

დისიდენტური – ეს ძირითადად ინტელექტუალების სტრატეგია იყო და დიდი ამპლიტუდა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ირონიიდან რეალურ, სახელმწიფოსადმი დაპირისპირებულ პოლიტიკურ მოძრაობაში ჩართვამდე;

ქურდული – ეს სტრუქტურა მოიცავდა საზოგადოების იმ ნაწილებს, რომლებიც ყოველდღიურ ფიზიკურ შრომაში ან მომსახურებაში იყვნენ ჩართულნი). საინტერესო ისაა, რომ ამ სამი პარადიგმული კონსტრუქციიდან ორს შორის საოცარი მსგავსება იყო, და რა გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ორი მსგავსი – ქურდული და ელიტარული იყო.

ამ მსგავსებას ლაგერული სახელდებებიც აღნიშნავს: ლაგერების ზედამხედველებს დისიდენტებისა და კრიმინალების გასარჩევად ორი ტერმინი ჰქონდათ: SB (socialno blijnnii), ანუ კრიმინალები და SV (socialnii vrag), ანუ დისიდენტები. ეს გარჩევა საჭირო იყო, რადგან ძალიან ბევრ დისიდენტს კრიმინალური მუხლით ჰქონდა განაჩენი გამოტანილი.

ორივე (ქურდული და ელიტარული) კონსტრუქცია მოიცავდა ავტორიტეტებისადმი მორჩილებას, პოლიტიკურ მსჯელობაზე უარის თქმას, შიდა, ჩაკეტილ კარიერაზე ზრუნვას და საზოგადოებრივი პროცესებისადმი „ზემოდან ყურებას“. ამ ორს დისიდენტურ ცხოვრებისეულ კარიერასთან მხოლოდ ეკლესიისადმი ლოიალობა თუ ჰქონდა

საერთო, ისიც, აბსოლუტური არ იყო: დისიდენტური პარადიგმის ნაწილი იყო ეკლესიის, როგორც უშიშროების და კომუნისტური პარტიის აგენტურის, აღწერა.

სწორედ ამ მსგავსების გამო მოხდა დაშლის პირას მისულ საბჭოთა კავშირში ამ ორი, ქურდული და ელიტარული პარადიგმული ტიპების გაერთიანება, რამაც შედეგად რუსეთის ახალი (დღევანდელის ჩათვლით) პოლიტიკური ელიტის სტრუქტურული პარადიგმა მოგვცა.

მაგრამ, ქურდულ იდეალურ ტიპს ჰქონდა ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც არ გააჩნდა არც დისიდენტურს და არც ელიტარულს: სამართლიანობის გაგება, რომელიც საშუალებას აძლევდა ამ გაგების მატარებელს, მიუკერძოებელი არბიტრი ყოფილიყო. ეს ასპექტი ქურდულ იდეალურ ტიპს ძალიან მომხიბვლელად აქცევდა: თან არ გაიძულებდა რომელიმე მხარე (დისიდენტური თუ სახელისუფლებო) დაგეჭირა, თან უზრუნველყოფდა ანგარების არარსებობას, რაც ამ პოზიციის მატარებელს ერთსა და იმავე დროს სოციალური იერარქიის „გარეთ და ზემოთ“ აყენებდა. მით უმეტეს, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ამ არბიტრობამ მნიშვნელოვანი მატერიალური სიკეთე მოუტანა კანონიერ ქურდებს.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საქართველოში გარკვეული პერიოდი ახალი პარადიგმის – ცხოვრებისეული სტრატეგიის ახალი ტიპის შექმნას მოხმარდა. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ერთის მხრივ, გამსახურდიას მიერ ქვეყნის ყოველდღიურ მართვაში საბჭოთა ბიუროკრატის ზედმეტად გამოყენებამ, ხოლო მეორე მხრივ, შევარდნაძის მიერ ჩატარებულმა მეტ-ნაკლებად ნარმატივულმა რესტავრაციამ ისევე დააბრუნა სამი დომინანტური პარადიგმა, რომლებიც ცხოვრებისეული სტრატეგიის სამ ძირითად ტიპს განსაზღვრავდა.

ცალკე საკითხია, როგორ განვითარდა და რა ფორმა მიიღო ცხოვრებისეულმა სტრატეგიებმა დღეს. თუმცა, ეს უკვე წარსულის სხვა შესაძლებელი სცენარია.

ქართველი ერის დაბადება

თუკი მეოცე საუკუნის აზროვნების რუკას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ერების წარმოშობასთან დაკავშირებით არსებობს სამი ძირითადი თეორია, რომლებიც ეკუთვნის ერნსტ გელნერს (Ernst Gellner)⁴, ბენედიქტ ანდერსონს⁵ (Benedict Anderson) და ენტონი სმიტს⁶ (Anthony Smith). ამ სამმა თეორიამ, ერთი მხრივ, შეაჯამა არსებული დისკუსია⁷, მეორე მხრივ, საფუძველი ჩაუყარა ახალ მსჯელობას ერებისა და ეროვნული ცნობიერების წარმოშობის შესახებ.

სამივე თეორიის თანახმად, ნაციონალიზმი ან, უფრო ზუსტად, ნაციის, ერის იდეა, არტეფაქტია და მისი წარმოშობა დაკავშირებულია კაცობრიობის ისტორიაში კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებთან. ამ შეთანხმებაზე მთავრდება ამ თეორიების ერთგვაროვნება და იწყება განსხვავებები:

გელნერი განსაზღვრავს ნაციონალიზმს როგორც „პოლიტიკურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური და ნაციონალური უნდა დაემთხვეს ერთმანეთს“. ეს არის სრულიად ახალი პრინციპი, რომლიც მოდერნულობას ახასიათებს. მანამდე სახელმწიფოები არ იყვნენ ორგანიზებულნი ეროვნულის მიხედვით⁸.

გელნერი გამოყოფს ისტორიის სამ საფეხურს: მონადირე-შემგროვებლურს, აგრო-დამწერლურს და ინდუსტრიულს: ნაციონალიზმი ჩნდება აგრო-დამწერლური კულტურიდან ინდუსტრიულ საფეხურზე გადასვლისას. აგრო-დამწერლურ საფეხურზე ელიტა სარგებელს ნახულობს კულტურულ მრავალფეროვნებაში – ამ დროს, ასეთ ვითარებაში, მის ძალაუფლებას არაფერი ემუქრება.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში „მაღალი კულტურა ხდება მთელი საზოგადოების განმსაზღვრელი და საჭიროებს პოლიტიკის მიერ უზრუნველყოფილ მდგრადობას“. ინდუსტრიულ საზოგადოებაში სამუშაოს ბუნების შეცვლა ითხოვს კულტურულ ჰომოგენურობას, ანუ წარმოიქმნება იმპერსონალური, კონტექსტიდან თავისუფალ კომუნიკაციის საჭიროება.

გარდა ამისა, ინდუსტრიული საზოგადოება დამოკიდებულია მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით მუდმივ ზრდაზე. მუდმივ ზრდას კი შესაძლებელია მიაღწიო მხოლოდ სამუშაოზე აყვანის სტრუქტურაში მუდმივი ცვლილებების განხორციელებით. ტექნიკური უნარების მოთხოვნილი მაღალი დონე ნიშნავს, რომ ბევრი ადგილი უნდა განაწილდეს მერიტოკრატიულად. ეს კი აუცილებელს ხდის გარკვეულ ეგალიტარიზმს და, ამავე დროს, აუცილებლად აქცევს ზოგად წვრთნას სპეციალური წვრთნის წინ, რათა სამუშაო ადგილებს შორის გაცვლა და გადაანაცვლება იქნეს უზრუნველყოფილი.

ამდენად, განათლება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. **განათლება** იწყებს ინდივიდის სტატუსის განსაზღვრას, ისევე, როგორც ამას მანამდე, აგრო-დამწერლობით საზოგადოებაში, **ნათესაობა** აკეთებდა.

ამიტომ, სახელმწიფო აერთიანებს სახელმწიფოსა და კულტურას; წარმოიშობა საჭიროება, რომ გადაიფაროს კულტურული წვდომის ყველა არე, ამ გადაფარვის წარმატებით განხორციელების ერთადერთი გზა კი ნაციონალიზმია.

ანდერსონის „წარმოსახვითი საზოგადოებები“ და გელნერის „ერები და ნაციონალიზმი“ გამოქვეყნდა ერთსა და იმავე წელს (1983). ანდერსონის ძირითადი დაშვება მდგომარეობს შემდეგში: **რელიგიის გავლენის დაღმასვლამ** გამოიწვია დროის ახალი კონცეფციები, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ერის წარმოსახვის შესაძლებლობა.

ნაციონალიზმამდე არსებობდა „დიადი, რელიგიურად წარმოსახვითი საზოგადოებები“, როგორცაა, მაგალითად,

ქრისტიანული, რომელიც ეყრდნობოდა საერთო ენას (მაგ. ლათინურს). გავრცელება/გაფართოებასთან ერთად ევროპელებმა აღმოაჩინეს, რომ არსებობის მათეული კონცეფციები არ არის ერთადერთი. ასევე, ლათინურის, როგორც საერთო ენის ფაქტორმა, შესუსტება და ე.წ. საერო ენებმა – ალორძინება დაიწყო.

სანამ ევროპა არსებობდა, როგორც **დიადი რელიგიური წარმოსახვითი საზოგადოება**, დროის ცნება იყო ის, რაც აერთიანებდა და თავს უყრიდა ისტორიას. წარსული, აწმყო და მომავალი მიზეზ-შედეგობრივად კი არ უკავშირდებოდა ერთმანეთს, არამედ ღვთაებრივი ნების მეშვეობით. დროის ასეთ ცნებაში სიტყვას „ამასობაში“ არ ჰქონდა აზრი. ასეთი საზოგადოების დაშლის შემდეგ შესაძლებელი გახდა ისეთი მდგომარეობის წარმოსახვა, სადაც იყო არა „ერთდროული დრო“, არამედ „ჰომოგენური, ცარიელი დრო“. ამ ტიპის დროის მონიშვნა შესაძლებელი იყო საათითა და კალენდრით, და იყო „პასუხისმგებელი“ თეორიულად შემთხვევით დამთხვევებზე.

„დადგა“ ბექტდვითი კაპიტალიზმის ხანა. ლათინურმა ენამ დაკარგა მონოპოლია და დაიწყო ახალი წიგნების საერო ენებზე გამოქვეყნება. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პროტესტანტიზმს და მის კონცეფციას შინაგანი გადარჩენის შესახებ. დაბექტილმა და გავრცელებულმა წიგნებმა, გაზეთებმა და მოთხრობებმა გაუჩინეს მკითხველს აზრი, რომ ერთდროულად არსებობს მისი მსგავსი მკითხველების ჯგუფი, რომელიც, ისევე როგორც ის, იყენებს კულტურული წარმოების პროდუქტებს.

ამ წარმოებამ მკითხველებს ეროვნული ცნობიერების სამი საფუძველი შეუქმნა:

1. ლათინურსა და საერო ენებს შორის მიმოცვლის ერთიანი ველი;
2. ენის დაფიქსირების ახალი საშუალება და ამით ერის მუდმივობის იდეის საფუძვლის გაჩენა;
3. ძალაუფლების ენები, რომლებიც განსხვავდებოდნენ მანამდე არსებული ლათინური ენისაგან.

ანდერსონი ამტკიცებს, რომ ნაციონალიზმი არის სეკულარიზაციის, ადამიანური მრავალფეროვნების, კაპიტალიზმისა და ბექდვითი ტექნოლოგიის განვითარების ნაზავის შედეგი.

სმიტის თეორია დამყარებულია „ეთნო-სიმბოლიზმზე“. სმიტი გელნერის მოწაფე იყო და შეეცადა გადაელახა ის სირთულეები, რომლებიც გელნერის მოდერნისტულ პერსპექტივას ჰქონდა. მოდერნისტული პერსპექტივის მთავარი სისუსტე არის ნაციონალიზმით გამოწვეული ვნებების ახსნის შეუძლებლობა: რატომ იბრძვიან და კვდებიან საკუთარი ერისათვის, თუკი ნაციონალიზმი არის მხოლოდ და მხოლოდ იარაღი, რომელსაც ელიტა ქმნის ეკონომიკური მოგების გაზრდისათვის და ეკონომიკური შეკავშირებისათვის?

სმიტი ამტკიცებს, რომ ყოველი ნაციონალიზმი ეყრდნობა „კონკრეტული ჯგუფის“ მცდელობას მიანიჭონ ისტორიას საერთო იდენტობისა და საერთო ისტორიის აზრი. ეს არ ნიშნავს, რომ ეს ისტორია აკადემიურად ადეკვატური უდა იყოს – სმიტი ამბობს, რომ ბევრი ნაციონალიზმი დამყარებულია ისტორიულად მცდარ ინტერპრეტაციებზე და მიისწრაფვის საკუთარი ისტორიის გარკვეული ნაწილების მთლიანი მითოლოგიზაციისაკენ.

ნაციონალიზმი, სმიტის მიხედვით, არ მოითხოვს, რომ „ერის“ წევრები მსგავსნი იყვნენ, არამედ – მხოლოდ იმას, რომ ისინი უნდა გრძნობდნენ სოლიდარობას ერთან და ერის სხვა წევრებთან. ნაციონალიზმის გრძნობა შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერი იდეოლოგიიდან, რომელიც დომინანტურია მოცემულ ადგილას. ნაციონალიზმი ამოიზრდება მანამდე არსებული ნათესაობიდან, რელიგიური და რწმენის სისტემებიდან.

სამივე თეორია სამი სხვადასხვა პერსპექტივით – კონსტრუქცივისტული (გელნერი), ტრადიციონალისტური (სმიტი) და რედუქციონისტული (ანდერსონი) – განიხილავს ნაციონალიზმსა და ერის წარმოშობას. მაგრამ სამივე თეორიას აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი. სმიტი მართებულად

შენიშნავს, რომ ვერც ერთი ეს თეორია ვერ ხსნის, რატომ “ხოცავენ” ადამიანები ერთმანეთს ერისა და ეროვნული იდეის გამო; რატომ არის ნაციონალიზმი მნიშვნელოვანი და ზოგჯერ შემზარავი ვნებების საფუძველი. მათ შორის ვერც სმიტის თეორია, რომელიც ამბობს, რომ ეროვნულობა თავის არსში ადამიანების ერთმანეთთან სოლიდარობის გრძნობაა და მხოლოდ სოლიდარობის გრძნობა შეიძლება იყოს ადამიანის თავგანწირვის მიზეზი.

აქ კიდევ ერთ მითოლოგიას უნდა შევეხოთ, რომელიც სათავეს XIX საუკუნეში იღებს და არაცნობიერის ცნების გაჩენას უკავშირდება. XIX საუკუნეში არაცნობიერის ცნება გამოიყურებოდა, როგორც ერთადერთი რამ, რითაც მასების აღშფოთებისა და აჯანყებების ახსნა შეიძლებოდა. ფროიდი „ტოტემი და ტაბუში“ წერდა, რომ ერთადერთი, რითაც შესაძლებელია მასების (ხალხის) ფსიქოლოგიის ახსნა, არის მასის ფსიქიკის არსებობა და ამ ფსიქიკაში გამოცდილების დაგროვება.

ქვემოთ მოყვანილი გერმანული დედანი და ორი – ინგლისური და რუსული თარგმანი იმითაა საინტერესო, რომ თარგმანებში ამ აბზაცის საკვანძო სიტყვა განსხვავდება ერთმანეთისაგან: რუსული თარგმანი დედნის ადეკვატურია, როდესაც ინგლისური ავტორიზებული თარგმანი „ერების (ხალხების) ფსიქოლოგიას“ მეცნიერების დარგით, „სოციალური ფსიქოლოგიით“ ანაცვლებს. შესაძლოა, ეს ინგლისური ენის კონტექსტში ფროიდის ცუდად გარკვეულობას მივანეროთ, ან – იმას, რომ „ტოტემი და ტაბუს“ გერმანული გამოცემიდან ხუთი წლის შემდეგ, ფროიდი უფრო მკაცრი გახდა თავისი მეთოდის მიმართ და ის ფსიქოანალიტიკოსის კაბინეტს გარეთ მხოლოდ კულტურაში გამომუშავებული მიდგომების (მაგ. სოციალური ფსიქოლოგიის)

ანალიზისათვის გამოსადეგად მიაჩნდა. თუმცა, შეიძლება საქმე უბრალო უყურადღებობასთანაც გვეკონდეს. მით უმეტეს, რომ შემდეგი წინადადება (If psychic processes of one generation...) უცვლელადაა თარგმნილი.

„Allein eine weitere Erwägung zeigt, dass wir die Varaantwortlichkeit fuer solche Kuenheit nicht allein zu tragen haben. Ohne die Annahme einer Massenpsyche, einer Kontinuitaet in Gefühlsleben der Menschen, welche gestattet, sich ueber die Unterbrechnungen der seelischer Akte durch das Vergehen der Individen hinwegzusetzen, kann die Völkerpsychologie ueberhaupt nicht bestehen. Setzen sich durch die psychischen Prozesse der einen Generation nicht auf nächste fort, müsste jede ihre Einstellung zum Leben neu erwerben, so gäbe es auf diesem Gebiet keinen Fortschritt und keine Entwicklung.“⁹

„But further consideration shows that we ourselves do not have to carry the whole responsibility for such daring. Without the assumption of a mass psyche, or a continuity in the emotional life of mankind which permits us to disregard the interruptions of psychic acts through the transgression of individuals, social psychology could not exist at all. If psychic processes of one generation did not continue in the next, if each had to acquire its attitude towards life afresh! there would be no progress in this field and almost no development.“¹⁰.

„Однако, дальнейшие соображения показывают, что не нам одним приходится нести ответственность за подобную смелость. Без допущения массовой психики, непрерывности в жизни чувств людей, дающей возможность не обращать внимания на прерываемость душевных актов, вследствие гибели индивидов,

психология народов вообще не может существовать. Если бы психические процессы одного поколения не находили бы своего продолжения в другом, если бы каждое поколение должно было заново приобретать свою направленность к жизни, то в этой области не было бы никакого прогресса и почти никакого развития“¹¹.

იმისათვის, რომ არსებობდეს იმ ვითარებების ახსნა, რაც ანუხებდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის ინტელექტუალებს, აუცილებელი იყო ერში, ხალხში საერთო ფსიქოლოგიის, ანუ იმ რალაც საერთოსა და ირაციონალურის დაშვება, რომელიც რალაცნაირად გადაეცემა მამიდან (ან დედიდან) შემდგომ თაობებს და შემდეგ აიძულებს მასებს, მოიქცნენ, როგორც ორგანიზმი. ამიტომ, მეცხრამეტე საუკუნის მითოლოგია ერების შესახებ გვეუბნება, რომ არსებობს რალაც საერთო, რის ნაწილებიც ადამიანებში დევს და რომელიც აქტუალიზდება, როდესაც ისინი იკრიბებიან. ინტელექტუალებმა მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყეს შემჩნევა, რომ კონკრეტული ადამიანების გარდა, არსებობს ერთობები, რომელთა მოქმედებებსაც, გარკვეულ ვითარებებში, შესაძლებელია დამანგრეველი ძალაც კი ჰქონდეს. ეს მათთვის სრულიან ახალი სოციალური ფაქტი იყო. მათ აქამდე – არც ცოდნით და არც საკუთარი გამოცდილებით – არ შეხვედრიათ ამ ფაქტის ახსნა. ამიტომ, სრულიად ლოგიკური იყო, „სწრაფი“ ახსნის მოსაძებნად, შეეხედათ მასისათვის, ხალხისათვის, როგორც მთლიანი ორგანიზმისათვის და, საბოლოოდ, დაეშვათ ამ ორგანიზმში როგორც ფსიქიკური (ცნობიერი), ასევე – არაცნობიერი. XIX და XX საუკუნეების ყველაზე გავლენიანმა მოაზროვნეებმა – ფროიდმა, ვუნდტმა, იუნგმა – სწორედ ამ სქემის გააზრებასა და აღწერას მიუძღვნეს თავი. მათი პოპულარობა იმიტაც შეიძლება აიხსნას, რომ ეს იყო გასაგები და მარტივი პასუხი კითხვაზე, რომელიც ამ პერიოდის (და შემდგომისაც) ინტელექტუალებს ანუხებდათ: რა არის ის, რაც მასაში მოქცეულ ადამიანებს აიძულებს, მოიქცნენ ასე და არა სხვაგვარად.

აღარ გავაგრძელებ ამ უდავოდ საინტერესო თემას. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ სმიტის თეორია, რომელიც სოლიდარობაში ხედავს ეროვნულობისა და ერის გაგების ფესვებს, ამ, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში გამოგონილ, ახსნით რეცეპტზეა დამყარებული. სოლიდარობა არის მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის სახელი იმისა, რასაც ფროიდი და იუნგი მასების ფსიქოლოგიას უწოდებდნენ. უკეთ რომ განვმარტოთ – სოლიდარობის დაშვება ერისა და ეროვნული ცნობიერების საფუძვლად ნიშნავს, რომ ყოველ ჩვენგანში არის რაღაც, რაც ამ სოლიდარობას განაპირობებს და რაც ადამიანებს გვაიძულებს, ერთობებისაკენ მივისწრაფოდეთ. ეს ფსიქიკური და ფსიქოლოგიური ახსნაა: ისიც გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს არანაირი ექსპერიმენტული დადასტურება, რომ ეს თვისება შესაძლებელია ცალკე, ფსიქიკურად ან გენეტიკურად გამოიყოს ადამიანში. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცით ადამიანების ერთობების შესახებ, არის ის, რომ ადამიანი სოციალური არსებაა და ვერ არსებობს თავის მსგავსებთან ინტერაქციის გარეშე. სოლიდარობა მნიშვნელოვანი სოციალური კონსტრუქტია, მაგრამ ის მთლიანად ინტელიგიბელური ნარმონაქმნია და ცნობიერ გადაწყვეტილებებს ეფუძნება. რიჩარდ რორტი მოქალაქეების ურთიერთსოლიდარობას დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მთავარ დამცველს უწოდებს¹². ამიტომ, საეჭვოა, რომ ენტონი სმიტის კითხვაზე მართებული პასუხი სოლიდარობას დაეფუძნოს: ის, რაც ცნობიერი გადაწყვეტილებაა, ვერ იქნება მასიური აჯანყებების და თავის განირვის საფუძველი. ეს შესაძლებელია, ოღონდ მცირე რაოდენობის ხალხში, რომელთაც გადაწყვეტილებების მიღების სერიოზული ტრენინგი ექნებათ გავლილი. იმისათვის, რომ ამ ხალხმა ერის მასშტაბი მიიღოს, ისინი ძალიან განვითარებულ საზოგადოებაში და სახელმწიფოში უნდა ცხოვრობდნენ – რათა ამ ტრენინგის მიღების საშუალება უმრავლესობას ჰქონდეს. არადა, ნაციონალისტური აფეთქებები, მართალია მოდერნულ, მაგრამ ძირითადად განვითარებად ქვეყნებშიც ხდება.

მეორეს მხრივ, რა უნდა ვუყოთ შუა საუკუნეებიდან შემორჩენილ წერილობით წყაროებს, რომლებიც დღეს მკითხველების მიერ ერთმნიშვნელოვნად გაიგება, როგორც ერის იდეისა და ნაციონალიზმის ჩანასახები? ამ კითხვაზე პასუხი შუა საუკუნეების საზოგადოების სტრუქტურაში უნდა ვეძებოთ: პროცენტულად რომ გამოვსახოთ, ალბათ, განათლებული და შეძლებული ფენა, რომელმაც წერა-კითხვა იცოდა და მარტო ყოველდღიური გადარჩენა არ ჰქონდა მიზნად და საფიქრად, ყოველი საზოგადოების 5%-ზე ნაკლებს შეადგენდა. რა თქმა უნდა, მათ ჰქონდათ საერთო იდეოლოგია, რომელიც ვარირებდა ჯგუფიდან ჯგუფში და სამთავროდან სამთავრომდე, მაგრამ ყოველთვის ბრუნავდა პოლიტიკური ერთეულის დამოუკიდებლობის გარშემო. ამიტომ, მართალია, საკამათოა, ვიპოვიოთ თუ არა იმდროინდელ წყაროებში ერის თანამედროვე ცნებას, მაგრამ, სამაგიეროდ, უხვად გვხვდება სახელმწიფოს ცნება და ერთიანი სახელმწიფოს იდეოლოგია. ეს იდეოლოგია, აქედაც გამომდინარე სარგებლის და პირადი წარმატების პერსპექტივის გამო, წარმოშობდა სოლიდარობას ამ მიზნის გარშემო. თუმცა, ეს სოლიდარობა ადვილად ირღვეოდა, თუკი სხვა, უფრო მომგებიან სოლიდარობაში განვერიანების შანსი ჩნდებოდა. ასეთი სოლიდარობა იქნებოდა იმ დიდგვაროვნებსა და სამეფო ოჯახებში, რომლებიც ავითარებდნენ იდეოლოგიას, რაც დღეს ეროვნული ცნობიერების პირველ ვერსიად აღიქმება. თუმცა, ამ იდეოლოგიას პოლიტიკური (და არა პოეტური თვალთახედვით) თუ გავაანალიზებთ, მივიღებთ, რომ ეს იდეოლოგია მათ ექსპანსიური პოლიტიკის გასამართლებლად და/ან არსებული ცენტრებიდან მეტი ავტონომიის მისაღებად სჭირდებოდათ: ცნობილი ფრაზა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, რომელიც ხშირად ეროვნული ცნობიერების დაბადების საბუთად მოჰყავთ (თანამედროვე ქართულ ენაზე თუ ვთარგმნით, იქ, სადაც ქართული წირვა-ლოცვა წარმოებს, ყველგან საქართველოა), სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს იდეოლოგიების მიერ მომავალი ექს-

პანსიური პოლიტიკის გამართლება. ამის ირიბი დასტური თუნდაც ისაა, რომ ქართველები ახლო აღმოსავლეთში და აღმოსავლეთ ევროპაში შუა საუკუნეებში აქტიურად აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს. ძნელია ამ აქტივობის სხვა მიზეზი ივარაუდო, თუ არა მომავალი ექსპანსიისათვის ფიზიკური და მორალური დასაყრდენის შექმნა. იგივე ხდებოდა პროტესტანტული იდეების გავრცელებისას ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში: პროტესტანტიზმი იყო იდეოლოგია, რითაც ადგილობრივი ფეოდალები და სამეფო საგვარეულოები მეტი დამოუკიდებლობისა და ავტონომიის მოსაპოვებლად იყენებდნენ. მხოლოდ ამით შეიძლება ახსნა გერმანელი მთავრების მიერ ლუთერის პოლიტიკური მხარდაჭერა და პროტესტანტიზმის წარმატება: სხვა მხრივ, „უბრალო ხალხში“ არც მხარდაჭერის და არც ახალი მოძღვრების გაგების პოტენციალი არ უნდა ყოფილიყო, იმდენად ყოველდღიურ ცხოვრებაზე ორიენტირებული და წერა-კითხვის უცოდინარი იყო შუა საუკუნეების ევროპის ძირითადი მოსახლეობა.

ამ ზედაპირული განხილვითაც ჩანს, რომ შუა საუკუნეებში ერისა და ეროვნულობის ცნებები (რაც არ უნდა ერქვას ამ კონსტრუქტს სხვადასხვა ენის შემთხვევაში) გამოიყენება, როგორც იდეოლოგია: ანუ, მარქსის განსაზღვრებით რომ ვთქვათ – სოციალური რეალობის ამოტრიალებული ასახვა¹³. სოციალური რეალობა კი შუა საუკუნეებში მართლაც ამოტრიალებულია ეროვნულ იდეასთან მიმართებაში: იმ ხალხის უმრავლესობას, ვინც სახელმწიფოში ცხოვრობს, არაფერი არ აერთიანებს, საკუთარი ცხოვრების ადგილზე მიჯაჭვულობის გარდა. ასეთი ერთიანობის შეგრძნება კი აშკარად აქვს ელიტას. მეტიც – ელიტის წევრების აღზრდაც – მეტ-ნაკლებად სტაბილურ (და ალბათ არასტაბილურ) სახელმწიფოებში თუ სამთავროებში – ამ იდეოლოგიით ხდებოდა.

ეს ვერბალურად შეიძლება გამოიხატოს ასე: ეს სახელმწიფო შენი სამშობლოა, ადგილი, სადაც შენი

წინაპრები ცხოვრობდნენ და შენი შთამომავლები იცხოვრებენ, ეს არის შენი ხალხი, ვინც აქ ცხოვრობს, ან, ის ადგილი (სხვა სახელმწიფო/სამთავრო) არის სივრცე, რომელიც შენ გეკუთვნოდა, იმიტომ, რომ იქ შენი წინაპრები ცხოვრობდნენ და ა.შ.

ამ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ის, რაც შუა საუკუნეების ელიტის აღზრდისა და აზროვნების ქვაკუთხედი იყო, სოციალურ რეალობას ამოტრიალებულად ასახავდა: ის, რაც იყო ზედნაშენი (superstructure) – ტყეებზე, ველებზე და უბრალო ხალხზე კონკრეტული მმართველობის ნიშნის მიწერა და მათი ამ ნიშნით დაბეჭდვა – განიხილებოდა, როგორც ამ ყველაფრის საფუძველი: როგორც წესი, ამ საფუძველს რელიგიური არგუმენტიც – ღვთის მიერ კურთხეულობაც ემატებოდა. ამიტომ, სრულიად შესაძლებელია, შუა საუკუნეებში ერი-სახელმწიფოს იდეოლოგიური ცნებაც გაჩენილიყო, მაგრამ, ამ ცნების ადგილი – თვითონ ელიტაშივე მისი გავრცელების არა-ინსტიტუციონალიზაციის გამო – ელიტის წარმომადგენლის ცნობიერებაში შემთხვევითი იყო: შესაძლებელი იყო მისი, როგორც ელიტის წევრის პიროვნულობის მაკონსტრუირების მუშაობა (თუკი კონკრეტულ სასახლის კარზე აღზრდის/იდეოლოგიის გადაცემის ჩამოყალიბებული სისტემა არსებობდა) და ასევე, შესაძლებელი იყო მას ემუშავა, როგორც სოლიდარობის საფუძველს: ქცეულიყო იმ კონსტრუქტად, რომელიც განაპირობებდა ელიტის წევრებს შორის საერთო პოლიტიკური ენის არსებობას და საერთო მიზნებს. სავსებით დასაშვებია, რომ ეს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ვითარება ერთ ელიტარულ სისტემაში არსებობდა: ანუ, ელიტა შედგებოდა იმ ადამიანებისაგან, ვისთვისაც ერი-სახელმწიფოს იდეა მისი პიროვნების კონსტრუირებაში მონაწილეობდა, და ასევე, იმ ადამიანებისაგან, რომლებისთვისაც ეს იდეა მხოლოდ სოლიდარობის საფუძველი იყო. იმდენად, რამდენადაც შუა საუკუნეებში არ არსებობდა აღზრდის მწყობრი სისტემა, რომელიც ამ

იდეის პიროვნების მაკონსტრუირებელ ინსტიტუციონალიზებულ ელემენტად გადაქცევას მოახერხებდა, [ანუ, არ არსებობდა ელიტის აღმზრდელების/მასწავლებლების მწარმოებელი ინსტიტუტი] სავარაუდოა, რომ ელიტაში მათი რიცხვი, ვისთვისაც ერი/სახელმწიფოს იდეა მხოლოდ სოლიდარობის საფუძველი იყო, უფრო მეტი იყო, ვიდრე მათი, ვისაც სახელმწიფო/ერის იდეის გარეშე საკუთარი თავი ვერ წარმოედგინა. ამიტომაც, ელიტის წევრებს შორის შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო სოლიდარობის საფუძვლის შეცვლა, ანუ, თანამედროვე შეფასებით, ღალატი.

შესაბამისად, ჩვენ გაგვიჭირდება ვიპოვოთ შუა საუკუნეებში პოლიტიკური ელიტა, რომელსაც არ ექნებოდა რაიმე იდეოლოგია, რომელიც სახელმწიფო/ერის და ერთი ხალხის ცნებების სხვადასხვა ვერსიას გვთავაზობს. ამათგან ზოგი ძალიან ახლოს დგას ერის თანამედროვე ცნებასთან, ზოგი კი – ძალიან შორს. მაგრამ, ეს სიახლოვე და სიმორე სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა ისტორიული პირობებით გამოწვეული კონსტრუქციები. რა თქმა უნდა, ყოველ ამ კონსტრუქტში რელიგია ცენტრალურ როლს ასრულებს – განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ქვეყანაში არსებული რელიგიური პრაქტიკა განსხვავებულობის საფუძველს იძლევა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რა ტიპის რელიგიაა ეს, არამედ იმას, თუ რამდენად არის სოციალურ გარემოში პოტენციალი, ესა თუ ის რელიგია ელიტამ საკუთარი ექსკლუზიურობის და პრეტენზიების საფუძველად გამოიყენოს. ერთი შეხედვით, ასეთი ექსკლუზიურობის საფუძველი უფრო მართლმადიდებლური და პროტესტანტული რელიგიები უნდა იყოს, მაგრამ ირლანდიის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ასეთი იდეოლოგიის საფუძველი ელიტისათვის შეიძლება კათოლიციზმი და პროტესტანტიზმიც იყოს.

თანამედროვე წარმოდგენით, ერს ორი შემადგენელი აქვს: თავად ერის ცნება, იდეის კონსტრუქცია და ადამიანების ერთობლიობა, რომელიც თავს ამ ერის ნაწილად

მიიჩნევს. ასევე, იგულისხმება, რომ ამ ერს მისი წევრები, როგორც წესი, დაბადებით უნდა ეკუთვნოდნენ და წევრების რაოდენობა უნდა აღემატებოდეს ერთი ოჯახის ან ნათესაური კავშირებით დაკავშირებული ადამიანების რაოდენობას. კიდევ უფრო რომ გავალრმავოთ ერის მეორე ნიშანი, უნდა ვთქვათ, რომ ადამიანი, რომელიც თავს რომელიმე ერს აკუთვნებს, ამავე დროს ერის საშუალებით საკუთარ თავს განსაზღვრავს, ანუ, ახდენს საკუთარ იდენტიფიცირებას კონკრეტულ იდეასთან და ისტორიასთან. ამავე დროს, საკუთარ თავს განასხვავებს იმ ადამიანებისაგან, ვისი იდენტობაც სხვა იდეასთან და ისტორიასთანაა დაკავშირებული.

* * *

შესაბამისად, როდესაც ერის წარმოშობაზე ვლაპარაკობთ, ამ ორივე ნაწილის წარმოშობას ცალ-ცალკე უნდა შევხედოთ: 1) ერის იდეოლოგიის წარმოშობა და 2) ერის, როგორც იდენტობის, წარმოშობა.

ისტორიულად, ერის, როგორც იდეოლოგიის წარმოშობა, წინ უსწრებს ერის, როგორც იდენტობის წარმოშობას. ანუ, იმისათვის, რომ რაღაც იდეოლოგია იდენტობა გახდეს, ის დამუშავებული უნდა იყოს როგორც იდეოლოგია.

ერის წარმოშობის იდეოლოგიის და იდენტობის წარმოშობებად გაყოფა მაშინ იქნება გასაგები, როდესაც განვიხილავთ სოციალური ცხოვრების პროცესს, რომელსაც იდენტობების შექმნა და კონკრეტული ადამიანის მიერ იდენტობის მიღება ჰქვია: სამწუხაროდ, იდენტობის ერთიანი თეორია, რომელიც იდენტობას, როგორც სოციალურ მოცემულობას და პროცესს, განიხილავს, სოციალურ მეცნიერებაში არ არის დამუშავებული, ამიტომ ქვემოთ მოცემული თეორიული მოსაზრებები ამის პირველი მცდელობაა: ადამიანი იდენტობების კომპლექსს წარმოადგენს. ამ იდენტობიდან ზოგი პირველადია და მასში შედის პირველადი სოციალური ინსტიტუტების საშუალებით (ოჯახი), ზოგიც – მეორადი და ადამიანის მიერ მისი გათავისება

სხვადასხვა ტიპის სოციალურ ინსტიტუტში მონაწილეობით ხდება. არსებობს იდენტობები, რომელთა მიღებაც კონკრეტულ სოციალურ სტრუქტურაში გარდაუვალია (ოჯახის, ნათესაობის, სქესის) და იდენტობები, რომელთა მიღებაც შემთხვევითია (პროფესიული, პარტიული და ისინი, რომლებიც კონკრეტულ საზოგადოებაში მიდრეკილებების ინსტიტუციონალიზაციაზეა დამოკიდებული – მაგ. სექსუალური უმცირესობების იდენტობა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონკრეტული იდენტობა ჩვენი საკუთრება სხვადასხვანაირად ხდება: იმისათვის, რომ გავერკვეთ, რას ნიშნავს იდენტობის მიღება, უმჯობესია იდენტობების მიღების (აკრეფის) პროცესი ჩვენი ცივილიზაციისა და კულტურის მაგალითზე განვიხილოთ: ჩვენი იდენტობა ოჯახთან, ან იქ, სადაც პირველ ცნობიერ მოძრაობებს ვაკეთებთ, აუცილებელია: ამ იდენტობის მიღება, ანუ იმის გაცნობიერება, რომ შენ კონკრეტული ოჯახის წევრი ხარ და შენი თავი შენთვის და სხვებისთვის ასე უნდა განსაზღვრო, იწყება დაბადებიდან – ანუ, პირველადი სოციალიზაციიდან. შემდეგი იდენტობა, რომელიც ჩვენში შემოდის, არის დამყარებული გარემოზე, რომელშიც ჩემი ოჯახი ცხოვრობს – ანუ, მივიღებ ნათესაობით იდენტობას, ანუ საკუთარ იგივეობას „გადავჭიმავ“ ოჯახის ნათესავებზე თუ არა, ეს კონკრეტულ სოციალურ გარემოზეა დამოკიდებული. თუმცა, როგორც წესი, „ოჯახის შემდგომი“ იდენტობა ნათესაურია. პარალელურად, იმ ინფორმაციის და სოციალური კავშირების საშუალებით, რომლებსაც ვიღებ, მიჩნდება სოციო-ბიოლოგიური იდენტობები (სოციო-ბიოლოგიური იდენტობა [ბავშვი] და სქესობრივი იდენტობა). შემდეგი იდენტობების მიღება დაკავშირებულია იმ სოციალურ ინსტიტუტებთან, რომელთა საშუალებით მე ვერთვები სოციალურ გარემოში: ჩვენს კულტურაში ეს სოციალური ინსტიტუტები განათლებისა და მასმედიის (ანუ ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელების/გადაცემის) ინსტიტუტებია. ამ დროს ჩემში ეროვნული იდენტობა შემოდის. ეს შესაძლებელია სკოლაში სიარულის დაწყე-

ბამდე მოხდეს, შეიძლება დაემთხვეს სკოლაში სიარულის დაწყებას. თავისთავად ცხადია, ერის ცნება ჩემში შემთხვევითად არ შემოდის – ის შემოდის იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელზეც დგას განათლების სისტემა და ინფორმაციის გავრცელება. საქართველოს შემთხვევაში, ეს პრინციპები ცნობიერადაა შემუშავებული – მაგ. როგორი უნდა იყოს ეროვნული სასწავლო გეგმა, ან კონკრეტული გამომცემლობის ან ელექტრონული მედიის პოლიტიკა. ამ იდენტობის შემოსვლის და საკუთარი თავის განსაზღვრებად გადაქცევის შემდეგ, ან პარალელურად, მიდგება პროფესიული, პარტიული თუ სხვა (მიდრეკილებითი) იდენტობების არჩევის პერიოდი, რომელსაც ვირჩევ, ვირგებ, თუ არ მომერგო, ვიცვლი და ა.შ. ის, რაც ჩემში რჩება მუდმივად და რაც ჩემი გადამწყვეტილების მიღმაა შემოსული, **ოჯახური, ნათესაური, სოციო-ბიოლოგიური და ეროვნული იდენტობებია**. რა თქმა უნდა, ამათი შეცვლაც შეიძლება, თუკი ადამინი გადამწყვეტს. განსხვავება ისაა, რომ ამ ოთხი იდენტობის მიღება არ არის დამოკიდებული გადამწყვეტილებაზე. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ეროვნული იდენტობის ადგილი შეიძლება აღწერის მიხედვით ეთნიკურმა იდენტობამ დაიკავოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუკი საქმე გვაქვს ეთნიკურად არამონოლითურ სახელმწიფოებთან. ამ შემთხვევაში, ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში ეროვნული იდენტობა იქნება ეთნიკური იდენტობის შემდგომი, ზემო სტრუქტურა.

ამ ხუთი (ოჯახური, ნათესაური, სოციო-ბიოლოგიური ეთნიკური და ეროვნული) იდენტობიდან ორის (ეთნიკურისა და ეროვნულის) მიღების წესი და შინაარსი უფრო მეტად დამოკიდებულია კონკრეტულ პოლიტიკურ გადამწყვეტილებებსა და სტრატეგიულ ხედვებზე, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს, ხოლო სამის (ოჯახური, ნათესაური და სოციო-ბიოლოგიური) – იმ სოციალურ სტრუქტურებზე, რომლებიც არსებობს კონკრეტულ საზოგადოებაში.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია კონკრეტულ საზოგადოებაში უფრო მეტად სოციალურ სტრუქ-

ტურებზე დამოკიდებული იდენტობების წყაროები სულაც არ ატარებდეს იგივეობრივ ენობრივ დასახელებებს. მაგალითად, ოჯახის ეკვივალენტს შეიძლება ეკლესია, კლანი ან რაიმე სხვა, ჩვენთვის რადიკალურად განსხვავებული შინაარსობრივი კონოტაციის მატარებელი სახელი ერქვას.

შესაბამისად, ჩვენი ძირითადი იდენტობები, ანუ ის იდენტობები, რომელთა არჩევა ან რომლებზე უარის თქმაც არ შედის სოციალური ცხოვრების ყოველდღიურ წესში, შეიძლება გავყოთ ორად – სოციალურსა და პოლიტიკურზე მეტად დამოკიდებულებად – და მათ **სოციალური და პოლიტიკური იდენტობები** დავარქვათ.

თუკი იდენტობების ჩამოყალიბებას ისტორიულად შევხედავთ, უნდა ვთქვათ, რომ სოციალური იდენტობების ჩამოყალიბება „ბუნებრივად“ ხდება – მათი ჩამოყალიბებისათვის ადამიანების უბრალო ერთობები საკმარისია. პოლიტიკალური იდენტობების, მათ არსებობისა და მიღების საფუძველს კი პოლიტიკური გადანყვებილები თუ ფორმალური და არაფორმალური განათლებისა და მასმედიის ინსტიტუციონალური სტრუქტურები წარმოადგენს: ეთნიკური იდენტობების ჩათვლით, რადგან ეთნიკური იდენტობის მისაღებად საჭიროა შეთანხმება საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებს შორის და ამ თანხმობის გამყარება მისი წლების განმავლობაში დაცვით, რასაც, თუნდაც არაფორმალური განათლების სისტემა სჭირდება.

პოლიტიკალური იდენტობის გაჩენის შემდეგ იდეოლოგია იქცევა იდენტობად, ანუ ტრიალდება და ისევ „დგება ფეხზე“: **ეროვნულ იდეოლოგიაში ჩადებული პრინციპების გაზიარებისას დიდი სოციალური ჯგუფების მიერ, იდეური კონსტრუქტი უკვე აღარ არის ამოტრიალებული ასახვა სოციალური რეალობისა (ანუ მხოლოდ ელიტების მცირე ჯგუფებში არსებული იდეების დიდი სოციალური ჯგუფების საკუთრებად გამოცხადება), არამედ არსებული სოციალური რეალობის შესაბამისი ასახვაა: როდესაც დიდი სოციალური ჯგუფები მართლაც არიან ეროვნული**

იდენტობის მატარებლები. ხოლო ელიტების იდეოლოგია – რომელიც ეფუძნება ეროვნულ იდენტობას, შეიძლება „მასებში არსებული ვითარების“ პიპერბოლიზაციას წარმოადგენდეს (მაგ. ფაშისტური ან ტერორისტული იდეოლოგია), მაგრამ მაინც რეალურ და არა ამოტრიალებულ ამოსავალზე – მოსახლეობაში ეროვნული იდენტობის არსებობის ფაქტზე დგას.

თუკი იდენტობების წარმოშობის ისტორიულ პროცესს შევხედავთ, შეიძლება შევიმუშაოთ ჰიპოთეზა, რომ იმ წარსულის პერსპექტივაში, სადაც ჩვენი კულტურის ისტორიის თვალი სწვდება, სოციალური იდენტობები მუდმივია, პოლიტიკალური კი – შექცენილი. ამის საფუძველი კი ის საშუალებებია, რომლებითაც ეს იდენტობები მტკიცდება და დგინდება: ოჯახურ, სოციო-ბიოლოგიურ და კლანურ იდენტობებს დამატებითი ისტორიული ინსტიტუციონალური სხეულები არ სჭირდება: ამ იდენტობების დადგენა და მიღება ხდება ადამიანთა მცირე რაოდენობის ერთმანეთთან ურთიერთობით. მაშინ, როდესაც ეროვნული და ეთნიკური იდენტობების დადგენას და დიდი ჯგუფების მიერ მის გაზიარებას რთული (როგორც ინსტიტუციური, ასევე ტექნოლოგიური) სისტემები სჭირდება. ბენედიქტ ანდერსონმა და გელნერმა ამ სისტემების ორი მოდუსი აღწერეს: განათლების სისტემა და მასმედია. მხოლოდ ამ ორის საშუალებით არის შესაძლებელი, ეროვნული და ეთნიკური იდეოლოგია იდენტობად – ანუ, ფართო მოსახლეობისთვის თვითგანსაზღვრის და თვითდადგენის, ასევე საკუთარი თავისა და ერთობის სხვებისაგან განსხვავების საშუალებად და ინსტრუმენტად იქცეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კაცობრიობის ისტორია სოციალური და პოლიტიკალური იდენტობების, ანუ იდენტობათა ფენების დაგროვების პროცესია და პიროვნების განვითარება ისტორიულ განვითარებასაც ასახავს: იდენტობების დაგროვება იწყება ოჯახის იდენტობიდან, და ჩვენს გარემოში მთავრდება ეროვნული იდენტობის მიღებით. თუკი პოლიტიკალური

იდენტობის დადგენა და გავრცელება დამოკიდებულია ფორმალურ და არაფორმალურ განათლების სისტემაში ჩადებულ შინაარსზე და საინფორმაციო საშუალებებზე, შემდგომი, მომავლის იდენტობები რეგიონული, გლობალური და ალბათ მსოფლიო იდენტობებია. თუმცა, ამ უკანასკნელის დადგენისათვის, შესაბამისი საინფორმაციო სისტემის არსებობის მიუხედავად, უცხოების არსებობის დამტკიცება იქნება საჭირო.

ამდენად, შეგვიძლია განვსაზღვროთ იდენტობა, როგორც ჩვენი, ჩვენი წარსულის, კულტურისა და მომავლის შესახებ წარმოდგენების კომპლექსი, რომლის შეხების/დაფარვის არეალს იქით მოხვედრილი ადამიანი/მოვლენა/არტეფაქტი ჩვენთვის უპირობოდ წარმოადგენს უცხოს.

როგორც ვნახეთ, ეროვნული იდენტობის წარმოშობა შემთხვევითია – ანუ, მას თვითონ კი არ მოაქვს მისი გავრცელების საშუალებები, არამედ პოლიტიკური და ტექნოლოგიური პროცესების შედეგად წარმოშობილ გავრცელების საშუალებებს იყენებს იდეოლოგიის იდენტობად ქცევისათვის.

ასევე, ცხადია, რომ ამ გავრცელების საშუალებების გაჩენამდე დიდი, ანუ პოლიტეტალური იდენტობა, არ არსებობდა. უფრო ზუსტად, არსებობდა მხოლოდ მისი შინაარსი, ელიტის იდეოლოგიის სახით.

ამიტომ, სანამ ამ ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას დავასრულებთ, კიდევ ერთი კითხვა უნდა დავსვათ: რამდენად აუცილებელი და შეუქცევადია, როგორც ისტორიულად, ასევე – ფაქტობრივად, ჩვენს გარემოში მხოლოდ ეროვნულობის, როგორც პოლიტეტალური იდენტობის დადგენა? ხომ არ არის კიდევ რაიმე ჩვენს გარემოში, რაც შეიძლება გახდეს [ან გახდა და ვერ ვამჩნევთ] დიდი იდენტობა? ან ხომ არ აქვს რაიმე კონსტრუქტს დიდ პოლიტეტალურ იდენტობად ქცევის თუნდაც თეორიული შანსი?

ამ კითხვაზე პასუხი ზედაპირზე დევს: ჩვენ ვლაპარაკობდით ეროვნულობაზე, როგორც შუა საუკუნეების ელიტის შესაძლებელ იდეოლოგიაზე. მაგრამ, შუა საუკუნეებში

იყო იდეოლოგია, რომელიც უპირობოდ წარმოადგენდა ყველა ელიტის იდეოლოგიას (განსაკუთრებით შუა საუკუნეების ევროპაში). შუა საუკუნეების ეროვნულობის იდეოლოგია მხოლოდ ამ იდეოლოგიის კერძო შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ. ეს იდეოლოგია არის რელიგია. ის, რომ რელიგია ელიტის იდეოლოგია იყო, უეჭველია და ამას მრავალი ისტორიული წყარო ადასტურებს. მაგრამ ხომ არ იყო ამავე დროს რელიგიურობა და რელიგია დიდი იდენტობაც?

იმ ჰიპოთეზიდან გამომდინარე, რომლის ჩამოყალიბებასაც ახლა ვცდილობ, შუა საუკუნეებში დიდი იდენტობის არსებობის პირობები არ იყო. ანუ, არ იყო არც ფორმალიზებული, ან თუნდაც არაფორმალური, მაგრამ ინსტიტუციონიზებული განათლების სისტემა, რომელიც ადამიანთა დიდ ჯგუფებს მოიცავდა და არც – მასმედია, რომელიც ერთიანობისა და ერთში მთლიანობის შეგრძნებას გააჩნდა. ეკლესიების და სასულიერო დაწესებულებების ქსელი ემსახურებოდა ელიტის გაფართოებასა და მდგრადობას, და არა დიდი იდენტობის შექმნას: ანუ, შუა საუკუნეებში ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური როლი ელიტაში იდეოლოგიის გავრცელება იყო და არა დიდი იდენტობის შექმნა.

* * *

მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც პიტერ ბერგერმა უარი თქვა თავის თეზაზე კაცობრიობაში და, განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში რელიგიურობის შემცირების შესახებ¹⁴, მკვლევრებმა მეტი ყურადღება მიაქციეს შუა საუკუნეების შესწავლას და განსაკუთრებით – ამ პერიოდში რელიგიურობის როლს¹⁵. დასკვნა, რომელიც მათი კვლევიდან გამომდინარეობს, ცხადად აჩვენებს, რომ მკვლევართა და ფილოსოფოსთა ლამის ორსაუკუნოვანი აზრი იმის შესახებ, რომ შუა საუკუნეები იყო რელიგიური ეპოქა, სადაც ადამიანების იდენტობას ტოტალურად რელიგია ადგენდა, იყო შეცდომა და ჩვენნი

რეალობის პარამეტრების შუა საუკუნეებზე გადატანა¹⁶. შეცდომის ფესვების კვლევა, რაც ალბათ ვოლტერამდე და ჰეგელამდე მიგვიყვანს – იმ კონსტრუქტებამდე, რომლებიც მათ დაადგინეს (პირველმა – რწმენის ეპოქის დამთავრებისა და გონების ეპოქის დადგომის მოთხოვნით, ხოლო მეორემ – გონის საფეხურების აღწერით და ამ საფეხურების პრინციპული ერთგვარობის დადგენით). ამ შეცდომის ყველაზე მკაფიო მსხვერპლი ბენედიქტ ანდერსონია, რომელმაც საკუთარი თეორიის სწორი დასკვნა არასწორ საფუძველზე – შუა საუკუნეებში დიდი რელიგიური იდენტობის არსებობასაც დააყრდნო¹⁷.

თუმცა, ეს უკვე სხვა ტექსტის თემაა. ჩვენთვის ამ მსჯელობიდან საინტერესო ისაა, რომ რელიგიის დიდ იდენტობად ქცევა ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც ეროვნულობა იქცევა დიდ იდენტობად. სხვა შესაძლებლობა – გამხდარიყო პოლიტიკალური იდენტობა – რელიგიას უბრალოდ არასოდეს ჰქონდა. სხვადასხვა ემპირიული კვლევებიც¹⁸ ადასტურებს, რომ მსჯელობა რელიგიაზე, როგორც პოლიტიკალურ იდენტობაზე, მხოლოდ ჩვენს გარემოშია შესაძლებელი და არა – ნარსულის რომელიმე ეპოქაში.

მაშასადამე, განათლების ინსტიტუციონალიზებული სისტემისა და გლობალური საინფორმაციო საშუალებების ეპოქის დადგომასთან ერთად, ჩვენ ორი პოლიტიკალური იდენტობის შესაძლებლობა მივიღეთ: ეროვნულისა და რელიგიურისა. რატომ ეს ორი და არა სხვა? – ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: ის, რაც შეიძლებოდა განათლების სისტემით გავრცელებულიყო და მასმედიაში მიეღნია ფორმალიზებისათვის – ანუ, სახლმწიფო იდეოლოგია ამ დროისათვის და დღესაც სულ ორი იყო – ეროვნული და რელიგიური. ანუ, სულ ორი იდეოლოგია წარმოადგენდა ელიტების პოტენციურ და აქტუალურ იდენტობებს. შესაბამისად, მხოლოდ ორი იდეოლოგია შეიძლებოდა ქცეულიყო პოლიტიკალურ, დიდ იდენტობად. ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში ეს ორი ერთმანეთს ემთხვეოდა, ზოგიერთის შემთხვევაში კი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და ელიტას ცნობიერი ან გაუც-

ნობიერებელი არჩევანის წინაშე აყენებდა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში შეიძლება არსებულიყო ელიტის იდეოლოგია ეროვნულის გარეშე, მაგრამ არ არსებობდა და შეუძლებელი იყო ყოფილიყო ეროვნული იდეოლოგია რელიგიურის გარეშე.

შესაბამისად, როდესაც დიდი იდენტობების დრო დადგა, პოლიტიკოსებმა დაიწყეს საკუთარი იდეოლოგიის ინსტალირება განათლების სისტემასა და მასმედიაში. რთული სოციალური სისტემების (მაგ. იმპერიების) შემთხვევაში, პარალელურად რამდენიმე იდეოლოგია შეიძლება გავრცელებულიყო. ამ შემთხვევაში ვიღებდით იდეოლოგიების კონკურენციას, რომლის მიზანიც იდენტობად ქცევა იყო. ამიტომ, სრულიად და გარდაუვლად ისტორიულადაა განპირობებული ის, რომ ზოგ ქვეყანაში პოლიტეტალურ იდენტობას რელიგია წარმოადგენს, ზოგში კი – ეროვნულობა. ამიტომაცაა, რომ ბევრგან – მაგალითად, აღმოსავლეთის ქვეყნებში – რელიგიის პოლიტეტალურ იდენტობად ქცევა ნაციონალიზმადაა აღქმული. სინამდვილეში კი, ეს სხვა არაფერია, თუ არა ამ საზოგადოების სტრუქტურაში – გლობალიზაციის თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო – განათლების ფორმალიზებული სისტემისა და მასმედიის ინსტალაციის შედეგად – პოლიტეტალური იდენტობის წარმოშობა.

ამიტომ, როგორც გლობალურად, ასევე, ლოკალურად, პოლიტეტალური იდენტობის ეპოქის დადგომა არ ნიშნავს ავტომატურად ნაციონალიზმის ეპოქის დადგომას. ძალიან ხშირად ინტელექტუალთა წრეებში ნაციონალიზმი გამოცხადებულია განვითარებული საზოგადოების პროდუქტად, რელიგიულობა კი – ე.წ. წინა საფეხურზე მდგომი საზოგადოების შედეგად. როგორც ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა და ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა აჩვენებს, ეს კავშირი შემთხვევითია, და მეტიც – ფარდობითად ძალიან მოკლე ხანში ნაციონალიზმი შეიძლება შეიცვალოს რელიგიურობით, და პირიქით – თუკი შესაბამისი პოლიტიკური გადწყვეტილება მიიღება და მოი-

ძებნება ამისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები.

მეტიც – რელიგიურობის, ერთი შეხედვით, აუხსნელი ზრდა თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებებში¹⁹ სწორედ პოლიტიკალური იდენტობის ცვლილებას მიუთითებს და ამ ცვლილების საფუძველი ამ საზოგადოებების საინფორმაციო საშუალებებში და ფორმალურ და არაფორმალურ განათლების სისტემებში უნდა ვეძებოთ. თუმცა, ესეც კვლევის თემაა: შეიძლება რელიგიურობის სახით საქმე უფრო დიდ პოლიტიკალურ იდენტობასთან გვქონდეს, რომელიც ქმნის უფრო ფართო იდენტობას, ვიდრე ეროვნულია. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მომავალი რეგიონული და მსოფლიო იდენტობების კერძო ვერსიად რელიგიური იდენტობაც განვიხილოთ. თუმცა, ვიმეორებ, ეს ცალკე კვლევის თემაა, და შესაძლებელია „უბრალოდ“ ეროვნული იდენტობის რელიგიურით ჩანაცვლებასთან გვქონდეს საქმე. ასევე, შესაძლებელია რელიგიურობა სოციალური იდენტობის ახალ, აქამდე უცნობ მოდუსს წარმოადგენდეს.

* * *

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ცხადია, როდის მოხდა ქართული დიდი იდენტობის წარმოშობა. ჩვენ შეიძლება საკმაოდ მაღალი ხარისხის ისტორიული სიზუსტით ვთქვათ, როდის დაიწყო დიდ იდენტობად ქცევა იმ იდეოლოგიამ, რომელიც საკმაოდ განვითარებული და ჩამოყალიბებული იყო ქართულ ელიტაში. ვფიქრობ, ამ იდენტობის გაჩენის დასაწყისის ისტორიულ რუკაზე უნდა მოვხაზოთ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში – პირველი ქართული გაზეთების გამოცემის პერიოდში. ხოლო იდეოლოგიის იდენტობად გარდაქმნა პირდაპირ უნდა დავუკავშიროთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და გააქტიურებას. ამდენად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მართლაც იყო „ქართველი ერის სკოლა“²⁰, ოღონდ არა იმ აზრით, რომ ქართველი ერის უმრავლესობა სწავლობ-

და მასში, არამედ იმ აზრით, რომ ამ სკოლიდან გამოვიდა ქართველი ერი, ანუ, ქართველი ერი დაიბადა და აღიზარდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

* * *

მაგრამ კითხვა, რომელიც ახლა უნდა დავსვათ, სწორედ ამ დიდი იდენტობის შინაარსს ეხება. რუსეთის იმპერიის და საბჭოთა კავშირის პერიოდში მასმედიითა და განათლების სისტემის საშუალებით ეროვნულობა, როგორც დიდი პოლიტიკალური იდენტობა, ვრცელდებოდა და დგინდებოდა, ალბათ, როგორც სპეციფიკური ეთნიკური იდენტობა – საბჭოთა ეროვნული იდენტობის გავრცელების მოუხეშავ მცდელობებთან ერთად. საბჭოთა კავშირამდე, რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ უნდა ითქვას – ქართული წარმოქმნილი იდენტობა პრინციპში ჰარმონიაში იყო რუსულ იმპერიულ იდენტობასთან – ქართული ელიტა მშვიდად აღიქვამდა რუსეთის იმპერიის წევრობას – და საკუთარი იდეოლოგიის ეთნიკურ-პოლიტიკალურ იდენტობად გარდაქმნას ცდილობდა. საბჭოთა კავშირის განათლების სისტემა ცდილობდა იგივე გაემეორებინა, რასაც რუსეთის იმპერია აკეთებდა, მაგრამ, სხვადასხვა პოლიტიკური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, საბჭოთა კავშირის განმავლობაში ქართველი განმანათლებლების მიერ დაწყებული ეთნიკური პოლიტიკალური იდენტობის შექმნა გადაიქცა ეროვნული იდენტობის შექმნის პროცესად – საკუთარი, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით. ამის მიზეზი იყო როგორც საბჭოთა კავშირთან ქართული ინტელექტუალური ელიტის კულტურული დაპირისპირება, ასევე – განათლების სისტემაში ლიტერატურისა და ისტორიის სასწავლო გეგმების სახელმწიფო კონტროლის უნებლიე ან განზრახ სისუსტე.

ეს მოთხოვნა ჯერ ელიტის იდეოლოგიად, ხოლო შემდეგ – განათლების სისტემისა და მასმედიის გავლით, XX საუკუნის დაახლოებით 70-იანი წლების დასაწყისიდან – პოლიტიკალურ იდენტობად გაფორმდა. შეიძლება

ითქვას, რომ 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში საბოლოოდ დამარცხდა საბჭოთა პოლიტეტალური იდენტობა. ამავ დროს, ეროვნული იდენტობის კონსტრუქტში ნელ-ნელა დაიწყო შესვლა დანაშაულებრივი სამყაროს კონსტრუქტებმა, რომლებიც წლების განმავლობაში განვითარებულ კანონიერი ქურდების კულტს უკავშირდებოდა და მისგან გამომდინარეობდა.

დღეისათვის საკმაოდ ძნელია, რამე ვთქვათ 80-იანი წლების საქართველოში გავრცელებული ეროვნული იდენტობის შესახებ. თუმცა, იმდროინდელი პრესის და სხვა ბეჭდვითი გამოცემების ანალიზის საშუალებით გარკვეული რეკონსტრუქცია მაინც შესაძლებელია. ერთი რამ ცხადია: 80-იანი წლების ბოლოს ქართულ ნაციონალურ იდეოლოგიაში რელიგიური მთლიანად ექვემდებარებოდა ეროვნულს: ერთი მხრივ, საეკლესიო იერარქების საბჭოთა უშიშროებასთან აშკარა კავშირის, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან რელიგიისა და ეკლესიის ძლიერი კონტროლის გამო. ამასთან, საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა სტრუქტურულად ეკუმენური იყო და პრინციპულად უარს ამბობდა, რომელიმე რელიგიის პოლიტეტალურ იდენტობად ქცევისათვის შეეწყობა ხელი.

შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა დავსვათ, ეხება ჩვენს თანამედროვე პოლიტეტალურ იდენტობას: საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ პოლიტეტალური იდენტობის დანერგვის ტექნოლოგია პრინციპულად ხელმისაწვდომი გახდა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში რელიგიურ იდეოლოგიასაც ისეთივე საშუალებები მიეცა გასავრცელებლად და იდენტობად ქცევისათვის, როგორც ეს მანამდე ეროვნულ იდეოლოგიას ჰქონდა. 2006 წელს ჩატარებულმა საქართველოს საზოგადოების ღირებულებების კვლევამ²¹ აჩვენა, რომ გამოკვლეული 39 ღირებულებიდან და ინსტიტუტიდან 2/3-ის წარმოსახვით კონსტრუირებაში სახელმწიფოსა და ტრადიციების ღირებულებების გვერდით თანაბრად მონაწილეობს მართლმადიდებლობისა და რელიგიურობის ღირებულებები.

ეს ღირებულებები/ინსტიტუტებია: მთავრობა, ნათესაობა, ოჯახი, პარლამენტი, პატრიოტიზმი, პიროვნული თავისუფლება, პოლიტიკური პარტიები, პოლიცია, რელიგიურობა, სამართლიანობა, სამშობლოსათვის თავგანწირვა, სასამართლო სისტემა, სასჯელაღსრულებითი სისტემა, სახელმწიფო, სკოლა, ტრადიციები, უნივერსიტეტი, ქალიშვილობის ინსტიტუტი, ქველმოქმედება, შეიარაღებული ძალები, შემწყნარებლობა, ადამიანის უფლებები, არამართლმადიდებლური ეკლესიები, ახალი ტექნოლოგიები, ბუნების დაცვა, განათლების სისტემა, დასვენების/გართობის შესაძლებლობა, ეკონომიკური სისტემა, თავისუფალი ასოციაციები/გაერთიანებები, თავისუფალი სექსი, სამუშაო, კანონმდებლობა, კანონმორჩილება, კერძო ბიზნესი, კერძო საკუთრება, კოლექტივიზმი, კულტურული მრავალფეროვნება, მართლმადიდებელი ეკლესია, მეგობრობა.

შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველების პოლიტიკალურმა იდენტობამ ცვლილება დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში და ალბათ ამ ახალი ფორმის კონსტრუირება დამთავრებული არ არის. გამომდინარე იქიდან, თუ იდეოლოგიის ინსტალირების და იდენტობად ქცევის რა ინსტრუმენტები გააჩნია სახელმწიფოს და რა – ეკლესიას, ძნელი არ იქნება დავასკვნათ, რომ დღესდღეობით ეკლესია იგებს ამ კონკურენციაში და ეროვნულობას რელიგიურობას უქვემდებარებს. ჩვენს გარემოში ამის ხუთი ნიშანი არსებობს:

1. ეკლესიის შიგნით უმრავლესობას შორის იდეოლოგიის შესახებ თანხმობა;

2. ხელისუფლებაში ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბებლობა;

3. ეკლესიის მიერ იდეოლოგიის იდენტობად ქცევის ინსტრუმენტების სიძლიერე (ეკლესიების მაღალი ავტორიტეტი, ეკლესიების მიერ წარმოებული არაფორმალური

განათლება, საეკლესიო გამოცემები);

4. სახელმწიფოს მიერ ეროვნული იდეოლოგიის იდენტობად ქცევის ინსტრუმენტების სისუსტე (სკოლების დაბალი ავტორიტეტი და სახელმძღვანელოების შინაარსი) და მასში მონაწილე სუბიექტების (მასწავლებლების) უპირატესად ეკლესიის ინსტიტუტებში მონაწილეობა;

5. საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლების (ჟურნალისტების) უმრავლესობისა და ეკლესიების პრინციპული მოკავშირეობა, და სახელმწიფოს იდეასთან დაპირისპირებულობა.

ჩვენ ჩვენი პოლიტიკალური იდენტობის ისტორიის საინტერესო საფეხურზე ვიმყოფებით: ჯერჯერობით, ცხადია, რომ დიდი პოლიტიკალური იდენტობისათვის გამართულ კონკურენციაში რელიგიურობა იმარჯვებს და იქვემდებარებს ეროვნულს. რა მოხდება უახლოეს მომავალში, შესაძლებელი იქნება თუ არა ეროვნული და რელიგიური იდეოლოგიების დაბალანსება, ან კვლავ ეროვნულის პრიმატი, ამას მომავალი გვიჩვენებს: ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, უპირველეს ყოვლისა კი სახელმწიფოს მიერ წარმართულ სოციალურ და განათლების პოლიტიკაზე.

**„საქართველო – აღმოსავლეთის და
დასავლეთის გზაგასაყარზე“:
დღევანდელი ქართველების თვითწარმოდგენის
და თვითპრეზენტაციის ისტორია**

ის, რომ საქართველო ევროპისა და აზიის, გნებავთ, ევროპული და აზიური კულტურების გადაკვეთაზე არსებობს და ამის გამო მისი წარსული, აწმყო და მომავალი გამორჩეულია, დღეს ქართულ საზოგადოებაში (და არა მარტო) მიღებული და გავრცელებული, ეჭვშეუტანელი აზრია. ამ თემას ეძღვნებოდა კონფერენციები – არა მარტო საქართველოში (მაგ. 2009 წლის აპრილში – კოლუმბიის უნივერსიტეტში), მზადდება ტელეგადაცემები (ამას წინათ თვალი მოვკარი რეკლამაში – ლაშა ბულაძეს, რატი ამალაშვილს და თუ არ ვცდები – გიო ახვლედიანს მოუშადადებიათ ე.წ. „წინანდლის გადაცემა“ ამ თემაზე), ამ თემას ხშირად იყენებენ უცხოელი „ქართველოლოგები“. რამდენიმე ხნის წინათ სწორედ ზემოთ ხსენებული კოლუმბიის უნივერსიტეტის კონფერენციისათვის მოხსენების მომზადება მომიწია. ერთი ხანობა ვაპირებდი, ევროპისა და აზიის გადაკვეთის ფენომენოლოგიას შევჭიდებოდი, და სახელდახელო თეორიაც კი მოვამზადე, რომლის მიხედვითაც ევროპა-აზიის გადაკვეთა პოლიტიკურ-კულტურული ცნებაა და არა გეოპოლიტიკური; რომ ამ ცნების მიყენების არეალი, დასავლეთის პოლიტიკური ღირებულებებისა და კულტურის პოლიტიკის გავრცელებასთან ერთად, ინაცვლებს აღმოსავლეთისაკენ. ამ მინითეორიის მიხედვით, აღწერა – „ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე ყოფნა“ (ან, გნებავთ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის) პოლიტიკურ-

კულტურული ინდიკატორების კომპლექსია და მოძრავია. XIX საუკუნეში და XX-ს დასაწყისში ის საქართველოსთვის ადეკვატური აღწერა იყო, მანამდე კი – ახლა რომ ევროპის ცენტრალურ ნაწილს რომ უწოდებენ, იმ ქვეყნების შესაბამისი. ამჯერად ის აზერბაიჯანის კუთვნილი აღწერაა და მოსალოდნელია, რომ რამდენიმე ხანში ისევ გაიწიოს აღმოსავლეთისაკენ.

ის იყო ამ თეორიის ხორცშესხმას შეეუდექი, ნაციონალ-სოციალისტების მხარდამჭერი ერთი ფილოსოფოსის რჩევა/წესი გამახსენდა, ყველაზე მეტი კითხვა იმის მიმართ უნდა დაისვას, რაც ზედაპირზეა და ვიცით, რომ თავისთავად ცხადია.

პირველი კითხვა სწორედ ამ აღწერის, როგორც ევროპისა და აზიის თუ ევროპული და აზიური კულტურებისა და ცხოვრების წესების გადაკვეთის მიმართ გამიჩნდა: თუ ეს აღწერა შუა საუკუნეებშიც რელევანტური იყო საქართველოსათვის, ვინმეს – უცხოელ მოგზაურს ან საქართველოს მკვიდრს მაინც – უნდა გამოეყენებინა. ჩემმა ხანგრძლივმა ძიებამ საინტერესო შედეგი გამოიღო: არც ერთ უცხოელ მოგზაურს, არც ერთ ქართველ ინტელექტუალს, არც შუა საუკუნეებში და არც მერე, XIX საუკუნის ბოლომდე, ეს აღწერა საქართველოსათვის არ მიუყენებია. არც შარდენს, არც კასტელს, არც ლამბერტს, არც დე გრაიდე ფუას, არც ავიტაბლეს, არც მონპერეს, არც გიულდენშტედტს, არც მარკო პოლოს და, ბოლოს და ბოლოს, არც ალექსანდრე დიუმას. მოკლედ, არც ერთ უცხოელ მოგზაურს, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებიდან ახალ დრომდე საქართველოში მოგზაურობდა, არც საქართველო და არც მისი რომელიმე კუთხე არ აღუწერია „ევროპისა და აზიის გადაკვეთის“ გამოყენებით.

მაგრამ ხომ შეიძლება ეს აღწერა ყოფილიყო არა მოგზაურების, არამედ, ევროპელი, არამოგზაური ინტელექტუალების მიერ გამოყენებული? იმ ადამიანების, რომლებიც გეოგრაფიით იყვნენ დაინტერესებულნი და მოგზაურების ჩანაწერებზე და მათ მიერ შედგენილ რუკებ-

ზე აზროვნებდნენ? ამ მიმართულებითაც იგივე შედეგი მივიღე: მაგალითად, იმანუელ კანტი, რომელიც კიონიქს-ბერგის უნივერსიტეტში ფიზიკურ გეოგრაფიაში კითხულობდა ლექციებს, საქართველოს შესახებ წერს ქვეთავში, რომელსაც „თურქეთის აზია“ (ანუ, ჩვენთვის უფრო ნაცნობი „წინა აზია“) ჰქვია²². ასე რომ, თუკი ვლაპარაკობთ წარმოსახვით საქართველოზე, როგორი იყო ის შუა საუკუნეებში და ახალი დროის დასაწყისში ევროპელებისა და ქართველების თვალში, ის არანაირად არ იყო ევროპის და აზიის გადაკვეთა და არც ამ გადაკვეთაზე წარმოშობილი ცხოვრების წესი და სახელმწიფო. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეებიდან ქართული სახელმწიფოს იდეოლოგია მეტყველებდა საკუთარ თავზე, როგორც კარიბჭეზე და ქრისტიანობის ბოლო საყრდენზე აღმოსავლეთის მიმართულებით. მაგრამ, დამეთანხმებით, „საყრდენ-კარიბჭიდან“ „გადაკვეთაზე წარმოშობილადე“ საკმაოდ გრძელი გზაა, სპეკულაციებითა და არადამაჯერებლობით აღსავსე.

ევროპელებისათვის საქართველო შუა საუკუნეების და შემდგომ პერიოდშიც იყო აღმოსავლეთი, ან, უფრო ხშირად – წინა აზია. ეს არ არის გასაკვირი: შუა საუკუნეების ევროპის რუკები უცნაურად ემთხვევა ცივი ომის-დროინდელ ცენტრალური ევროპის რუკას და არ შეიცავს უნგრულ, სერბულ და პოლონურ ტერიტორიებს²³. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელი ინტელექტუალები გერმანიის შესახებ სვამდნენ მისი ევროპისადმი თუ აზიისადმი მიკუთვნებულობის შესახებ კითხვას და მასზე, როგორც ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე მყოფ სახელმწიფოზე და აქედან გამომდინარე პოლიტიკურ შედეგებზე საუბრობდნენ²⁴.

ბუნებრივია, ამის შემდეგ მართებული იქნება ვიკითხოთ როდის წარმოიშვა საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ანდა – ევროპისა და აზიის [კულტურების] გზაგასაყარზე/გადაკვეთაზე მდგომის აღწერა?

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით პასუხის სამი ვერსია

შეიძლება არსებობდეს:

1. ეს აღწერა შეიმუშავეს ქართველმა ინტელექტუალებმა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. განსაკუთრებით – დამოუკიდებლობის მოკლე (1917-1921) პერიოდში. ისინი მიზნად ისახავდნენ ძლიერი სახელმწიფო-ერის იდენტობის შექმნას.

2. ეს აღწერა შემოიღეს საბჭოთა კავშირში, როგორც საბჭოთა ხელისუფლების პროექტის ნაწილი, რომელიც ამტკიცებდა საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულობას და გამორჩეულობას ყველასგან და ყველაფრისგან.

3. ეს აღწერა წარმოიშვა საბჭოთა საქართველოში, 70-იან წლებში, თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის შექმნის პროცესში.

განვიხილოთ სამივე ვერსია:

1. 1917-23 წლის ვერსია:

ქართველ ინტელექტუალებს შორის კამათი ქართული იდენტობის შესახებ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო. ამ კამათის დასაწყისი ემთხვევა რუსეთის იმპერიის შიდაპოლიტიკურ და საგარეო დასუსტებას. კამათის ძირითადი შინაარსი საქართველოს, როგორც კონკრეტული კულტურისა და ცნობიერების მატარებელი ხალხის ერთობის მიკუთვნებლობის შესახებ იყო. ეს გასაგებობა: რუსეთის დასუსტებამდე და მისი დაშლის საფრთხის რეალურად ქცევამდე რუსეთისადმი პოლიტიკური და კულტურული კუთვნილება ეჭვს არ იწვევდა. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ რღვევა დაიწყო, ქართველმა მოაზროვნეებმა ლოგიკურად დასვეს შეკითხვა, თუ „ანი“ ვისთან მიკუთვნებულად უნდა წარმოედგინათ საკუთარი თავი და ქვეყანა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კამათი უფრო საქართველოს მომავლის, განვითარების გზის შესახებ მიმდინარეობდა, ვიდრე იმის შესახებ, თუ წარსულში რანი იყვნენ და დღეს რას წარმოადგენენ ქართველები. ამ დისკუსიაში მთავარი კითხვა იყო მომავალი განვითარების მამართლები

შესახებ: საით უნდა წასულიყო საქართველო – ევროპისაკენ თუ აზიისაკენ. ევროპის გზის „ლიდერი“ გერონტი ქიქოძე იყო, ხოლო აზიის – ვახტანგ კოტეტიშვილი. ძალიან ცოტა ხმა (მათ შორის გრიგოლ რობაქიძეც) აღწერდა საქართველოს, როგორც კულტურების გადაკვეთას, ამ გადაკვეთაზე მდგომს და ცდილობდა ამით საქართველოს განსაკუთრებულობის დასაბუთებას (იხ. „ევროპა თუ აზია“. გამომცემლობა „ლიტერატურის მატთანე“. თბილისი 1997). ვფიქრობ, ამ დროს „გადაკვეთაზე დგომა“ იმიტომაც არ იყო პოპულარული იდეა, რომ საკამათო საკითხი მეტად პრაგმატულად გამოიყურებოდა: რუსეთის იმპერია ქრებოდა და საქართველოს იდენტობის ახალი საყრდენი სჭირდებოდა. შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერია მართლაც დაიშალა, საჭირო იყო ახალი ადგილის პოვნა თანამედროვე სამყაროში, რომელიც მომავალი იდენტობის ამოსავალ წერტილად იქცეოდა. „გადაკვეთაზე დგომა“ კი სულ მცირე მომავლის გაურკვეველობას და ორ სამყაროს შორის მუდმივ ქანქარს ნიშნავდა, თანაც ზედმეტად იყო წარსულზე და წარმოშობაზე ორიენტირებული და პრაგმატულად ვერ პასუხობდა კონკრეტულ კითხვას კონკრეტული მომავლის შესახებ. მაშინ, როდესაც ევროპისა და აზიის მიმართულეების მომხრეებს პრაგმატული პასუხებიც ჰქონდათ და მომავლის მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული ხედვაც.

2. საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულობის თეორიის ვერსია:

საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულობის თეორია ძირითადად შეიქმნა სტალინის დროს და მისი მხარდაჭერით. ამ თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ქართული რენესანსის თეორია, რომლის მიხედვითაც ევროპული რენესანსი საქართველოში დაიწყო.

არანაკლები მნიშვნელობა საბჭოთა განსაკუთრებულობის თეორიაში ენიჭებოდა „ევრაზიისტვოს“, რომელიც აღწერდა რუსეთს, როგორც ორარსიან ქვეყანას – სადაც ევროპა და აზია ერთიანდებოდა. ეს ერთიანობა კი ორივე

მხარეზე ბატონობის ლეგიტიმაცია იყო. ეს თეორია XIX საუკუნეში შეიქმნა რუსი ნაციონალისტების მიერ და აქტიურად გამოიყენებოდა საბჭოთა იდეოლოგიაში.

მაგრამ, „გადაკვეთაზე მყოფობა“ არც ერთ – არც რენესანსის და არც „ევრაზიისტვოს“ თეორიაში არ იყო გამოყენებული. მე ამის კვალი დიდი საბჭოთა ენციკლოედიის ვერც ერთ გამოცემაში (სამი გამოცემა – 30-იან, 50-იან და 70-იან წლებში) ვერ ვიპოვე.

საქართველოში, გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგაც, მხოლოდ ორიოდ ქართველი ინტელექტუალი (მაგ. ნიკოლო მინიშვილი, აკაკი პაპავა) ცდილობდა „ევრაზიისტვო“ საქართველოს აღწერაში გამოეყენებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ვერც ამის ადეკვატური გამოყენება და ვერც მიმდევრების პოვნა ვერ მოახერხეს²⁵.

3. წინა საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში წარმოშობის ვერსია:

გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირის რეპრესიული და იდეოლოგიური მექანიზმების მუშაობა მთელი რიგი შიდა თუ გარე ფაქტორების მუშაობის გამო შესუსტდა. ამან კი საშუალება მისცა ქართველ საბჭოთა ინტელიგენციას დაეწყო ფიქრი ქართულ კულტურულ იდენტობაზე (წარსულზე ორიენტირებით) და ეს ნაფიქრი სასკოლო წიგნებსა და საუნივერსიტეტო ლექციებში გამოეხატა. მხოლოდ ამ დროიდან ხდება „გადაკვეთისა“ და „გზაგასაყარის“ თეორია დომინანტური საქართველოს აღწერებში. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გრიგოლ რობაქიძის თავიდან აღმოჩენამ ქართველ მკითხველებში: ამ დროისათვის რობაქიძის ნაწერები (რომელთა ღერძიც „გადაკვეთის“, „გზაგასაყარის“ „ორი დაპირისპირებული (ევროპისა და აზიის) აქ შეერთების“ თეორია იყო) აქტიურად გავრცელდა ქართველ საზოგადოებაში ე.წ. „სამიზნადატის“ მეშვეობით. გრიგოლ რობაქიძე უპირობოდ მიიღეს და აღიქვეს, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი ევროპელი მწერალი, და შესაბამისად, ერთ-ერთი (თუ ყველაზე არა)

საუკეთესო ქართველი მწერალი. ამიტომ, მისი ერთ დროს მარგინალური თეორია „გზაგასაყარის/გზაჯვარედინის“ შესახებ ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის მიერ (ძალიან მცირე გამოჩენილებით) ასევე უპირობოდ იქნა მიღებული, როგორც საქართველოს „სულის“ ერთადერთი ჭეშმარიტი აღწერა. ეს აღწერა იმდენად გავრცელდა, რომ უკრიტიკოდ შეაღწია ქართველოლოგებშიც კი²⁶.

შესაბამისად, ეს იდეა ახალი კულტურული ნაციონალიზმის ნაწილი გახდა და ქართველების განსაკუთრებულობას დაედო საფუძვლად: საქართველო ევროპისა და აზიის გადაკვეთის შედეგად წარმოიშვა – ან ზოგი, რადიკალური ვერსიით – ეს ადგილი საფუძვლად უდევს ორივეს – ევროპასაც და აზიასაც. ამ თეორიამ ძალიან მალე მოიპოვა პოპულარობა და თავისთავადი სიცხადე. შედეგად, საქართველოს ლეგიტიმური კულტურული აღწერა ჩამოყალიბდა, როგორც ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე წარმოქმნილი და ამიტომ – განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი და ა.შ. შედეგად, დღემდე კითხვა „საქართველო – ევროპა თუ აზია?“ რიტორიკულია და პასუხი ცხადია – არც ევროპა და არც აზია, არამედ ორივე ერთად და კიდევ რაღაც....

პოსტ-საბჭოთა განვითარება

90-იანი წლების შემდეგ ქართული ეროვნული იდენტობის ამ ნაწილმა – „ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე და გადაკვეთაზე ყოფნამ“ – ნელ-ნელა გეოპოლიტიკურ ფაქტორად დაიწყო გარდაქმნა. ამ გარდაქმნაში მთავარი როლი ედუარდ შევარდნაძემ შეასრულა: მის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა იყო, საკუთარი პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ერთსა და იმავე დროს უნდა დაემყარებინა კარგი (ან ნორმალური) ურთიერთობა რუსეთთან, აშშ-სთან, ქართულ საზოგადოებასთან (ყოფილ საბჭოთა ინტელიგენციასთან მაინც). ეს ყველაფერი უნდა ეკეთებინა რომელიმე მხარეს ამკარა გადახრის გარეშე.

არ ვიცი, რამდენად აცნობიერებდა ედუარდ შევარდნაძე მის მიერ ქართული იდენტურობის კონტრქუციის გამოყე-

ნებას (რომელიც, სხვათა შორის, მისი კომპარტიის ცენტრალური მდივნობის პერიოდში შეიქმნა), მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ მისი მითითებებით მოხდა საქართველოს, როგორც აბრეშუმის გზის (წარსული) და ნავთობსადენების გზის (მომავალი) პრეზენტაცია მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე.

ამ პრეზენტაციამ საქართველო გასაგები და მისაღები გახადა მსოფლიო პოლიტიკისათვის, და შევარდნაძის მოკლევადიანი მიზანი – უზრუნველყო საკუთარი პოლიტიკური სტაბილურობა – თუნდაც ტერიტორიების დაკარგვის ხარჯზე – შეასრულა. შევარდნაძის პროექტი – ექცია გზაგასაყარი-დერეფანი-გზაჯვარედინი გეოპოლიტიკურ მუდმივად – წარმატებით განხორციელდა. გზაგასაყარის, გზაჯვარედინის იდენტობა უზრუნველყოფს მოქალაქეების თვითწარმოდგენას და წარმოდგენას საკუთარი ქვეყნის შესახებ, როგორც არც ერთ მხარეზე (არც ევროპა, არც აზია) მდგარის, მაგრამ რაღაც ძალიან მნიშვნელოვნის. ამას შევარდნაძემ გეოპოლიტიკური აღწერაც დაუმატა, რომელიც იდენტობის ამ შინაარსის ეკონომიკურ-პოლიტიკურ განზომილებას უზრუნველყოფდა. შედეგად, შევარდნაძემ, როგორც ამ სქემის ავტორმა და ერთადერთმა მცოდნემ, თუ როგორ უნდა უზრუნველყო მისი წარმატებულობა, საკუთარი პოლიტიკური სტაბილურობა კარგახნით გაინაღდა.

მართალია, ამ იდენტობა-გეოპოლიტიკურმა კონსტრუქციამ საქართველოს ტერიტორიებიც დააკარგვინა და დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების გზიდანაც ააცდინა, მაგრამ ეს ქართველი ინტელექტუალებისათვის შეუმჩნეველი დარჩა. პირიქით – შევარდნაძის „გეგმა“ ზუსტად „ჩაჯდა“ 70-იან წლებში შექმნილ ეროვნული იდენტობის შინაარსში და ამის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური მიდრეკილება დერეფნების, მილსადენებისა და გზაგასაყარებისაკენ შეუქცევადად იქცა.

შევარდნაძემ მოახერხა, რომ იდენტობის კონსტრუქცია გეოპოლიტიკურ მუდმივად ექცია და ამით კიდევ უფრო

გამყარა 70-80-იან წლებში შექმნილი გზაგასაყრის, გზებისა და კულტურების გადაკვეთის ეროვნული იდენტურობის შინაარსი.

შევარდნაძის შემდეგ

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის შემდეგ ახალმა ადმინისტრაციამ დაიწყო შევარდნაძის მემკვიდრეობის უარყოფა/ცვლილება, მისი მთავარი მემკვიდრეობა შეუმჩნეველი დარჩა: გზისგადაკვეთის, კულტურაგადაკვეთის, გზაჯვარედინისა და კულტურაჯვარედინის თეორია, როგორც ქართული იდენტურობისა და საქართველოს გეოპოლიტიკური ღერძი. ეს შეუმჩნეველობა ბუნებრივიცაა, რადგან ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკოსები სწორედ იმ სკოლაში დადიოდნენ, სადაც ქართულმა საბჭოთა ინტელიგენციამ და ქართველმა მასწავლებლებმა ამ იდენტობაზე დამყარებული განათლების შეტანა დაიწყეს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ისინი აღიქვამენ ამ იდენტობას, როგორც ერთადერთ შესაძლებელს.

ახალმა ხელისუფლებამ მოახერხა შევარდნაძის მემკვიდრეობის ზედაპირზე მყოფი პრობლემებისაგან მნიშვნელოვანწილად განთავისუფლება (კორუფცია, არასისტემური განვითარება და ა.შ.), მაგრამ პოლიტიკური მოქმედების ღერძი ისევ შევარდნაძისეული გეოპოლიტიკური მუდმივი და 80-იანი წლების იდენტობის შინაარსი დარჩა: საქართველოს პრეზენტაცია ადგილად, რომელიც იდეალურია უცხო ბიზნესის განვითარებისათვის, იმიტომ, რომ აქ ისეთი ხელისშემწყობი კანონებია, როგორც არსად, ისევ იმ იდენტობის კულტივირებაა, რომელიც შევარდნაძის დროს წარმოიქმნა: ისევე, როგორც გაზსადენისა და გზაგასაყარის შემთხვევაში, აქაც ორიენტაცია უცხოური ინვესტიციისათვის კარგ პირობებზეა გაკეთებული. თუკი გაზსადენების შემთხვევაში ეს პირობა გეოგრაფიულია, ახალი ადმინისტრაციის შემთხვევაში ამას საკანონმდებლო ბაზა დაემატა. იმის თქმა, რომ ამ მიდგომას არანაირი შედეგი არ აქვს, შორს არის როგორც სალი აზრისაგან,

ასევე საქმის რეალური ვითარებისაგან. ისევე, როგორც შევარდნაძის ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის შემთხვევაში, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებამაც ეკონომიკური ზრდა გამოიწვია. მაგრამ ეკონომიკური ზრდის ეს ორივე მეთოდი მოკლევადიანია – ორიენტირებულია დროის მოკლე მონაკვეთში ეკონომიკური ზრდის მიღებაზე: ორივე შემთხვევაში აქცენტი ამონწურვად და ფარდობით (პოლიტიკურად და ფიზიკურად) რესურსებზეა გაკეთებული.

მე არ ვამბობ, რომ რომელიმე ამ მეთოდზე უარი უნდა ითქვას, მაგრამ ეჭვი მეპარება ამ ორი მიმართულების ღერძად დასახვაში. როგორც გაზსადენი, ასევე საინვესტიციო გარემო კარგია, როგორც პოლიტიკური (ეს უკვე ვნახეთ) იარაღი და მოკლევადიან პერსპექტივაში ეკონომიკის ზრდის მეთოდი.

მაგრამ მგონია, რომ თანამედროვე სამყაროში ეროვნული იდენტობა უფრო ცოდნისა და უნარების განვითარებაზე უნდა იყოს დამყარებული, ვიდრე გარედან პოლიტიკური და ეკონომიკური ჩადინებების მოლოდინზე. არადა, ცოდნისა და უნარების განვითარებაზე ქვეყნის ორიენტირებას, როგორც ჩანს, ჩვენი ეროვნული იდენტობა და გეოპოლიტიკური წარმოსახვა ეწინააღმდეგება.

ამიტომ ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენი მთავარი პრობლემა ჩვენი ეროვნული იდენტობის შინაარსისა და აგებულების განსაზღვრაა. თუკი დავრჩებით მასპინძლის, გზირის, გზის მომვლელის სქემაში, საეჭვოა, რომ რაიმე ღირსეული განვითარების მოლოდინი გვექონდეს. არადა – ეს სამწუხარო იქნება, იმის გათვალისწინებით, რომ ეს იდენტობა, რომელიც ჩვენს ანმყოს და მომავალს განსაზღვრავს, და რომლის ტყვეობაშიც ვართ, არა უხსოვარ დროს, არამედ სულ რაღაც 20-30 წლის წინათ ჩამოგვიყალიბდა. თანაც, იმდროინდელი საბჭოთა ხელსუფლების აქტიური მონაწილეობით.

იმდენად, რამდენადაც ქართული სახელმწიფოს თანამედროვე პროფილი ახლა ყალიბდება, სახელმწიფოს მოქმედებებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კიდევ შეუძლიათ

ეროვნული იდენტობის რეკონსტრუირებაზე. ამ ბოლო დრომდე ჩვენი ეკონომიკური და საგანმანათლებლო პოლიტიკა კვლავ ძველი იდენტობის ფარგლებში ტრიალებდა. არა მარტო უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, არამედ საზღვარგარეთ სწავლებაზეც მკაფიო ბიუჯეტური აქცენტის გაკეთებაც ისევ და ისევ მასპინძლობის, მოლოდინისა და გარემოს შექმნის, გზაგასაყარზე ყოფნის იდენტობის კონსტრუქციაში ჯდება.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ხელისუფლების საბიუჯეტო აქცენტის ცვლილება და მისი დაინტერესება შიდა ეკონომიკური პროცესებითა და ცოდნის განვითარებით იმედს იძლევა, რომ საბოლოოდ მივალთ იმ პოზიციამდე, რომ ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების პირობა, თუნდაც საუკეთესო და მდგრადი საინვესტიციო გარემო, არის განათლებული მოქალაქეები და მათი ცოდნაზე დამყარებული უნარები. ხოლო იმისათვის, რომ ეს გარემო შეიქმნას რამდენიმე წლის შემდეგ, დღეს უნდა დავინყოთ ზრუნვა. ეს კი აუცილებლად მოახდენს ჩვენი იდენტობის შინაარსზე შესაბამის გავლენას და თავს დავაღწევთ იმ კომიკურ, ძალიან შემთხვევით ფაქტორებზე დამყარებულ იდენტობას, რომლის ტყვეობაშიც ვართ.

შენიშვნები:

1. ამ შემთხვევაში „კოდის“ ცნება გამოიყენება მოქმედების ან მეტყველების ალგორითმის, წინასწარ მოცემული სტრუქტურის მნიშვნელობით.
2. ამ მიდგომის რეპრეზენტაციები: გიგა ზედანია, ლევან ღამბაშიძე, გია ნოდია, გიგი თევზაძე.
3. ოპოზიცია: „რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა“, „განათლების სისტემის დამყარება ეროვნულ ტრადიციებზე“. ხელისუფლება: „ნატოში განვერიანება“, „დასავლეთში ინტეგრაცია“, „ინვესტიციების მოზიდვა“. სტრუქტურულად ეს უფრო მსოფლმხედველობის საფუძვლებია, ვიდრე პარტიული პროგრამები.
4. ერნსტ გელნერი. ერები და ნაციონალიზმი. თბილისი. ნეკერი. 2004
5. ბენედიქტ ანდერსონი. წარმოსახვითი საზოგადოებები. თბილისი. ენა და კულტურა. 2005.
6. ენტონი სმიტი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თბილისი. ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი. 2006
7. რენანი (Renan), კედური (Kedourie), სეტონ-უოტსონი (Seton-Watson) და სხვები.
8. აქ არ განვიხილავ ჰობსბაუმის თეორიას (Nations and Nationalism since 1780. Cambridge university Press. 1992), რომელიც პრინციპულად გელნერის თეორიის დაზუსტებაა.

9. Sigmund Freud. Gesammelte Werke. Neunter Band. Totem und tabu. Fischer Taschenbuch Verlag. p. 190.
10. Sigmund Freud. Totem and Taboo: Resemblances between the Psychic Lives of Savages and Neurotics. Contributors: Sigmund Freud – author, A. A. Brill – translr. Publisher: Moffat, Yard. Place of Publication: New York. Publication Year: 1918. Page Number: 260.
11. http://www.pseudology.org/Psychology/Freid_TotemTaboo/index.htm. перевод М. Вульфа.
12. Richard Rorty. Solidarity, Contingency, Irony. Chicago University Press. 1995.
13. მარქსი. ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული იდეოლოგია. თბილისი 1995.
14. Rodney Stark, “Secularization. R.I.P. – rest in peace~, in: Sociology of Religion. Fall 1999. p.13
- 15 David Martin, “Toward eliminating the concept of secularization~, in: G.Harmondworth (ed.), Penguin survey of the social sciences. Penguin Books. 1965.
16. William Swatos, Secularization theory: the course of a concept, in: Sociology of Religion. Fall 1999. p.2.
17. ბენედიქტ ანდერსონი. წარმოსახვითი საზოგადოებები. თბილისი. ენა და კულტურა. 2005
18. William H. Swatos, Jr. and Loftur Reimar Gissuraron. Icelandic spiritualism. Mediumship and Modernity in Iceland. New brunswick, NJ: Transaction Publishers. 1997.
19. ibid: Swatos, „Secularization theory“; Martin,

“Toward eliminating the concept of secularization”; Stark, Secularization“.

20. Oliver Reisner: Die Schule der Georgischen Nation: Eine sozialhistorische Untersuchung der nationalen Bewegung in Georgien am Beispiel der „Gesellschaft zur Verbreitung der Lese- und Schreibkunde unter den Georgiern“ (1850 – 1917). Reichert, Wiesbaden 2004.

21. ქართული საზოგადოების ღირებულებები. ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“. 2006 წელი.

22. Kants Werke. Band IX. Physishe Geographie. Pp. 405-406. Leipzig. 1923

23. George H.T. Kimble “Geography in the middle ages~ London 1937

24. Jakob Kaiser und der zusammenbruch der Deutschen brueckenfunktion zwischen ost und west. in: Christian Hacke. Die Aussenpolitik der Bundesrepublik Deutschland. Ullstein Buchverlage GmbH, Berlin. 1997.

25. „ევროპა თუ აზია“. გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“. თბილისი 1997.

26. Luigi Magarotto – „Georgia as a bridge between Europe and Asia. L'avanguardia a Tifliss“. Venice. 1982.

